



**ციბეხანი**

№ 118 / 3 - 9 დეკემბერი / 2012

სჭირდება თუ არა ახალ მთავრობას ლოჯისტიკი? **83. 08**

დასავლეთის ორმაგი სტანდარტები **83. 14**

ინტერვიუ თამარ ჩუბოშვილთან **83. 16**

თეა წულუკიანი VS კოტე კუბლაშვილი **83. 34**

ვინ არის სამხრეთ ოსეთის ბატონ-პატრონი? **83. 32**

სავაჭრო ზონა – ერგნეთის გაზრობა **83. 26**

რევორტაჟი: ზარდიაანთიკარი – ჩუმი სოფელი **83. 20**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

**ფანი 2 ლარი**

# 6500 პატიმართ ნახეები

**83. 37**



**ՈՅՄՅԿՈՒ**  
**ՁՆՆԵՐԻ ՆԲՆՈՒ**  
**ՄՆԵՆՁՁՔՆԱՅԲԵՂ**



|              | POS. | FREC.   | STD.  | SR.   | FEC. |
|--------------|------|---------|-------|-------|------|
| EUTELSAT 36B | 36°  | 11446 H | DVB-S | 2222  | 3/4  |
| HOTBIRD 13A  | 13°  | 11585 V | DVB-S | 27500 | 3/4  |
| TURKSAT 3A   | 42°  | 12639 V | DVB-S | 4070  | 5/6  |



ლიბერალი

№ 118 / 3 - 9 დეკემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი  
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები  
ნინო ბექიშვილი  
სოფო ბუკია

წარწერის მკვლევარი:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მალაღლაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრაქტორები:

ბაატა ქურდაძე, ბექა ქურხული, ვასო კუჭუხიძე, ლელა რევიანი, ვალერი ტუცუაძე, ზაალ ანდრონიკაშვილი, ლინკოლნ მიტჩელი

რედაქცია:

ფოტორედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი

ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და პრინციპების

განვითარების მენეჯერი

რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:

ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

წარწერის გამომწერის მსურველები  
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge



## ლია ნახილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

„მე ამისგან გააკეთებ!“

ბატონო ბიძინა,

ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების, ასევე, თქვენ წინაშე არსებული დილემებისა და თქვენი ბოლოდროინდელი საჯარო განცხადებების გათვალისწინებით, რომელიც მედიას ეხებოდა, მოგმართავთ კონკრეტული შემოთავაზებით.

ეს არის ამონარიდი იმ ინტერვიოდან, რომელიც თქვენ „ლიბერალს“ 2012 წლის ივლისში მიეცით, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე:

„პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ არ მივდივარ საქართველოდან, მაგრამ არ მინდა, პოლიტიკოსი მერქვას. მე იქ მივდივარ, სადაც ქარიშხალია, ეს საზოგადოებრივი განვითარებაა. ჩვენ აღარ უნდა ვიძახოთ – „აბა, როგორი კაცი მოვა?!“ ერთ კაცს არ უნდა ველოდოთ. ხალხი უნდა გავაძლიეროთ, ისე, რომ ჰქონდეს უნარი, სწორი არჩევანი გააკეთოს. უახლოეს დროში შევექმნით კრიტიკულ მასას, რომელსაც პოლიტიკური ელიტა გაუნეწვს ანგარიშს. საზოგადოება იმასაც დაინახავს, რომ ოპოზიციაში ყოფნაც საინტერესო იქნება. პარლამენტში ძლიერი ოპოზიცია უნდა იყოს, თუ დასჭირდათ, მათაც დავეხმარებთ ერთფერადად, ისე, რომ ჩემზე დამოკიდებული არ გახდნენ. პოლიტიკური ოპოზიციის გარეშე სამოქალაქო სექტორს გაუჭირდება ხელისუფლების ოპონირება. სამოქალაქო სექტორში ერთად ჩავდგეთ, მედია გავათავისუფლოთ და ეს ყველაფერი სწორი ფუნდამენტს ჩაყრის. მაგრამ შემდგომ არჩევნებამდე ხელისუფლება და ოპოზიცია უჩემოდ უნდა განვითარდნენ. შემდეგი არჩევნები ამის კარგი მაგალითი უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ შემდეგ არჩევნებზე ევროპულთან მიახლოებულ დონეს ვაჩვენებთ და ეს ჩემი მოღვაწეობის ლაკმუსის ქაღალდი იქნება.“

სწორედ თქვენ მიერ დეკლარებული სურვილებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, გთავაზობთ, „მე-9 არხი“ სიმბოლურ ფასად, 1 ლარად მოგვყიდოთ ჩვენ, ჟურნალ „ლიბერალის“ საგამომცემლო ფგუფს. ჩვენ უკვე რვა წელია ვმუშაობთ ქართულ მედია ბაზარზე და არაერთი ფინანსური, პოლიტიკური თუ ადამიანური გამოწვევის მიუხედავად, შევძელით შეგვენარჩუნებინა რეალური დამოუკიდებლობა და მაღალი პროფესიული სტანდარტები. ჩვენი გამომცემლობა ასევე აქტიურად მონაწილეობს მედია გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პროცესებში.

ჩვენი ამოცდილების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ უზრუნველყოფთ „მე-9 არხის“ დამოუკიდებელ, „ჭეშმარიტად საზოგადოებრივ მასშტაბად“ გარდაქმნას, და არა მის დასუსტებას, დაშლასა თუ პოლიტიკური გავლენების არეალში მოხვედრას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, ზოგადად, მედია ბაზრის გაჯანსაღებას.

ჩვენ გვაქვს ხედვა, რა მექანიზმები უნდა ავამუშავოთ ამისათვის.

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია, ზოგადად, მედია გარემოს და მედიის გაძლიერება, და არა დასუსტება, იმედია, განიხილავთ ამ შემოთავაზებას და საშუალება გვექნება დეტალურად განვიხილოთ ეს წინადადება თქვენთან.

„ყველაზე დიდი რისკი ჩემზეა, თუმცა, ცოტ-ცოტა ყველამ გავრისკოთ, ეს რისკი რისკად ღირს“ – ისე თქვენი ციტატა რომ მოვიშველიოთ, ეს ჩვენი წილი რისკია.

პატივისცემით, შორენა შავერდაშვილი



## სავაჭრო ზონა - ეხბნეთის ბაზრობა


„ყველამ კარგად იცის, როგორ აკავშირებს ადამიანებს საქმიანი ურთიერთობები და საერთო ინტერესები. ამის მაგალითად ერგნეთის ბაზრობაც საკმარისია“, – 15 ივლისს, ოპოზიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ამ სიტყვებით ქალაქ გორში, „ქართული ოცნების“ აქციაზე შეკრებილ მოსახლეობას მიმართა და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ერგნეთის ბაზრობის აღდგენის პირობა დადო. ბაზრობა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიხურა, წლების განმავლობაში ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი ურთიერთობის კარგი მაგალითი იყო, თუმცა ყველაზე ხშირად ერგნეთის ბაზარს კონტრაბანდის, კორუფციისა და კრიმინალის ბუდედ მოიხსენიებენ.



## "ეს ნაღი ბავხი ხაით იყო ბამოხჩაი"

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 24 ნოემბერს ორგანიზაციის წლიური ანგარიში წარმოადგინა.


მედია, არჩევნები, სასამართლო, ადამიანის უფლებები... ეს ის სფეროებია რომლებზეც საია ძირითად ყურადღებას ამახვილებს. რით იყო გამორჩეული 2012 წელი? „ლიბერალი“ ასოციაციის თავმჯდომარეს, თამარ ჩუგოშვილს ესაუბრა.


 ზურაბ ვარდიაშვილი  
83.16

## საქართველოს აივ-ბამონვევები

2012 წელს საქართველოში აივ ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობამ გასულ წელთან შედარებით 11%-ით მოიმატა.


მთელ მოსახლეობაში დაბალი გავრცელების მიუხედავად, სპეციალისტები მაღალი რისკის ზოგიერთ ჯგუფში კონცენტრირებულ ეპიდემიაზე საუბრობენ. პირველ დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, საქართველო აივ ინფიცირებულთა გაზრდილი რიცხვით ხვდება.

 ლაშა ქავთარაძე  
83.42

 გიორგი ქვიციანი  
83.26

## ზახილანთახი - ჩემი სოფელი


სოფელი, სადაც ერთ დროს ოსები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, დღეს ორადაა გაყოფილი და ვერც ერთი, ვერც მეორე მხარე ერთმანეთის „ტერიტორიაზე“ ვერ გადადის. სოფლის ვინრო გზა მტვრიანია. მართალია, რამდენიმე წამის წინ ჩავლილი მანქანა უკვე თვალს მიეფარა, მაგრამ ძრავის ხმა ჯერ კიდევ ისმის. მალე ეს ხმაც წყდება და ყველაფერი ისევ ჩუმდება. მსგავსი სიჩუმე სოფლისთვისაც კი უჩვეულოა: არც ძაღლების ყეფა ისმის, არც საქონლის ხმა... ადამიანებიც არსად ჩანან.

 გიორგი გოგუა  
03.20

### ფოსტოხაჰისაჰი

## შიიტების ბლოკის დღე



 ელმარ მუსტაფაზადე  
03.52-57

### გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟენეტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.  
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

### ნომერები:



- 04 მოკლედ
- 06 ციტატები  
**ორი აზრი**
- 08 სჭირდება თუ არა ახალ მთავრობას ლობისტების დახმარება დასავლეთში?  
*ლინკოლნ მიტჩელი VS ზაალ ანდრონიკაშვილი*  
**კომენტარი**
- 10 რეორგანიზაცია ტელეკომპანია მე-9 არხზე
- 14 დასავლეთის ორმაგი სტანდარტები  
**პოლიტიკა**
- 30 კეთრინ ეშტონის ვიზიტი საქართველოში  
**რეგიონი**
- 32 ვინ არის სამხრეთ ოსეთის ბატონ-პატრონი?  
**სამართალი**
- 34 თეა ნულუკიანი VS კოტე კუბლაშვილი
- 37 6500 პატიმრით ნაკლები  
**სამართალი**
- 40 „ფინანსური დახმარება“ დაბალშემოსავლიანებისთვის  
**საზოგადოება**
- 46 მოძალადე ვირუსი
- 50 „ახალი ტალღა“ თელავის უნივერსიტეტში  
**კომენტარი**
- 58 მგლის შიშის სახელით!
- 60 გამთენიასა

## ეგვიპტა ხვანჯ სახიოტასტო აუსიბა მოუსა



ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს ცენტრალური მოედანი კვლავ საპროტესტო ტალღამ მოიცვა. ათობით ათასი ადამიანი ამჯერად ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსისა და „მუსლიმთა სამოს“ წინააღმდეგ გამოვიდა, რომელთაც გასულ წელს მომხდარი რევოლუციის პრინციპების ღალატში სდებენ ბრალს.

2012 წლის ივნისში არჩეულმა პრეზიდენტმა, მოჰამედ მურსიმ პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ 25 ნოემბერს საგანგებო დეკრეტი გამოსცა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის უფლებამოსილებები იზრდება. პრეზიდენტის ოპონენტებმა და მოსახლეობის ნაწილმა კი მურსის ძალაუფლების გაზრდა ტაჰრირის მოედანზე შეკრებები გააპროტესტა. 26 ნოემბერს კი დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ცრემლსადენი გაზისგან მიღებული ზიანით პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაწყებულ დაპირისპირებამ აქციის ერთი მონაწილის სიცოცხლეც იმსხვერპლა. მურსის წინააღმდეგ გამოსულ ძალებს ოპოზიციის დიდი ნაწილი, ჟურნალისტები, მოსამართლეები და კაიროს სხვა მცხოვრებლები შეუერთდნენ. დემონსტრაციაზე გამოჩნდა ნობელის პრემიის ლაურეატი, ოპოზიციონერი მოჰამედ ელ-ბარადეიცი.

„ჩვენ აღარ გვინდა დიქტატურა. მუბარაქის დროს ქვეყანაში ნამდვილი დიქტატურა იყო და სწორედ მის წინააღმდეგ და თავისუფლების მოსაპოვებლად მოაწყო ეგვიპტელმა ხალხმა რევოლუცია,“ – აღნიშნა სააგენტო „როიტერთან“ საუბრისას აქციის ერთ-

-ერთმა მონაწილემ, აჰმედ ჰუსეინმა. მურსის დეკრეტის საპასუხოდ საპროტესტო აქციები გაიმართა ალექსანდრიასა და ეგვიპტის სხვა ქალაქებშიც.

## ზო ჩავესი ხაბაში სამაჩინალო ჩაღის

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, რომელიც ოქტომბერში კიდევ ერთხელ გახდა ქვეყნის პირველი პირი, კუბაში კიდევ ერთხელ მიემგზავრება კიბოს თერაპიის ჩასატარებლად.

წერილში, რომელიც ჩავესმა ნაციონალურ ასამბლეას მისწერა, ნათქვამია, რომ მას „გადატვირთული საარჩევნო კამპანიის“ შემდეგ თერაპიული მკურნალობა სჭირდება, რის გამოც ის იანვარში ჰავანაში ჩავა.

54 წლის პრეზიდენტი, რომელსაც კიბოს დიაგნოზი 2011 წელს დაუსვეს, არაფერს საუბრობს თავისი დაავადების შესახებ. გასულ მაისს მან საჯაროდ განაცხადა, რომ სიმსივნისაგან თავისუფალი იყო და აბსოლუტურად ჯანმრთელად გრძნობდა თავს.

„ექსი თვის შემდეგ უნდა გავიარო რადიოთერაპიის ახალი კურსი, სპეციალური პროცედურები, რომლებიც ჰიპერბარიული ჟანგბადით მკურნალობასა და ფსიქოთერაპიას მოიცავს“, – წერს ის ნაციონალური ასამბლეისათვის გაგზავნილ წერილში.

## იასიხი ახაფაჰის ბჰაშ ქასჰაჰაჰა

პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ანგარდაცვლილი ლიდერის, იასირ არაფატის ცხედარს 27 ნოემბერს ექსჰუმაცია ჩაუტარდა. პალესტინის პირველი პრეზიდენტი 2004 წელს გარდაიცვალა საფრანგეთის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც ის ორკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ მოხვდა.

იასირ არაფატის გარდაცვალება, რომლის ცხედარიც ქალაქ რაბალაში მდებარე მავზოლეუმშია დასვენებული, არაერთი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. პალესტინური ნაციონალიზმის სიმბოლოს ავადმყოფობის ისტორიიდან ირკვევა, რომ ის ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. თუმცა, გამოითქვა

ვარაუდი, რომ სიკვდილის მიზეზი შესაძლოა შიდსის ვირუსი ან სიმსივნური დაავადება ყოფილიყო.

2012 წლის ივლისში კი ტელეკომპანია „ალ-ჯაზირამ“ უჩვენა ფილმი, რომელიც შვეიცარიის ინსტიტუტის მონაცემებს ეყრდნობა, თითქოს ექსპრეზიდენტის გვამზე რადიოაქტიური ნივთიერების „პოლონიუმ 210“-ის კვალი აღმოაჩინეს. პალესტინაში ბევრს სჯერა, რომ მათი პრეზიდენტი ისრულმა თავისი შეურიგებელი პოზიციების გამო მოკლა, რასაც ებრაული მხარე აბსოლუტურად გამორიცხავს.



არაფატის გვამის ექსჰუმაცია ფრანგი, შვეიცარიელი და რუსი ექსპერტების თანდასწრებით მოხდა. საფრანგეთში გასულ აგვისტოს უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იასირ არაფატის მკვლელობაზე. რუსი ექსპერტების ჩართვა კი პალესტინურმა მხარემ მოითხოვა, რადგან ისინი ფრანგ და შვეიცარიელ სპეციალისტებს არ ენდობიან.


იასირ არაფატის გვამი, ექსჰუმაციის შემდეგ, სამხედრო პატივით, იმავე დღეს დაკრძალეს.

## ჩასეთში აივ-იწფისიჩაბაქთა ჩალონობა 12%-ით ბაიხაჩა

ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში 2012 წლის პირველ ათ თვეში 700 ათასზე მეტი მოაქალაქე დაავადდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით. ამათგან 90 ათასზე მეტი ადამიანი უკვე გარდაიცვალა.

ახლად დაფიქსირებულ შემთხვევათა 60%-ში დაავადებულები ნარკოდამოკიდებული ადამიანები არიან.

შიდსთან ბრძოლის ფედერალური ცენტრის ხელმძღვანელის, ვლადიმერ პოკროვსკის თქმით, რუსეთში ყოველ-



დღიურად აივ-ვირუსით 200 ადამიანი ინფიცირდება. UNAIDS-ის აღმასრულებელი დირექტორის, მაიკლ საიდბის განცხადებით კი, რუსეთი იმ ქვეყანათა ჩამონათვალში შედის, რომლის შიდა-თან ბრძოლის სტრატეგიაც ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელია. მიმდინარე წელს რუსეთში დედიდან შვილზე ვირუსის გადაცემის 4 398 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 529 ლეტალური შედეგით დასრულდა. ახალ შემთხვევათა 39%-ში ინფიცირებულები ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტით დაავადდნენ, ერთსქესიანი სქესობრივი კონტაქტისას დაინფიცირებულები კო მხოლოდ 1%-ს შეადგენენ.

**"მუსლიმთა უცოდველობის" მონანილოვების სასიკვდილო განაჩენი**

კაიროს სასამართლომ შვიდ ეგვიპტელ ქრისტიანს, რომლებიც გახმაურებულ ფილმში „მუსლიმთა უცოდველობა“ მონანილოვდნენ, მათ დაუსწრებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ფილმი, რომელიც აშშ-ში, კალიფორნიაში გადაიღეს, მუსლიმთა მასობრივი საპროტესტო გამოსვლების საბაზი გახდა, რამაც ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის, ლიბიაში აშშ-ის ელჩისა და საკონსულოს რამდენიმე

თანამშრომლის სიცოცხლე. ფილმში გამოყენებული კადრები და ფილმის შინაარსი მუსლიმთა რწმენით წინასწარმეტყველ მუჰამედს შეურაცხყოფდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფილმის მონანილოვებმა იცოდნენ, რომ მათ სათავგადასავლო ფილმში იღებდნენ. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი ეგვიპტური წარმოშობის ქრისტიანი ნაკოულა ბასელი ნაკოულაა, რომელიც წლებია ამერიკაში ცხოვრობს. გასულ სექტემბერში ის პრობაციის პირობების დარღვევის გამო დააკავეს.

**ტაჯიკეთში "ფეისბუქი" ახიძაჯა**

ტაჯიკეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მოხმარება ქვეყნის ტერიტორიაზე ვეტერანი პრეზიდენტის ემომალი რაჰმონის შესახებ „ბინძური და ცილისმწამებლური“ ინფორმაციის გავრცელების გამო აიკრძალა. კომუნიკაციების სამსახურის წარმომადგენლის, ბეგ ბუხუროვის განცხადებით, სოციალური ქსელის აკრძალვა უცნობი დონორების მიერ სპეციალურად დაქირავებული ადამიანების კომენტარებმა გამოიწვია, რომელთაც ერთ „შეურაცხყოფელ“ კომენტარში 5 000-დან 10 000 დოლარამდეც კი უხდინა.

„საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები, აკადემიკოსები, დოქტორები, კულტურის სფეროს მოღვაწეები დაილანენ იმ სიბინძურით, რაც მოედინება ვებგვერდიდან, სახელად „ფეისბუქი“ – აღნიშნა ბუხუროვმა.

ცენტრალური აზიის ქვეყანაში ეს „ფეისბუქის“ აკრძალვის უკვე მეორე შემთხვევაა. ადგილობრივი ექსპერტები ამბობენ, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება, ხელისუფლებას კრიტიკის ემინია და ხელოვნურად ცდილობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიღებაში ხელის შეშლას. პრეზიდენტი ემომალი რაჰმონი 1992 წლიდან ქვეყნის უმაღლესი პირია, 2013 წელს დაგეგმილ არჩევნებში ის კვლავ მონანილოვს და დიდი ალბათობით მას პრეზიდენტობა მომავალ 6 წელიწადშიც გარანტირებული აქვს. 





„ჩვენი ვალია, დავიცვათ თვითმმართველობები, რომელთაც დღეს პაჭანიკებისით შეესივნენ“, –

**გიორგი უგულავა, თბილისის მერი**



„მე ავიღე ბარათი და მგონია, რომ ეს ერთ-ერთი გზაა, რომ თანამედროვე ადამიანი ცხოვრება გაიადვილოს. არ არის გამორიცხული, ჩვენ დავინყოთ ფიქრი იმაზე, არჩევითი ხომ არ უნდა იყოს და არჩევნის უფლება ხომ არ უნდა მივცეთ იმ მორწმუნე მოქალაქეებს, რომლებსაც არ უნდათ ID ბარათის აღება“, –

**თეა ნულუკიანი, იუსტიციის მინისტრი**



„ჩვენ „ვაშინგტონ პოსტი“ არ გვეპატიჟება, გვეპატიჟება ამერიკის ხელისუფლება. გაზეთს აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, მაგრამ იქაც ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ ობიექტურობას, მე დასკვნას არ გავაკეთებ და თუ ამის მსგავსი მცდელობაა გაზეთის მხრიდან, რეაგირებას გავაკეთებთ, დავუკავშირდებით და მოვთხოვთ პასუხს, რის საფუძველზე გააკეთა ეს დასკვნები“, –

**ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი**



„ჩვენ მხარი დავუჭირებთ ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას, რაც ამ არჩევნების შედეგად მოხდა და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი, რაც ხდება პოტენციურ დამნაშავეთა სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, გამჭვირვალედ განხორციელდება შესაბამისი პროცედურების და კანონის უზენაესობის დაცვით, როგორც შეეფერება საქართველოს ოცნებას და მისწრაფებებს“, –


**ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი**



„მე ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც მე არ ვარ მზად ერთ მაგიდასთან დავჯდები, არის მიხეილ სააკაშვილი. მან ომი დაიწყო, დანაშაული ჩაიდინა. დანაშაული, პირველ რიგში, ქართველი ხალხის წინაშე“, –

**დimitრი მედვედევი, რუსეთის პრემიერ-მინისტრი**





## HP Z Workstations

წარმოგიდგენთ **HP**-ის ინოვაციურ სამუშაო სადგურებს, რომლებიც მუშაობენ **multi-core Intel® Xeon®**-ის პროცესორზე. მაქსიმალურად კრეატიული პლატფორმა, ვიზუალიზაციის სწრაფი სიჩქარე, მეტი მოცულობა ინფორმაციის სანდო და უსაფრთხო შენახვისთვის, ასევე მრავალი სხვა ფუნქცია თქვენი პროფესიული საჭიროებისთვის! რადგან სილამაზე და შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია!

<http://hp.com/zworkstations>



კომპანია MBC  
 "Multimedia & Business Computers"  
 საქართველო, თბილისი, შვეჩენკოს ქ. 5  
 +995 32 277 33 73  
 +995 32 299 86 96



<http://www.mbc.ge>



# სჭიხდება თუ ახა დობისსების დახმ


## ღიას

ლინკოლნ მიტჩელი

კოლუმბიის უნივერსიტეტი

პრობლემა, რომლის წინაშეც საქართველოს ახალი ხელისუფლება დგას, ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო კომუნიკაციების და მთავრობებთან ურთიერთობის გუნდი კვლავ მუშაობს, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს საელჩოების მეშვეობით. ამ კომუნიკაციის მიზანი „ნაციონალური მოძრაობის“ დიდ დემოკრატიად, ხოლო პრემიერ-მინისტრის ავტორიტარად წარმოჩენაა. იმის გამო, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას არჩევნების შემდეგ არ გაუგრძელებია უცხოეთთან მუშაობა, საერთაშორისო მედიას და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ამბის მხოლოდ ერთი მხარე ესმით.

ძველი ხელისუფლების პირობებში, ქვეყნის ინტერესებს აზიანებდა აგრესიული, საკმაოდ ფართომასშტაბიანი ორმხრივი ლობისტური ძალისხმევა, რომელიც მილიონობით დოლარი ჯდებოდა. კარგი იქნებოდა ამ მოდელიდან გადახვევა. ბევრი მთავრობა ქირაობს მრჩეველებსა და კონსულტანტებს ისეთ პოლიტიკურ ცენტრებთან ურთიერთობისათვის, როგორც ვაშინგტონი და ბრიუსელია, თუმცა, ეს გაცილებით მოკრძალებულად ხდება, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო.

ამჟამინდელ ხელისუფლებას ალბათ წაადგებოდა პროფესიონალების დახმარება, რომ საერთაშორისო აუდიტორიას თავისი ამბავიც უამბოს. 



ფოტო: სტეფანო ვილია

**■ ბევრი მთავრობა ქირაობს მრჩეველებსა და კონსულტანტებს ისეთ პოლიტიკურ ცენტრებთან ურთიერთობისათვის, როგორც ვაშინგტონი და ბრიუსელია, თუმცა, ეს გაცილებით მოკრძალებულად ხდება, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო.**

# ახად მთავრობას იჩიება დასავლეთში?



■ ყველაზე ეფექტური პიარი „ქართული ოცნებისათვის“ იქნებოდა ქვეყნის შიგნიდან და გარედან მომავალი კრიტიკისათვის ანგარიშის განევა. ჯერ კიდევ არ არის გვიან, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი პოლიტიკა ისე წარმართოს, რომ არ გაჩნდეს ეჭვი, თითქოს მას ერთპარტიულ წარსულში დაბრუნება უნდოდეს.

## არა

ზაალ ანდრონიკაშვილი  
ფილოსოფოსი

საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს მთავრობას პოლიტიკური ოპონენტების დევნის გამო აკრიტიკებს. „ქართულმა ოცნებამ“ ეს კრიტიკა უკვე მეორედ დაუკავშირა „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტების წარმატებულ მუშაობას საზღვარგარეთ. საკუთარი შეცდომების მონიშნაღმდეგეების (მტრების, მომურნეების და ა. შ.) ხრიკებით ახსნა არც წინა მთავრობისათვის იყო უცხო და სხვა პოსტსაბჭოთა რეჟიმებისათვის დამახასიათებელია.

რასი მდგომარეობს „ქართული ოცნების“ შეცდომა? ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების მთავარი მონაპოვარი ის გახლდათ, რომ საქართველოს გაუჩნდა ერთპარტიული, რბილად რომ ვთქვათ, ჰიბრიდული რეჟიმიდან მრავალპარტიულ დემოკრატიად გადაქცევის შანსი. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ამ მიღწევის ძირის გამოთხრისკენ არის მიმართული, ალბათ, ყველაზე უფრო დიდი შეცდომაა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეუძლია დაუშვას. ამასთან შედარებით, ვთქვათ, ელექტროენერჯის და გაზის ტარიფების დაწევის და სხვა მსგავსი წინასაარჩევნო დაპირებების ნაწილობრივ შესრულება განუზომლად ნაკლები წარუმატებლობაა.

როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება სურთ, ან იერში მიაქვთ იმ ინსტიტუტებზე, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ, მაშინ, ამ კონტექსტში, ამ ინსტიტუტების წარმომადგენელთა დაკავება საზღვარგარეთაც და ქვეყნის შიგნითაც, სავსებით სამართლიანად აღიქმება როგორც ერთპარტიული მმართველობის დაბრუნების სურვილი. ამ, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიან შთაბეჭდილებას „ქართული ოცნების“ პირველი ნაბიჯების შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის და სამთავრობო პარტიის რანგში, „ქართული ოცნების“ ლობისტები ვერ შეცვლიან.

ყველაზე ეფექტური პიარი „ქართული ოცნებისათვის“ იქნებოდა ქვეყნის შიგნიდან და გარედან მომავალი კრიტიკისათვის ანგარიშის განევა. ჯერ კიდევ არ არის გვიან, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი პოლიტიკა ისე წარმართოს, რომ არ გაჩნდეს ეჭვი, თითქოს მას ერთპარტიულ წარსულში დაბრუნება უნდოდეს. ■

# ხეობანიზაცია ტელე



ფოტო: ლევან ხორვათელიძე

## ირაკლი აბასიძე

„მეცხრე არხის“ რეგიონული ახალი ამბების ყოფილი პროდიუსერი

„მეცხრე არხის“ რეორგანიზაციის პროცესი გაუმჭვირვალედ წარიმართა. ცხადია, მფლობელს მენეჯმენტის ცვლილების ლეგიტიმური უფლება აქვს, მაგრამ მიმანია, რომ როცა პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრია ტელევიზიის მფლობელი და საზოგადოებასთან სხვა ხარისხის ანგარიშვალდებულება არსებობს, გადაწყვეტილების მიღებისას სხვა დონის გამჭვირვალობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

მას მერე, რაც ახალმა ხელმძღვანელმა სერიოზული განცხადებები გააკეთა სხვადასხვა ეთერში და თათბირებზე, და ივანიშვილიც აცხადებს, რომ „მეცხრე არხზე“ ყველაფერი რიგზეა, მივიჩნევ, რომ ამ პროცესს უნდა გავემიჯნო. უეცრად ვიგებთ იმასაც, რომ არხი საერთო მაუწყებლად უნდა გადაიქცეს. არ ვიცი, რამდენად შენარჩუნდება ინფორმაციის ის ხარისხი, რაც აქამდე გვქონდა, ასევე არ ვიცი, რამდენად იქნება აცილებული პოლიტიკური წნეხი, ამ დროის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მფლობელის მხრიდან ვინმე ჩარეულიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქალბატონ ლუბასთან ადრეც მქონდა უთანხმოება ერთ-ერთი რეპორტაჟის შესახებ, მას ეს რეპორტაჟი არ მოსწონდა, მე მიმანდა, რომ ის სტანდარტების მიხედვით იყო გაკეთებული.

ვფიქრობ, მე და ქალბატონი ლუბა სხვადასხვა ჟურნალისტიკას ვაკეთებთ და რადგან მენეჯმენტის წარმომადგენელი

ვარ და უნდა მქონდეს პირადი ურთიერთობა მასთან, უმჯობესად მივიჩნიე, პროცესს გავემიჯნოდი.

თანამშრომლებს არ გვქონდა ინფორმაცია არც მენეჯმენტისგან, არც მფლობელებისგან. გადაწყვეტილებების და ინიციატივების შესახებ საჯარო განცხადებებით ვიგებდით. ვერ მოვახერხეთ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის ორგანიზება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის აბსოლუტურად ენდობა ლუბა ელიაშვილს და სჯერა, რომ ის პროცესს ტელეკომპანიის სასიკეთოდ წარმართავს.

არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ვხედავ საფრთხეს, რომ ლუბა ელიაშვილი შეეცდება ტელევიზიაში იმ სტანდარტის დამკვიდრებას, რაც „ინფო 9“-ზე იყო, რადგან ის „ინფო 9“-ს ხელმძღვანელობდა. ეს სტანდარტი კი არის შორს ჟურნალისტური სტანდარტისგან. ქალბატონი ლუბა ამბობს, რომ ის იყო წარმატებული და რეიტინგული მედიასაშუალება და თუ შეეცდება ასეთივე „რეიტინგული“ და „წარმატებული“ გახადოს „მეცხრე არხიც“, არ მინდა ამ „წარმატებაში“ მონაწილეობა მივიღო. ქალბატონი ლუბა უკვე დგას ნიუსრუმში და კითხულობს ეთერში გასასვლელი სიუჟეტების ჩამონათვალს, ეს ყველაფერი მიმძაფრებს ეჭვს, რომ ეს ადამიანი ჩაერევა ძალიან კონკრეტულად პოლიტიკის განხორციელებაში.

როდესაც საუბარია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაზე, ვფიქრობ, ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს ეს საბჭო, მან გადაწყვიტოს, არხი საინფორმაციო იქნება, საერთო მაუწყებელი იქნება, გასართობი თუ სხვა. მან განსაზღვროს კონცეფცია და ამის შემდეგ უნდა დაინიშნოს გენერალური დირექტორი, რომელიც ამ იდეებს განახორციელებს. აქ პროცესი პირიქით წარიმართა.

ქალბატონმა ლუბამ უკვე დაიწყო თავისი იდეების განხორციელება და ახლა ვერ წარმომიდგენია, რა როლი უნდა ჰქონდეს იმ საბჭოს, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ პოსტ ფაქტუმ დაინყებს მუშაობას.

ცოცხა უცნაურია, რა საჭირო იყო ასეთი ფორსმაჟორული გადაწყვეტილების მიღება, რატომ შეიცვალა მენეჯმენტი საბჭოს დაკომპლექტებამდე. ძალიან ბევრი შეკითხვა არსებობს, რაზეც პასუხი არ გვაქვს. ამ არხზე სწორედ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მოვედი. რაც შეეხება არხზე დარჩენილ ჟურნალისტებს, რომლებსაც მენეჯმენტთან საერთო არ აქვთ, პროტესტი ალბათ მაშინ უფრო გაუჩნდებათ, როდესაც უშუალოდ მათ მედიაპროდუქტში ჩაერევა ვინმე. **■**

# ოპზანია "მე-9 ახზუე"



**ნინო უილაშვილი**  
 ჟურნალისტი

სრულფასოვანი ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ მაინც არ გვაქვს. ვიცით, რომ შეიცვალა გენერალური დირექტორი, თუმცა, ყოფილმა დირექტორმა არ თქვა – თავისით მიდიოდა, ურჩიეს რომ წასულიყო თუ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ეს საკითხი კვლავ ბუნდოვანი დარჩა.

ახალი გენერალური დირექტორი ამბობს, რომ განსაკუთრებული ცვლილებები სარედაქციო პოლიტიკაში არ იქნება, თუკი ეს ასეა, მაშინ ეს უზრალოდ მენეჯმენტის ცვლილებაა, რაც შეიძლება ბუნებრივი პროცესიც იყოს. აჟიოტაჟი გამოიწვია იმან, რომ ძალიან ბევრი ვერსია გამოჩნდა, რა ბედი შეიძლება ენიოს ტელევიზიას. ამან დაძაბა ჟურნალისტებიც. ასეთ დროს ცხადია, სჯობს, რომ მეპატრონემ დაგდოს პატივი და გაგაგებინოს, ზუსტად რას გიპირებს.

ვფიქრობ, რამდენიმე შეცდომით გადადგმულმა ნაბიჯმა ამ პროცესს ბუნდოვანება შემატა. შეცდომა იყო საჯარო მსჯელობა იმაზე, შეუერთდეს არხი საზოგადოებრივ მაუწყებელს თუ არა, იყოს სხვის მფლობელობაში, შეიქმნას საბჭო თუ სხვ. საჯაროდ უკვე მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოცხადებულიყო და ეს გადაწყვეტილება სასურველი იყო ჯერ ჟურნალისტთა გუნდს სცოდნოდა. თუმცა დასაფასებელია, რომ გამოხმაურებებმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა მეპატრონეებს. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გავიგეთ, რა ბედი ეწევა

ამ არხს, რომელიც აქამდე საკმაოდ წარმატებით მაუწყებლობდა.

საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო ლუბა ელიაშვილის ნათქვამში, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობას არაფერი ემუქრება. ის ხომ აქამდეც მუშაობდა ამ არხზე და თუ აქამდე არ ერეოდა, ახლა რატომ უნდა ჩაერიოს ჟურნალისტების საქმიანობაში? თუმცა, ფაქტია, რომ პროცესი არაა გამჭვირვალე. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა მხარისგან მეტ ღიობას ვისურვებდი. ბევრი კითხვა მაქვს ჟურნალისტებთანაც: რატომ გააპროტესტეს ეს ყველაფერი, შეეხებოდა თუ არა ეს მათ ანაზღაურებას, კონტრაქტები გადაიხდებოდა თუ არა?

„ინფო 9“-ს და სხვა მედიასაშუალებებსაც, რომელთა კრიტიკის ობიექტი ყოფილი ხელისუფლება იყო, უჭირს იმ პოზიციაზე გადასვლა, რომ ახალი ობიექტები ჰყავდეს შესაძლებლად და დასაბალანსებლად. ეს დილემაა დღეს მედიისთვის და იმედი მაქვს, რომ რაკილა ქვეყანაში მედიის დამოუკიდებლობის დიდი პერსპექტივა გაჩნდა, ეს პროცესი წარმატებით დასრულდება.

არხის მფლობელები გადაწყვეტენ, რა მოუხერხონ ტელევიზიას. ცხადია, სასურველია, რომ პრემიერ-მინისტრის ოჯახს არ ეკუთვნოდეს საინფორმაციო მიმართულების მქონე არხი. ვნახოთ, ბოლომდე შეელება თუ არა, რადგან ცდუნება ძალიან დიდია. მეორე მხარე ძალიან კარგად კონცენტრირდება და მობილიზდება კონკრეტულ ტელეკომპანიებში და არსად წასვლას არ აპირებს. თუმცა, იმედია პრემიერ-მინისტრი გაუძლებს ცდუნებას, თუკი მას უნდა, რომ მართლაც ევროპისთვის გასაკვირი დემოკრატია შექმნას, როგორც ამას ხალხს ჰპირდებოდა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მმართველობის ფორმას, დამოუკიდებლობის აბსოლუტური გარანტია არც უცხოელთა ხელში გადასვლა იქნება. გააჩნია რეალურად მოხდება მფლობელთა დისტანცირება თუ ფორმალურად. ამ პროცესს უნდა დაველოდოთ. თუ საბჭო ეცდება რეალურ დისტანცირებას, მეცხერე მაინც ვერ მოიშორებს იარლიყს, რომ ის პრემიერ-მინისტრის არხია. თუ აქციები ჟურნალისტებს გადაეცემათ, აქაც მუდამ იქნება რისკი, რომ შეიძლება აქცია დაინტერესებულ პირზე გადაიყიდოს. რისკი ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს. მთავარი პოლიტიკური ნებაა. ■

# ხეობანოზასია ტეღე



ფოტო: ლევან სპრინგოლიძე

ია ანთაძე  
ჟურნალისტი

ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვიცით, რატომ გახდა „მეცხრე არხზე“ ცვლილებები აუცილებელი მაშინ, როცა რეორგანიზაცია მზადდებოდა ძველი ხელმძღვანელობის მხრიდან, როცა დღე-დღეზე ახალ ოფისში გადადიოდნენ, სამაუწყებლო ბადე ისედაც თავიდან იგეგმებოდა.

„მეცხრე არხი“ და „ინფო-9“ არჩევნების წინა პერიოდში შეიქმნა და როგორც ჩანს, ორივე ორგანიზაცია საკმაო ტვირთად დაანვა პრემიერ-მინისტრს. ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ აღარ უნდა „მეცხრე არხი“ მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში იყოს. პარალელურად არსებობდა საკმაოდ დიდი „ინფო-9“. ადვილად არც მისი დახურვა გამოდიოდა, არადა, თავისი ნიშა დაკარგა. ვფიქრობ, „მეცხრე არხი“ და „ინფო-9“ დროთა განმავლობაში შეერწყებიან ერთმანეთს. ჯერ კი შეკითხვა უფრო ბევრია, ვიდრე პასუხი.

რა თქმა უნდა, პოზიტიურია, რომ ივანიშვილი ცდილო-

ბს არხის განსაზოგადოებრიობა მოახდინოს, მაგრამ ეს იმგვარად უნდა მოხდეს, რომ თვითონ ტელევიზია არ დაზარალდეს. თუმცა, უნდა ითქვას და ამას გაეროს მონიტორინგიც აჩვენებდა, რომ ტელევიზია არცერთ ეტაპზე არ ყოფილა პროპაგანდისტული.

მფლობელობასთან ერთად დაფინანსების საკითხიც მნიშვნელოვანია. მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც ის არის, რომ არხმა მოახერხა ჟურნალისტების ძლიერი გუნდის შემოკრება თბილისშიც და რეგიონებშიც. თუ ამ გუნდის დიდი ნაწილი ტელევიზიას დატოვებს, ეს პირდაპირ აისახება ტელევიზიის შინაარსსა და ხარისხზე.

თუ სარედაქციო დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დადგება ან ჟურნალისტებს ახალ ხელმძღვანელთან აშკარა შეუთავსებლობა ექნებათ, ეს ძალიან ცუდი იქნება. ერთი მხრივ, ეს კერძო ტელევიზიაა და თითქოს ვერ ჩავერევით, მაგრამ ის იზოლირებული არაა და ეს ყველაფერი მედიაგარემოზეც აისახება. ყველაზე დიდ კითხვას ის აჩენს, რომ ჟურნალისტები საქმის კურსში არ იყვნენ.

პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდა. ამ სისწრაფეში გამორიცხული არაა, რომ ტელევიზიისთვის არცთუ სასარგებლო პროცესი განვითარდეს. კარგი იქნება თუ საშუალება ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩართულნი არიან მედიაგარემოს გაკეთილშობილების საქმეში, ინფორმაციაზე ხელი მეტად მიუწვდებოდეთ. გარდამავალი პერიოდი უნდა ჩატარდეს პასუხისმგებლობით და მისი დასრულების შემდეგ უკვე ყველაფერი უკეთ გამოჩნდება. თუმცა, იმდენად ბუნდოვანი და მოულოდნელი იყო პროცესი, რომ ჟურნალისტები გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ.

როდესაც რომელიმე მედიასაშუალება მძაფრ პოლიტიკურ კონფლიქტში მხარედ ებმება და იბრძვის, მწვავე პერიოდის ჩავლის შემდეგ ასეთი მედიასაშუალება ფუნქციას კარგავს. მან ან მთლიანად უნდა შეიცვალოს თავისი არხი, ან უნდა გადაყვეს ამ პროცესს. ეს საქართველოში არაერთხელ მომხდარა. ეს დაემართა გაზეთ „კავკასიონს“, იგივე დაემართა „რუსთავი 2“-საც და იგივე ხდება ახლა „ინფო 9“-ის თავსაც. ლუბა ელიაშვილმა შექმნა „ინფო-9“, მებრძოლი მედია. ჯერ არ ვიცით, ელიაშვილი ეცდება იგივე მოდელი აამუშავოს „მეცხრე არხში“ თუ პირიქით, არხის სტანდარტს გააგრძელებს. ამ კითხვაზე პასუხს დრო გვიჩვენებს. **■**

# ოპზანია "მე-9 ახზზე"



ფოტო: ლევან ხინჭუაშვილი

**ნინო ჯავახიშვილი**  
ჟურნალისტი

ვინც „მეცხრე არხზე“ არ ვმუშობთ და უშუალოდ ვერ ვხედავთ მნიშვნელოვან დეტალებს, რომლებიც კომპანიის შიგნით ხდება, ტელეკომპანიაში მიმდინარე პროცესების შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ სხვადასხვა მხარის ვერსიებზე დაყრდნობით ვმსჯელობთ.

სიტუაციის მთელი აბსურდულობა და ამავე დროს, ქართული მედიის მდგომარეობის ძალიან სიმბოლური მახასიათებელი ისაა, რომ ჟურნალისტებს უწევთ სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტია პოლიტიკოსისგან, უფრო მეტიც, ქვეყნის პრემიერ-მინისტრისგან მიიღონ.

„მეცხრე არხის“ მაუწყებლობის დანყება მალევე, მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ საჯაროდ განაცხადა, მაშინვე აჩენდა შეკითხვას – როგორ შეინარჩუნებდნენ ჟურნალისტები ამ ვითარებაში სარედაქციო დამოუკიდებლობას და რა გარანტიები არსებობდა ამისათვის?

წინასაარჩევნო პერიოდში „მეცხრე არხი“ იმ პოლიტიკურ იდეების და პოზიციის წარმოჩენის საშუალებად იქცა, რომელიც ნაციონალურ არხებზე შეზღუდული იყო. ტელეკომპანია ძალიან დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზრის და განწყობების შექმნაში, იგივე „ციხის კადრებით“. ამ ამბავში მგონი ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ვართ დაწმუნებული, რომ ეს ექსკლუზიური მასალა ტელეკომპანიის

ჟურნალისტური საქმიანობის შედეგი, ასე ვთქვათ, წმინდა ჟურნალისტური მონაპოვარია.

მედიაბიზნესის იმ ძალიან პესიმისტური წარსულისა და პერსპექტივების გათვალისწინებით, რაც დღეს საქართველოშია, შესაძლებელია, საჭირო იყოს საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე გამკაცრდეს სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა, როგორც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა.

რაც შეეხება ტელევიზიის ბიძინა ივანიშვილისგან „გამიჯვნას“, გასხვისება არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ამ მედიასაშუალებამ დამოუკიდებლობის გარანტიები მოიპოვოს.

„რუსთავი 2“-ის მფლობელთა სიაში ჩვენ არასოდეს გვინახავს რომელიმე პოლიტიკოსის გვარი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა არხის პოლიტიკურ მიკერძოებულობას.

რაც მეტი ბერკეტი შეიქმნება იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს, მით უკეთესი – იქნება ეს მფლობელების გამჭვირვალობა, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, საჯარო განაცხადი სარედაქციო პოლიტიკის და ღირებულებების შესახებ, საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც მფლობელებს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას აუკრძალავს თუ სხვა.

ახლა რაც ზედაპირზეა, ისაა, რომ არხის მფლობელები და მენეჯერები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ჟურნალისტების განცხადებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მათ მომავალში სარედაქციო დამოუკიდებლობის პრობლემები შეექმნათ, ამ შიშს იგნორირებას უკეთებენ. არხის მმართველმა რგოლმა არ დაიწყო იმის გარკვევა, რა შეიძლება აწუხებდეს რედაქციას, დამოუკიდებლობის რა გარანტიები სჭირდება. ჟურნალისტური გუნდის ნაწილს, მფლობელებსა და მენეჯმენტს შორის დიალოგი არ არის და ამ უთანხმოებაზე ახლა ჩვენ ვმსჯელობთ.

შესაძლოა, სჯობდა, ჟურნალისტები ტელეკომპანიაში დარჩენილიყვნენ და თავიანთი უფლებებისთვის ებრძოლათ. იქნებ ეს უფრო ეფექტიანი გზა ყოფილიყო დამოუკიდებელი მედიორგანიზაციის შესაქმნელად? როგორც ჩანს, მათ ამის რესურსი ვერ დაინახეს. თუმცა ის, თუ როგორ და როდის შეიქმნა „მეცხრე არხი“, თავიდანვე მინიშნებდა, რომ ადრე თუ გვიან ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობა, დიდი ალბათობით შეიძლებოდა, საფრთხის წინაშე დამდგარიყო. ■

# დასავლეთის ომები სხანდახებში

რატომ უკრძალავენ „ქართულ ოცნებას“ იმას, რაც ნაციონალურ მოძრაობას  
ინოვაციად და წარმატებად ეთვლებოდა?



**ლელა რუხვიასვილი**  
ცენტრალური ევროპის  
უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

„ვამინგტონ პოსტის“ სტატიის ირგვლივ ხმაური ატყდა. ჩვენი პრემიერის არაადეკვატური პასუხი და ზოგადად, ახალი მთავრობის მიმართ ჩემი კრიტიკა, მინდა, ცოტა ხნით გვერდზე გადავდო და „დასავლეთზე“ გესაუბროთ.

„ვამინგტონ პოსტი“ „ქართული ოცნების“ დისკრიმინაციის მცდელობაში მართო არ არის. დასავლური პოლიტიკური სპექტრი მართლაც მოუწოდებს მთავრობას პოლიტიკური რეპრესიებისგან თავშეკავებას, მეორეც, დასავლური მედიის დიდი ნაწილი ასევე საკმაოდ ირონიულ, შეიძლება ითქვას, ცინიკურ სტატიებს აქვეყნებს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. მსგავსი მიდგომა სხვა არაფერია, თუ არა ჰიპოკრიზია და საგარეო პოლიტიკის ამერიკული (როგორც დასუსტებული იმპერიის) პერვერსიულობა..

დასავლეთის პოზიციებზე საუბრისას ჯერ ის უნდა განვმარტოთ, რა არის დასავლეთი. სურათს თუ ძალიან გავამარტივებთ, დასავლეთის ქვეშ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ევროპა და ამერიკა. ევროპის ან ევროკავშირის ერთ აქტორად მოაზრება, რა თქმა უნდა, პრობლემურია, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში და დღევანდელი კრიზისის პერიოდში. თუმცა, ანალიტიკური სიმარტივისთვის დაფუძვალთ, რომ ევროპა/ევროკავშირი არის ერთი აქტორი, რომელსაც საქართველო ბევრად უფრო ნაკლებად აინტერესებს, ვიდრე ამერიკას. ანუ ჩვენ რეალურად ამერიკის ინტერესების

სფერო ვართ, და ამერიკის ზეგავლენა ჩვენს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო მოთამაშისა. ის საერთაშორისო ორგანიზაციები და სააგენტოები, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ ჩვენს შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ნატო) ასევე ძირითადად „დასავლეთის“ და უფრო კონკრეტულად ამერიკის პოზიციების გამტარებლები არიან. რამე კონსპირაციას არ გიყვებით, საქართველო, როგორც ჯერ ისევ საკმაოდ სუსტი ქვეყანა, არა სრულიად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია ამ საერთაშორისო აქტორების დახმარებაზე, რაც არ არის აუცილებელი, რომ მოვიზნოთ როგორც „ცუდი“ ან „ნეგატიური“ მოვლენა, თუმცა, სიფრთხილე კი გვმართებს.

ჩვენ ისე შეგვაშინეს რუსეთის ხატით და იმდენი გვიქვს ამერიკა, რომ საქართველოში იშვიათად ისმის კრიტიკული აზრი ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ. დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმის დანახვას, რომ ეს საგარეო პოლიტიკა მსოფლიოს ყველა ნაწილში ნეგატიურად არის შეფასებული და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არაერთ უაზრო ომსა და დაუსრულებელ სისხლისღვრაზე პასუხისმგებელი.

ამერიკული პროექტი მსოფლიოს კომუნიზმისგან, შემდეგ კი ტერორიზმისგან დაცვა და დემოკრატიის გავრცელება იყო. უკვე დიდი ხანია ცხადია – ამერიკის წამოწყებულმა ომებმა დემოკრატიის იმპორტი წარმატებით ვერსად ვერ განახორციელა. ვიეტნამის ომით დაწყებული, ავღანეთით გაგრძელებული და ტერორიზმის წინააღმდეგ ომით ჯერ არ დამთავრებული, ამერიკის საგარეო პოლიტიკა კრახს განიცდის.

საქართველო, მგონი, ამერიკის ერთ-

-ერთი იშვიათი პროექტი იყო, რომელსაც შედარებით „წარმატებულად“ აღიქვამდნენ. ვარდების რევოლუციას დემოკრატია არ მოუტანია, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი ასე მომხდარიყო, რომ ჩვენმა „დასავლეთმა“ თავს დააჯერა რევოლუციის წარმატებულობა და ქართული აღმშენებლობის პროპაგანდაშიც სრულფასოვნად ჩაერთო. ქართული პროექტის წარმატების განსახორციელებლად ამერიკამ მართლაც დიდი რესურსები გაიღო. ამ მცდელობის ნაწილს დადებითი შედეგები მოჰყვა, დანარჩენი ნაწილი კი სააკაშვილის მთავრობის მიერ ჩადენილ კრიმინალზე ხელის დაფარებას მოხმარდა.

ჩემი აზრით, ამერიკას რამდენიმე მიზეზით უნდა ვუმადლოდეთ. პირველი – დაუღალავი ფულადი და სხვა მრავალი სახის დახმარებისთვის; მეორე – თავად ვარდების რევოლუციის მხარდაჭერისთვის, და უკანასკნელი არჩევნების დროს ყოფილ ხელისუფლებაზე ზენოლისთვის, რამაც არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება შესაძლებელი გახადა.

მეორე მხრივ, იგივე ამერიკა საერთაშორისო საფინანსო სააგენტოებთან ერთად თითქმის ათი წელი სააკაშვილის მთავრობის ლეგიტიმიზაციას ემსახურებოდა, უკანონობის სერიებს არ იმჩნევდა ან ხელს აფარებდა. სად იყვნენ დემოკრატიის ან ადამიანის უფლებების დამცველები მაშინ, როცა ხელისუფლება უმონყალოდ არბევდა დემონსტრანტებს? 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამერიკის ელჩმა რატომ მოგვიწოდა დამოშინებისკენ და მოთმენისკენ, მაშინ, როცა არჩევნების (ნაწილობრივი) გაყალბების ფაქტები დასტურდებოდა? რატომ არ ლეღავენ ჩვენი მეგობრები იმაზე, რომ „გაბრწყინებული საქართველო“



ერთ-ერთი უღარიბესი და უთანასწორო სახელმწიფოა რეგიონში?

თუ ვინმეს ჰგონია, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებმა „არ იცოდნენ, რა ხდებოდა“, ძალიან ცდება. უკანონობათა სერიის სრული თუ არა, დიდი ნაწილის შესახებ დასავლეთი საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული. მსოფლიო ბანკის ანგარიშებში გარკვევით არის ასახული ჯერ კიდევ 2004 წელს როგორ დაიწყო პოსტ-რევოლუციურმა მთავრობამ წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრება და საპროცესო გარიგებების გზით ფულის ამოღება კანონდარღვევით. ამ კანონდარღვევების ან პოლიტიკური ნიშნით დევნის შესახებ ხმა არავის ამოუღია. მეტიც, მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მოხსენება ყოფილი ძალოვნებისთვის ქონების წართმევას „ინოვაციურ“ მეთოდად ასახელებს. (<http://siteresources.worldbank.org/GEORGIA-EXTN/Resources/9780821394755.pdf>) რადგან

ამოღებული თანხა თურმე კორუფციასთან ბრძოლას მოხმარდა, დარღვევები მისაღები ყოფილა. მსგავსი კრიმინალური მიდგომა საქართველოს ან უკვე ყოფილ ხელისუფლებას ძალაუფლებაში მოსვლისთანავე მიეტევა და ძალაუფლებაში ყოფნის ბოლომდე ასე გაგრძელდა. ნაიკითხეთ ეს მოხსენება და მიხვდებით, რომ უკანონობის „ინოვაცია“ მონათვლა დასავლეთის კრიმინალური პროცესების ღია მხარდაჭერად უნდა ჩაეთვალოს.

რა ხდება დღეს? რასაც სააკაშვილის მთავრობას წარმატებად უთვლიდნენ, „ქართული ოცნებას“ მკაცრად რატომ უკრძალავენ?

შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ დასავლეთმა, ან ამერიკამ შეცდომებზე ისწავლა და სურს, განუკითხაობა აღარ განმეორდეს. თუ ასეა, მაშინ მათი მოთხოვნა უნდა იყოს (რასაც მეც შევეუბნებოდი), რომ არავინ გასამართლდეს კანონდარღვევით და არა ასე: „არავინ შეეხოს წინა მთავრობას, თორემ თქვენზე გულს ავიცრუებთ“. უცნაურია, რატომ უნდა ითხოვდნენ ნატო-ს ან ამერიკის პოლიტიკური და მედია სივრცის

წარმომადგენლები წინა ხელისუფლების უპირობო ხელშეუხებლობას? მოითხოვონ სამართლიანობა, დამნაშავეთა დაუსჯელობის მოთხოვნის უფლება არავის არ აქვს.

აქ ვბრუნდებით ჰიპოკრიზიისა და ამერიკული საგარეო პოლიტიკის პერვერსიულობის თემასთან. როცა აქტორების მოქმედება გაცხადებულ მიზნებს არ ემსახურება – ანუ, ამ შემთხვევაში, წინა ხელისუფლების დაცვა დასავლეთის მხრიდან დემოკრატიის ხელშეწყობას არ ემსახურება – მაშინ ჩნდება კითხვა: იქნებ გაცხადებულ მიზნებსა და რეალურ მიზნებს შორის განსვლა? დასავლეთის მოტივაცია არა „საქართველოს კარგად ყოფნა“, არამედ რაღაც სხვა რამ არის.

რა არის ეს „სხვა“ ზუსტად ვერ გეტყვით. პირველი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, ისაა, რომ ამერიკას ზეგავლენის სფეროს დაკარგვის ეშინია. პოლიტიკოსების განცხადებებისგან განსხვავებით, დასავლური მედია არ ერიდება ამ შიშის გამომზეურებას და ახალი


ხელისუფლების დისკრედიტაციას სწორედ მისი რუსეთთან მსგავსების ან რუსეთის მიმართ სიმპატიის ქონის ხაზგასმით ახდენს. მსგავსი სტატიები წარმოაჩენს რამდენად მძლავრად არის შემორჩენილი ამერიკულ დისკურსში ცივი ომის დროინდელი მიდგომა მსოფლიოს დაყოფა-გადანაწილების შესახებ. ამ გადმოსახედიდან ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება საქართველოს შეემთხვეს, რუსეთის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრაა, თორემ ქვეყნის შიგნით უსამართლობაა, შიმშილი თუ კაცის კვლა, არავის ადარდებს.

რუსეთის შიშს ამერიკა სრულ გულგრილობამდე არ მიჰყავს. როგორც უკვე ვნახეთ, ამერიკის მთავრობა (უნდა აღინიშნოს დემოკრატიის/ობამას მთავრობა) ნაწილობრივ მაინც ცდილობს, რომ ოფიციალურ მიზანს – დემოკრატიზაციის ხელშეწყობას ემსახუროს. ამერიკის ზენოლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოში არჩევნებამდელი პროცესების და თავად არჩევნების მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად და კანონიერად წარსამართად.

არჩევნების შემდგომ კი, ახალი მთავრობის დემონიზაციის მაგივრად, სჯობს, იგი ახალ მოკავშირედ იყოს აღქმული; წინა ხელისუფლების უპირობო დაცვის მაგივრად, სჯობს, სამართლიან მართლმსაჯულებას შეენიჭოს ხელი. დღეს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს სასამართლო სისტემის გამართვა სჭირდება და

არა ყოფილი მოკავშირეების დასაცავად სამართლის არიდება.

ამასობაში, იქნებ ახალმა ხელისუფლებამაც იფიქროს, როგორ შეიძლება დასავლეთის და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის მოპოვება. იმედია, მალე გამოძებნიან გზებს, რადგან არსებული პოზიცია – „ვაშინგტონ პოსტს პასუხს მოვთხოვთ“ – აშკარად არაფერს უშვებს.

P.S. „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიასზე ჩემი ნეგატიური პოზიცია დღეს „ფეისბუქზე“ დავაფიქსირე, ოღონდ ინგლისურად. ერთმა მეგობარმა მითხრა, ეს რომ ქართულად დაგენერა, ანათემას გადაგცემდნენო. ანათემის მოლოდინში ვარ. 



**■ უცნაურია, რატომ უნდა ითხოვდნენ ნატო-ს ან ამერიკის პოლიტიკური და მედია სივრცის წარმომადგენლები წინა ხელისუფლების უპირობო ხელშეუხებლობას? მოითხოვონ სამართლიანობა, დამნაშავეთა დაუსჯელობის მოთხოვნის უფლება არავის არ აქვს.**



ფოტო: ლევან მორჯულიანი

# "ეს წაღი ბეჰი ჰაღით იყო ბაღოღჩაღი"

ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე  
**თამარ ჩუგოშვილთან**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 24 ნოემბერს  
ორგანიზაციის წლიური ანგარიში წარმოადგინა. მეღია, არჩევნები,  
სასამართლო, ადამიანის უფლებები...  
ეს ის სფეროებია, რომლებზეც საღია ძირითად ყურადღებას ამახვილებს.  
რით იყო გამორჩეული 2012 წელი? „ლიბერალი“ ასოციაციის  
თავმჯდომარეს, თამარ ჩუგოშვილს ესაუბრა.

**ახალგაზრდა იურისტებისთვის რითი იყო გასული წელი დასამახსოვრებელი?**

ეს წელი ბევრი რამით იყო გამორჩეული. უპირველესად, იმით, რომ ისეთი შედეგები მივიღეთ, როგორც მანამდე არც ჩვენ და არც მთლიანად სექტორს არასდროს გვქონია. ვგულისხმობ კამპანიას „ეს შენ გეხება“, წინასაარჩევნო პერიოდის დაკვირვებას და ა. შ.

ამ წლების განმავლობაში სახელმწიფოსთან წარმატების მიღწევა ძალიან რთული იყო, რადგან საქმე მონოლითურ სისტემასთან გვქონდა. ამ პირობებში, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ორ უმნიშვნელოვანეს კანონპროექტს გავუწიეთ ლობირება. ესაა პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ კანონში შესული ცვლილებები, რომლის თავდაპირველ ვარიანტში საშინელი ჩანაწერი იყო და კონტროლის პალატას ნებისმიერი პირის გაკონტროლების განუზომელ ძალაუფლებას აძლევდა, ასევე, ე.წ. „მასთ ქერი“ და „მასთ ოფერი“. ამან იმ ტელევიზიებს, რომლებსაც დაფარვის პრობლემა ჰქონდათ, არეალი მნიშვნელოვნად გაუზარდა. შედეგად, ალტერნატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ბევრ ამომრჩეველს მიეცა, რათა მათ გადაწყვეტილება მხოლოდ პროპაგანდისტულ ქადაგებებზე დაყრდნობით არ მიეღოთ, რასაც ნაციონალური მაუწყებლები სთავაზობდნენ.

ჩვენ მივიღეთ გამამართლებელი განაჩენებიც, ბევრი არა მაგრამ რაც იყო ისიც წარმატებად მიგვაჩნია, რადგან გამამართლებელი განაჩენის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

**რას მიიჩნევთ ისეთ საქმედ, რაშიც დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეთ?**

განსაკუთრებული მარცხი არ მახსენდება, თუმცა როდესაც, მაგალითად, „მასთ ქერის“ ლობირება დავიწყეთ, ეს იყო დიდი პაკეტი. ის სხვადასხვა მნიშვნელოვან თემას ეხებოდა: საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების კონტროლი და

ა.შ. მაშინ მოგვინია, რომ ამ თემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, „მასთ ქერი“ აგვეჩინა. ანუ, ისე გამოვიდა, რომ დანარჩენი ასევე მნიშვნელოვანი თემები, რომელთა გატანასაც პროცესზე შესამჩნევი გავლენა ექნებოდა, „მასთ ქერის“ შევნიერეთ. თუმცა, საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა.

**ბოლო დროს თქვენ მიმართ ბრალდებები ისმის. მაგალითად, პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელებმა წერილიც კი გამოაგზავნეს ციხიდან, სადაც თქვენი ორგანიზაცია მუშაობს.**

**■ ამ წლების განმავლობაში სახელმწიფოსთან წარმატების მიღწევა ძალიან რთული იყო, რადგან საქმე მონოლითურ სისტემასთან გვქონდა. ამ პირობებში, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ორ უმნიშვნელოვანეს კანონპროექტს გავუწიეთ ლობირება.**

ციის პოზიციას აკრიტიკებენ. მანამდე კი ბრალს გდებდნენ იმაში, რომ ხელი არ მოაწერეთ დეკლარაციას პოლიტპატიმრების შესახებ. რატომ ისმის ეს ბრალდებები, და საერთოდ როგორია თქვენი პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით?

რაც შეეხება ხელისმონწერას: ეს იყო ვილაციის მიერ მომზადებული რაღაც ტექსტი. ძალიან ბევრი ტექსტი არსებობს, რომელსაც მე ხელს არ ვანერ. როდესაც რომელიმე ორგანიზაციის განცხადებას ვუერთდები, და მათ ეს ძირითადად ლეგიტიმაციის ასამაღლებლად სჭირდებათ ხოლმე, უნდა

ვიცოდე, რას ვანერ ხელს.

პოლიტპატიმრები ძალიან მნიშვნელოვანი და სათუთი თემაა. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის პატიმრები არსებობენ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველას ხელალებით პოლიტპატიმარი არ ვუნოდოთ. ამით ეს ცნება უფერულდება. აიღეთ მერაბ რატიშვილის განცხადება, ეს ადამიანი წლების განმავლობაში ციხეში ტყუილად ზის და იქამდე მივიდა, რომ საერთოდ არ სურს ეს სტატუსი, ისეთი გვარების გვერდით აღმოჩნდა სიაში.

საკითხს მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. 2010 წლიდან მოყოლებული ამ თემაზე ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. 2011 წელს სპეციალური ანგარიშიც გვქონდა, ეს ბრალდებები ყურით იყო მოთრეული. ერთადერთი ორგანიზაცია ვართ, ვინც ამ თემაზე ნაშრომი, კვლევა წარმოადგინა. ჯამში 55 საქმეზე გვაქვს დასკვნა მომზადებული. ეს სია პარლამენტის კომიტეტთან არსებულ იმ სამუშაო ჯგუფს მივანოდეთ, რომელიც დაგტოვეთ. დაგტოვეთ, რადგან იქ მუშაობა შეუძლებელი იყო. თუმცა, თანამშრომლობა გავაგრძელებთ, ვინაიდან პროცესს ვგულშემატკივრობდით. საქმეების იმ ნიღზე, რომელიც ჩვენ შესწავლილი გვაქვს, პასუხისმგებლობას ვიღებთ.

**ახლა ერთ-ერთი აქტუალური თემა ამნისტიის კანონპროექტია, რა კითხვები გაქვთ მოსალოდნელი ამნისტიის პროექტთან დაკავშირებით?**

ამნისტია თავისთავად კარგია. მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, კანონის ტექსტში რა ჩაინერება, მე მხოლოდ პირველ ვერსიას ვიცნობ და მასზე შემძლია ვილაპარაკო. ეს ვერსია წარმოუდგენლად მასშტაბურ ამნისტიას გულისხმობდა, ჩვენ ზუსტად არ ვიცოდით, რამდენ მსჯავრდებულზე იყო საუბარი. მანიპულირება არ მინდა, მაგრამ ეს შესაძლოა იყო 10 ან 15 ათასი პატიმარი. ზუსტი რაოდენობა უნდა ვიცოდეთ. ვიცი, რომ ეს ვერსია შეიცვლება, თავად

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებსაც სერიოზული შენიშვნები ჰქონდათ. რა სახეს მიიღებს, არ ვიცი.

ვინაიდან საპატიმრო დაწესებულებებში აუტანელი მდგომარეობა იყო, ამიტომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას და პატიმრებს სასჯელი უმესამედდებათ. თუმცა, როცა სრულ გათავისუფლებაზე საუბარი, და მაგალითად, მსჯავრდებული ყაჩაღობის ან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამო დაპატიმრებული, გათავისუფლებას უფრო მეტი დასაბუთება სჭირდება.

**თქვენ გამგეობის წევრად თინა ხიდაშელი აირჩიეთ, რამდენად ნორმალურია, როდესაც გამგეობის წევრად ხელისუფლებაში მყოფ დეპუტატს ირჩევთ, იმ ფონზე, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებითაც კი, ზოგადად ცუდია, როცა ხელისუფლება და არასამთავრობოები „მეგობრობენ“?**

ჩვენ წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია ვართ. ჩვენი გამგეობა 21 წევრისგან შედგება, რომლის ერთ მესამედს ყოველ წელს ვანახლებთ. ყველა წევრს, რომელიც ჯერ 40 წლის არ არის, უფლება აქვს, წევრად აირჩიონ. წელს თინა ხიდაშელი დასახელდა და მას მხარდამჭერთა საკმარისი რაოდენობა აღმოაჩნდა.

წესდება ამას არ კრძალავს, მაგრამ ჩემი პირადი მოსაზრება თუ გაინტერესებთ, ეს ორგანიზაციისთვის კარგი არ არის. პირადად ხიდაშელზე არ არის საუბარი. ზოგადად, ორგანიზაციის მმართველ ორგანოში პოლიტიკოსის ყოფნა კარგი არ არის, არა იმიტომ, რომ ეს გავლენას ახდენს, არამედ იმიტომ, რომ კითხვებს აჩენს.

**რამდენად ძლიერია საქართველოში ზოგადად არასამთავრობო სექტორი?**

სხვადასხვა პლატფორმიდან არასამთავრობოთა კრიტიკა ხშირად ისმის. ეს კრიტიკა განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ გააქტიურდა და დიდხნის წინ დაეინყებულ ისეთი ტერმინები

გაცოცხლდა, როგორცაა გრანტიჭამიები და ა.შ.

არჩევნების წინ სექტორმა ძალიან იაქტიურა, უმნიშვნელოვანესი საქმეებიც გააკეთა. ჩემთვის ამ კრიტიკის ტალღის აგორება ძალიან უცნაური იყო. ეს ძირითადად სახალხო დამცველის არჩევის თემასთან იყო მიბმული. და ალბათ იქიდან გამომდინარეობდა, რომ კონკრეტულ ადამიანებს კონკრეტული ინტერესები ჰქონდათ.

მიუხედავად ამ კრიტიკისა, მე მიჭირს დაგისახელოთ ქვეყანა, სადაც

**■ პირადად ხიდაშელზე არ არის საუბარი. ზოგადად, ორგანიზაციის მმართველ ორგანოში პოლიტიკოსის ყოფნა კარგი არ არის, არა იმიტომ, რომ ეს გავლენას ახდენს, არამედ იმიტომ, რომ კითხვებს აჩენს.**

არასამთავრობო სექტორს ასეთი გავლენა აქვს.

თვითკრიტიკულიც ვარ და ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. არის ახალი იდეების ნაკლებობა და ა.შ. თუმცა, საერთო ჯამში, მგონია, რომ არასამთავრობოები, ძირითადად, ძალიან კარგად ვმუშაობთ, ცხადია, ეს ყველას არ ეხება.

**სახალხო დამცველის პოსტზე 100-ზე მეტი არასამთავრობო აქტიურად ლობირებდით თამარ გურჩიანის კანდიდატურას, თუმცა, როგორც ჩანს, ამოღდა, რა იყო ამ მარცხის მიზეზი?**

აღმოჩნდა, რომ არათუ ჩვენი, არამედ ვერცერთი ის კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ წარმოადგინა.

ვფიქრობ, ეს საპარლამენტო უმრავლესობის პირველი დიდი შეცდომა და ჩავარდნაა. ინიციატივა თავად საპარლამენტო უმრავლესობამ გააჟღერა, არავინ ექაჩებოდა. ძალიან აქტიური პროცესი დაიწყო, რომელიც შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო, თუმცა, ეს ცალკე თემაა. დასახელდა რამდენიმე კანდიდატი, და უეცრად პარლამენტმა, იმ ფონზე, რომ ყველანაირი კანონი და ვადა დაარღვია, რისი დარღვევაც კი შეიძლებოდა, დაგვყენა ფაქტის წინაშე, რომ არ აინტერესებდა არავითარი პროცესი, არავითარი დისკუსია. ადამიანები კვირების განმავლობაში პირდაპირ ეთერში იყვნენ გამოკიდებული და ყველანაირ კითხვასა თუ კრიტიკას პასუხობდნენ. ეს ყველაფერი უმრავლესობამ უცებ სრულიად უგულებელყო და აღმოჩნდა, რომ მათ თავიანთი კანდიდატი ჰყოლიათ. ან ეს პროცესი რა იყო, ან ის განცხადება, რომ კანდიდატი ჩვენ უნდა შეგვეთავაზებინა... ამ პროცესმა ძალიან ცუდი ფორმა მიიღო.

**სასამართლო, მედია, არჩევნები... თქვენ მრავალ სფეროს ეხებით, ამ მომენტისთვის, თქვენი აზრით, ყველაზე პრობლემატური სფერო რომელია?**

პრობლემატური ბევრია, თუმცა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულებაა. ეს სათუთი თემაა, რომელსაც, ერთი მხრივ, რეფორმა სჭირდება, მეორე მხრივ კი – ხისტი ჩარევა არ შეიძლება. ხისტი ჩარევა იყო, ის რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მაშინდელმა ხელისუფლებამ გააკეთა, დაითხოვა ყველა მოსამართლე, მოიყვანა ახლები, და მივიღეთ ხელისუფლების მიმართ აბსოლუტურად ლოიალური მოსამართლეები.

სასამართლოზე ერთი ძალადობა მეორეთი არ უნდა ჩანაცვლდეს, სასამართლო დამოუკიდებელი თუ არ იქნება, ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს ვერ განვავითარებთ. ■

**ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი.**

აუსია

მომენტალური  
განვადება

## “უდარდელი ერთი წელი”



**დაიწყეთ მომენტალური განვადების აუსია** – „უდარდელი ერთი წელი“. შეიძინეთ საახალწლო საჩუქრები საყვარელი ადამიანებისთვის, ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, სამოგზაურო ტურები და მრავალი სხვა მომსახურება ბანკ „რესპუბლიკის“ 1-წლიანი 0%-იანი განვადებით! უფრო მეტის! აქციის ფარგლებში პირველადი შენატანი 0%-დან!

 **ბანკი რესპუბლიკა**  
**BANK REPUBLIC**

ჯაჟი სოსოძე ქანაჩანი

290 90 90

\* 90 90

BR.GE

# ზახიანთახი ჩემი სოფელი

სოფელი, სადაც ერთ დროს ოსები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, დღეს ორადაა გაყოფლი და ვერც ერთი, ვერც მეორე მხარე ერთმანეთის „ტერიტორიაზე“ ვერ გადადის.

ავტორი, ფოტო: გიორგი გოგუა







სოფლის ვინრო გზა მტვრიანია. მართალია, რამდენიმე წამის წინ ჩავლილი მანქანა უკვე თვალს მიეფარა, მაგრამ ძრავის ხმა ჯერ კიდევ ისმის. მალე ეს ხმაც წყდება და ყველაფერი ისევ ჩუმდება. მსგავსი სიჩუმე სოფლისთვისაც კი უჩვეულოა: არც ძაღლების ყეფა ისმის, არც საქონლის ხმა... ადამიანებიც არსად ჩანან. ამ მყუდროებას დროდადრო ის უზარმაზარი სამხედრო მანქანა არღვე-

ვს, წელან რომ ჩამოიარა: ის სოფლის დასაწყისსა და ცენტრში მდგარ ორ სამხედრო საგუშაგოს შორის მოძრაობს. დროგამოშვებით, სამხრეთ ოსეთში აშენებული რუსული სამხედრო ბაზებიდან აფეთქებების ხმასაც თუ არ ჩავთვლით, ზარდიანთკარში უკვე ოთხი წელია, სრული სიმშვიდეა, მაგრამ სოფლის უსაფრთხოებას რამდენიმე ჯარისკაცი მაინც აკონტროლებს.

ზარდიანთკარი ოსეთის დეფაქტო საზღვრისპირა სოფელია და იქ ეთნიკურად ქართველი და ოსი მოსახლეობა ცხოვრობს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელი ქართველებისგან თითქმის დაიცალა. სამოცი ოჯახი, რომელმაც სახლ-კარი დატოვა, გორში, საბავშვო ბაღის შენობაში შეასახლეს. მართალია, ომის დასრულების შემდეგ ზარდიანთკარს ოფიციალურად ქართული მხარე





■ სოფელში ერთადერთი ბავშვია, თორმეტი წლის ლადო, რომელიც გორიდან ერთი კვირით ჩამოვიდა, რომ ბაბუას სახლისა და ეზოს მონესრიგებაში მიეხმაროს.

აკონტროლებდა, მაგრამ რეალურად იქაურობა გაურკვეველი კრიმინალური ჯგუფებით იყო სავსე. დევნილი მოსახლეობა შინ დაბრუნებას ვერ ახერხებდა, მაშინ, როდესაც მათი სახლ-კარი იძარცვებოდა.

ომიდან ოთხი წლის შემდეგ, 2012 წლის ივლისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადანყვევტილებით, ზარდიაანთკარში სამხედრო სა-

გუშაგო გაიხსნა. სოფელი ორად გაიყო: საგუშაგოს ჩრდილოეთით ეთნიკურად ოსი მოსახლეობა აღმოჩნდა, სამხრეთით კი – ქართველების სახლები, რომლებიც მოსახლეობამ ნელ-ნელა დაიწყო დაბრუნება.

ომის შემდეგ მიტოვებულ სახლებამდე მისასვლელად მოსახლეობას ორი სამხედრო საგუშაგოს გავლა უწევს. ზარდიაანთკარის შესასვლელში, პატარა ხიდთან

ჯარისკაცები გამვლელებს ურჩევენ, გზიდან არ გადაუხვიონ. სოფელი, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიითაა გარშემორტყმული. ამ საგუშაგოს ციციწო ელკაშვილი ყოველ კვირას გადის. მას შემდეგ, რაც სოფელში შესვლა უსაფრთხო გახდა, მისი მეუღლე ძველ სახლში დაბრუნდა, თვითონ კი გორიდან ზარდიაანთკარში დროგამოშვებით დადის და დაზიანებუ-



გაბლიშვილების ახლად დაბრუნებულ ოჯახს მეზობლები ჭის ამოთხრაში ეხმარებიან, 29 ნოემბერი 2012

ლი სახლის აღდგენაში ეხმარება.

მათი მოზრდილი სახლის სახურავისაგან ქუჩის მხარეს კარკასებილად დარჩენილი. აივანზე ზოგან ფიცრებია დაწყობილი, რომ გამვლელს ჩანგრეულ ბეტონში ფეხი არ მოჰყვეს. „აბა, აქ ბავშვები რანაირად მოვიყვანო?“ – ამბობს ციცინოს ქმარი, მიხეილ გაბლიშვილი და დამწვარი ჭერისკენ უთითებს: „ზამთარში, წყალი და თოვლი რომ ჩამოვა, ან სახურავი ჩამოგვექცევა, ან ეს აივანი დაგვენგრევა ფეხქვეშ“. გაბლიშვილი ჰყვება, რომ მათი სახლები არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოინახულეს: „რალაცები ჩაინერეს, გვითხრეს, დაგეხმარებითო და ველოდებით, მაგრამ ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე თუ არ მივხედეთ, სხვა კაციშვილი ვერ დაგვეხმარება“.

გაბლიშვილების სახლის ოთხი ოთახიდან საცხოვრებლად ვარგისი მხოლოდ ერთია, სადაც ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ორი გასაშლელი სანოლი, ძველი ტახტი და ლუმელი დგას: „ამ ტახტს ადრე ვწუნობდით, ახლა კიდევ გამოგვადგა“, – ამბობს დიასახლისი და ცომის მოზელას აგრძელებს – სადილს ამზადებს მეზობლებისთვის, რომლებიც მის ქმარს ეზოში ჭის ამოთხრაში ეხმარებიან.

უნყოფა სოფელში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სარწყავი არხი უკვე ოთხი წელია, დამშრალია.

ხეილი, რომელიც შემოსავლის მთავარი წყარო იყო, დახმა. ახლა მათგან შემის პატარა გორებილად შემორჩენილი, გაზაფხულზე კი ეგეც აღარ იქნება. ვაშლის ახალგაზრდა ხეებს სოფელში დაბრუნებული რამდენიმე ოჯახი სინანულით ჭრის, რომ ზამთრის სიცივეში გასათბობად გამოიყენოს.

შუადღეა. ასეთ დროს ბავშვები სკოლიდან შინ ხმაურით ბრუნდებიან ხოლმე, მაგრამ აქ მსგავსი რამ დიდი ხანია, არ მომხდარა. სოფელში ერთადერთი ბავშვია, თორმეტი წლის ლადო, რომელიც გორიდან ერთი კვირით ჩამოვიდა, რომ ბაბუას სახლისა და ეზოს მონესრიგებაში მიეხმაროს. ომამდე ის სხვა თანატოლებთან ერთად ზარდიაანთკართან ახლოს, პატარა სკოლაში სწავლობდა: „სოფელში მინდა დაბრუნება, აქაურობა მიყვარს“, – ამბობს, მაგრამ ისიც იცის, რომ ძველ სახლში ცხოვრება არც ისე ადვილი იქნება: მეორე სართულზე ასასვლელი კიბისგან შინ დაბრუნებულებს ჩონჩხილად დახვდათ – საფეხურები მოიპარეს. დაცარიელებულ ოთახში ოდესღაც შეთერთებული კედელი ნატყვიარებითაა სავსე. ომს ჭურჭლის მცირე ნაწილი გადაურჩა, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ არ ყრიან, რომ ახლის შესაძენად ფული არ აქვთ.

მათ ოჯახს სოციალური დახმარება საბჭოთა წარმოების ძველი სატვირ-

თო მანქანის გამო მოუხსნეს, რომელიც ლადოს ბაბუამ, ნიკოლოზ თაზიშვილმა, ომს გადაარჩინა და ზარდიაანთკარიდან გორში ჩაიყვანა. ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია და იმის გამო, რომ საპენსიო ასაკს მიღწეულიც არავენაა, მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო ფიზიკური სამუშაოა, რომელიც, როგორც ამბობენ, არც ისე ხშირად აქვთ. ჰუმანიტარული დახმარებით მათაც მიიღეს რამდენიმე გასაშლელი სანოლი და ლეიბები, თუმცა სოფელში ოჯახის საცხოვრებლად დასაბრუნებლად ეს საკმარისი არ არის.

მსგავსი პრობლემების გამო ზარდიაანთკარში სულ რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა. მართალია, სოფლის მათთვის განკუთვნილ ნახევარში თავს უსაფრთხოდ გრძობენ, თუმცა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებამდე საკუთარ კარ-მიდამოში ჩასახლებას ჯერჯერობით არ გეგმავენ. „დაბრუნების შემდეგ ცხოვრება სხვანაირია“, – ამბობს 63 წლის ელენე გაბლიშვილი. მას სხვებთან შედარებით უკეთესი გარემო დახვდა: სახლი მხოლოდ გაძარცვული იყო და არა დაზიანებული, თუმცა, ისევე, როგორც სხვა თანასოფლელებს, მასაც მოუწია ხეილის დამხმარი ბაღის გაჩეხვა: „ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. ადრე ოს მეზობლებთან ერთად ვცხოვრობდით, ჭირი იყო თუ ლხინი, ერთმანეთს ვეპატიჟებოდით, ვეხმარებოდით. ახლა კი სოფელი ორად გაიყო“, – ამბობს გაბლიშვილი და იხსენებს, როგორ შეიფარა 1992 წლის ომის დროს ზარდიაანთკარის ეთნიკურად ქართველმა მოსახლეობამ ოსი მეზობლები.

ოთხმოცდაათიანების დასაწყისში შეიარაღებული დაპირისპირება ამ სოფელს არ შეხებია, ამიტომაც ოსებისათვის ის ერთგვარი თავშესაფარი იყო. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა: სამხედრო საგუშაგოს მიღმა, ზარდიაანთკარის „ოსურ ნახევარზე“ ქართველებს აღარ უშვებენ. ერთადერთი ადგილი, რომელსაც ძველი, მშვიდობიანი მეზობლობის კვალი ეტყობა, სოფლის ძველი, მოუფლელი სასაფლაოა, სადაც ოსები და ქართველები ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან დამარხულები. ■



საპ  
306

**THE 13<sup>th</sup>**  
**TBILISI INTERNATIONAL**  
**FILM FESTIVAL**

თბილისის  
საერთაშორისო  
კინოფესტივალი

**03 - 09. 12. 2012**

[www.tbilisifilmfestival.ge](http://www.tbilisifilmfestival.ge)



# საჯაჟიო ზონა - ეხბნეთის ბაზრობა

„ყველამ კარგად იცის, როგორ აკავშირებს ადამიანებს საქმიანი ურთიერთობები და საერთო ინტერესები. ამის მაგალითად ერგნეთის ბაზრობაც საკმარისია“, – 15 ივლისს ოპოზიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ამ სიტყვებით ქალაქ გორში, „ქართული ოცნების“ აქციაზე შეკრებილ მოსახლეობას მიმართა და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ერგნეთის ბაზრობის აღდგენის პირობა დადო. ბაზრობა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიხურა, წლების განმავლობაში ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი ურთიერთობის კარგი მაგალითი იყო, თუმცა, ყველაზე ხშირად ერგნეთის ბაზარს კონტრაბანდის, კორუფციისა და კრიმინალის ბუდედ მოიხსენიებენ.

## გიორგი ჭეიშვილი

ერგნეთში მოსახვედრად ქართული საგუშაგო უნდა გაიარო. პირველი, რაც სოფელში შესვლისას თვალი გხვდებათ, 2008 წლის ომის დროს გადამწვარი და სახურავჩამონგრეული სახლებია. მინერბამსხვრეული ფანჯრებიდან ცხინვალი მოჩანს. გზა თუ არ იცი, ან ქართველი სამხედროების მითითებას არ მოუსმინე, შესაძლოა, რუსებისა და ოსების მიერ კონტროლირებად ზონაში მოხვდე, რადგან დე-ფაქტო სახელმწიფოსთან საზღვრები იმდენად „მკრთალი“ და პირობითია, რომ მათი შემჩნევა და რეალურად აღქმა რთულია.

საავტომობილო გზის გაყოლებაზე კიდევ ერთი ქართული ბლოკ-საგუშაგოა, რომლის იქით გზის გაგრძელება შეუძლებელია. შეუძლებელია ასევე იმ ტერიტორიასთან მიახლოება, სადაც 2004 წლამდე ერგნეთის ბაზარი მუშაობდა: „უზარმაზარ

ტერიტორიაზე ერთი ძალიან დიდი, მეორე კი შედარებით მომცრო ბაზრობა იყო. აქვე ოსებსაც ჰქონდათ დახლები. სანვაგის ბაზარი ცალკე იყო. დღე და ღამე მუშაობდა ამხელა ბაზრობა, ღამის 3 საათზე სტუმრები რომ გწევოდნენ, უცებ გახვიდოდი ორ ნაბიჯში და ყველაფერს იყიდდი, ახლა პროდუქტისთვის გორში უნდა წახვიდე“, – იხსენებენ სოფელ ერგნეთის საფიხვნოში შეკრებილი მოსახლეები.

„ბაზარი ყველასათვის კარგი იყო, ერთი დასაქმებული კაცი, მთელ სანათესაოს ადგებოდა. ამიერკავკასიას ამარაგებდა ერგნეთი, დასავლეთიდან აქ ჩამოდიოდნენ სამუშაოდ. ბაზრობა 2004 წლის გაზაფხულზე დაშალეს, კონტინერები დალუქეს, ვისაც ტრანსპორტი ჰქონდა, თან წაიღო, ვისაც არა და აქ დარჩა. მევე მიშა ქარელმა ბრძანება გასცა, წაიღეთ ვისაც რა გინდათო, ხალხიც შეესია და დაინა-



წილეს. ამ სოფელში ერთი ჩხირი არავის წამოუღია იქიდან“, – იხსენებენ ერგნეთელები.

ერგნეთის ბაზრობის აღდგენის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის ოპონენტი კოალიციის ლიდერმა გორის რაიონის მოსახლეობას ბაზრის აღდგენის პირობა მისცა.

გორის აქციაზე სიტყვით გამოსვლისას



აგერ უკვე 8 წელია, ადგილობრივებს დოლარის ფერი აღარ ახსოვთ. ივნისი 2004

სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ერგნეთის ბაზრობის დახურვა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგი იყო, რადგან მათ რომ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე ეზრუნათ, ერგნეთის ბაზარს დაუფიქრებლად და ხელალებით არ დახურავდნენ.

„ამ ბაზრობის წყალობით, წლების წინ ქართველებმა და ოსებმა ურთიერთობის აღდგენა შეძლეს. ეს ურთიერთობა ბუნე-

ბრივ კალაპოტს უბრუნდებოდა. ერგნეთში ისინი არა მარტო ხვდებოდნენ ერთმანეთს, არამედ საერთო ბიზნესშიც ჩაებნენ და საქმესაც ერთად უძღვებოდნენ. მაშინ ქართველებმა და ოსებმა თავიდან აღმოაჩინეს, რომ თურმე ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ. ახლა კი, იქ, სადაც 8 წლის განმავლობაში ქართველებისა და ოსების საერთო სავაჭრო დახლები იდგა და სავალუტო ჯიხურები მუშაობდა, რუსული

სამხედრო პოსტია“, – აცხადებდა ივანიშვილი.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მოსახლეობას ერგნეთის ბაზრობის ლეგალურად, კანონიერების ფარგლებში აღდგენის პირობა მისცა, რასაც შეკრებილთა ოვაციები მოჰყვა.

ამ გამოსვლიდან მეორე დღეს, 16 ივლისს, ივანიშვილის ინიციატივას ტე-

ლეკომპანიები: „რუსთავი 2“ და „იმედი“ გამოეხმაურნენ.

„ქრონიკის“ მომზადებულ სიუჟეტში ერგენტის ბაზრობა „ქართული ეკონომიკის შავ ხერხადაა“ მოხსენიებული. გამოკითხული მოსახლეობა კი იხსენებს, რომ ბაზრობა „სუფთა ჩრდილოვანი ეკონომიკა“ იყო და თავის დროზე ის ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით ვაჭრობის ადგილად იქცა.

„რუსთავი 2“-ის სიუჟეტში აღნიშნულია, რომ საქართველოს საბაჟო სისტემის გასაკონტროლებლად 1999 წელს ტენდერი გამოცხადდა; გამარჯვებულ კომპანიას საბაჟო გამშვები პუნქტებიდან შემოსული პროდუქციის კანონიერება უნდა შეესწავლა და გაეკონტროლებინა, მათ შორის იყო ერგენტის ბაზრობა – „გამარჯვებულმა კომპანიამ მუშაობა დაიწყო, რის შედეგადაც ერგენტზე კორუფცია და კონტრაბანდა კიდევ უფრო გაიზარდა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ სატენდერო კომისიამ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ, კომპანიისგან ქრთამი აიღო. კომისიას კი მაშინდელი ფინანსთა მინისტრი – დავით ონოფრიშვილი ხელმძღვანელობდა“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, კასპის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ონოფრიშვილი, რომელიც 1998-2000 წლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრი იყო, ადასტურებს, რომ ერგენტის ბაზრობა ფინანსური თვალსაზრისით შავი ხერხი იყო, რადგან ღია ზონებიდან საბაჟო-საიმპორტო პროცედურების დაუცველად საქართველოში დიდი ოდენობით კონტრაბანდა შემოდიოდა, ბიუჯეტში კი შემოსავალი პრაქტიკულად არ ხვდებოდა. მისი თქმით, კონტროლის მექანიზმების სისუსტესთან ერთად, სამართალდამცავები და ხელისუფლების ის ნარმომადგენლები, რომლებსაც ამ ზონების დახურვაზე უნდა ეზრუნათ, კორუფციის გავლენით უკანონოაზე თვალს ხუჭავდნენ.

„ერგენტის ბაზრობის ერთადერთი პოზიტიური მხარე ის იყო, რომ ქართველებსა და ოსებს პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც ვაჭრობა თავისთავად ხელს უწყობს. რაც შეეხება ტენდერს – საქართველოს საბაჟო შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით, 1999 წელს მსოფლიო ბანკის ორგანიზებული ტენდერი გამო-

ცხადდა. რამდენადაც მასსოვს, წინასწარ იყო განსაზღვრული, რომ ერგენტის ზონის კონტროლზე პასუხისმგებლობას არცერთი კომპანია არ აიღებდა. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ნარმომადგენლები ერგენტში საერთოდ არ იდგნენ“, – იხსენებს ონოფრიშვილი.

ბაზრობის დამფუძნებელი, დიმიტრი დოიჯაშვილი ჰყვება, რომ ერგენტის ბაზრობა, როგორც ასეთი, ბაზრად არ გახსნილა. უბრალოდ, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დაძაბვამდე, სოფელი ცხინვალს უკავშირდებოდა და აქ ვაჭრობა მოსახერხებელი იყო.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როცა პირველი კონფლიქტი წარმოიშვა, ერგენტმა

## ■ „მიუხედავად იმისა, რომ ერგენტის ბაზარი ნამდვილად იყო კორუფციის წყარო, ის თავისი ფუნქციით კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მოგვარებას უწყობდა ხელს. ამ ბაზრობის გაუქმება დაუშვებელი იყო“.

ეს ფუნქცია დაკარგა. „აქედან გორამდე 29 კილომეტრია. პროდუქციის გასაღება მოსახლეობას იქ უწევდა. მიხდოდა ალტერნატიული გზა გამოემენახა, ამიტომაც ქალაქის გამგეობაში გორის საკოლმეურნეო ბაზრის ფილიალის ერგენტში გახსნის საკითხი დაეაყენე. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მიწის ნაკვეთიც გამოგვიყვეს. ანგარიშსწორებას გორის საკოლმეურნეო ბაზრთან ვახდენდით, თუმცა მისი გაყიდვის შემდეგ ჰაერში დავრჩით გამოკიდებული. სწორედ ამიტომ, 1996 წელს შპს „ერგენტი“, შემდგომში ერგენტის ბაზრობა შეიქმნა“.

დიმიტრი დოიჯაშვილის თქმით, გადასახადების გადახდის ფორმის დასადგენად მან საქართველოს შემოსავლების სამსახურს მიმართა, სადაც უთხრეს, რომ მსგავს საკითხებს სპეციალური სამსახური –

„საგანგებო ლეგიონი“ მოაგვარებდა. თუმცა, საკითხი რეალურად ვერ მოგვარდა: „ამის შემდეგ საგადასახადო სამსახურს მივმართე და გადასახადების გადახდა ერთჯერადი მოსაკრებლის შესახებ კანონის მიხედვით შეეთავაზე. დაგებქდეთ ე. წ. ჩეკ-ქვითრები, რომლებიც რეგისტრაციაში გავატარეთ. 3-4 თვეში ერთხელ კომისია ბაზარზე საქონლისა და თანხის ბრუნვას ამონიშნებდა, ასე ვადგენდით გადასახადის ოდენობას. ერგენტის ბაზარს ძალიან დიდი ბრუნვა ჰქონდა, რამაც მისი დაცვა გაართულა. თავდაპირველად გორის რაიონის პოლიცია, შემდეგ კი სოფელ ერედვის პოლიციის განყოფილება გვემსახურებოდა. კონტრაბანდა იქნებოდა, თუ რაიმე სხვა დარღვევა, ეს ყველაფერი მათ უნდა გაეკონტროლებინათ. გარკვეული დროის შემდეგ აქაურობა შავ ხერხად და კონტრაბანდის ბუდედ იქცა, ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ბაზარი ოფიციალურად დაიხურა“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, 2000-2001 წლებში საქართველოს შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, რომ ერგენტის ბაზრობა კონტრაბანდის, კორუფციის და კრიმინალის ბუდე იყო; შემოდიოდა საქონელი, რომელიც როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის კონტრაბანდული იყო, ხშირი იყო კორუფციული გარიგებები და კრიმინალი, რადგან ამ ბაზრობაზე ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა.

„იქ იყიდდი როგორც საკვებ პროდუქტს, ასევე ავტომატს. შემოსავლების მინისტრის პოსტზე ყოფნისას სეპარატისტების ხელმძღვანელ ჩიბიროვთან ჩავედი. ჩიბიროვი მთხოვდა, რომ ერგენტის ბაზრის მონესრიგების საკითხი შევარდნაძესთან დამეყენებინა, რათა ეს ბაზრობა როგორღაც მონესრიგებულყო და ჩარჩოში მოქცეულიყო. ჩიბიროვს ეს საკითხი ანუხებდა, რადგან კრიმინალი, რომელიც შემდგომ ცხინვალში დათარეშობდა, მასაც უქმნიდა პრობლემას. გორის რაიონის მოსახლეთა ნაწილს ერგენტში რაღაც ბიზნესი ჰქონდათ და ახსოვთ, რომ პატარა ფულს შოულობდნენ, ეს ფული საქართველოს ბიუჯეტისთვის დაკარგული იყო“, – იხსენებს მიხეილ მაჭავარიანი.

სოფელ ერგენტის მოსახლეები ბაზრო-



ერგნეთელთა თქმით, ერთ სათლ ვაშლსა და ატამში 2-3 დღის პროდუქტი მოსდობდათ. ივნისი 2004

ფოტო: ნოქაშანა ფაუნსაძე/ილი

ბის დადებით მხარეებზე საუბრობენ და ამბობენ, რომ იმ პერიოდში, როცა ბაზარი ფუნქციონირებდა, ქართველები და ოსები დაახლოვდნენ და ერთმანეთს სოლიდური ღირებულების საქონელსაც კი ანდობდნენ.

„კრიმინალი და კორუფცია რაში იყო, ვერ გავიგეთ. ჩვენც და ოსებიც კმაყოფილები ვიყავით. იმათ პროდუქტი მოჰქონდათ და ასაღებდნენ, ჩვენი მოსახლეობა დასაქმებული იყო. ბაზარი რომ დაიხურა, მას შემდეგ ოსებთან კავშირი აღარ გვექონია. არადა ერთმანეთში კარგად ვიყავით“, „ლამის 3 საათზე ჩავსულვარ ცხინვალში, ვტაქსაობდი, ხალხი ჩამყავდა და ჩამომყავდა“; „კამაზებით პროდუქცია არცერთ გლუხს არც ჩამოუტანია და არც გაუტანია. ხალხს იტაცებდნენ, რომ ამბობენ, კაცი დიდ ტავარს პოსლეზე რომ წაიღებდა, ფულს არ მოგცემდა და მერე კიდევ მოგადგებოდა, მოიტაცებდნენ აბა, რა იქნებოდა?! ერგნეთის ბაზარს ბრალდებოდა ყველაფერი“, – ჰყვებიან ერგნეთელები.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ერგნეთის ბაზრობა კორუფციის წყარო იყო და ბრძოლა არა ბაზრობის, არამედ სწორედ კორუფციის წინააღმდეგ იყო საჭირო – „მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთის ბაზარი ნამდვილად იყო კორუფციის წყარო, ის თავისი ფუნქციით კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მოგვარებას უწყობდა

ხელს. ამ ბაზრობის გაუქმება დაუშვებელი იყო“.

ერგნეთის ბაზრობის შესაძლო აღდგენასთან დაკავშირებით, ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ბაზარი არავის არ შეუქმნია და ის ბუნებრივად წარმოიქმნა. მინისტრის თქმით, ქართულ და ოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის ისეთი ხარისხით აღდგენა საჭირო, რომ მათ შორის ვაჭრობა დაიწყოს.

„ხელისშემშლელი ფაქტორები თუ არ იქნება, ქართველი და ოსი გლეხები, ქართველი და ოსი მენარმეები თავად იპოვიან საშუალებას და ადგილს, რათა განახორციელონ ისეთი პროექტი, როგორც თავის დროზე ერგნეთის ბაზრობა იყო“, – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

სოფელ ერგნეთის მოსახლეები ბაზრობის „ნესიერების ფარგლებში“ აღდგენის შესაძლებლობას მიესალმებიან და მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტორი ოს მოსახლეობასთან შერიგების პროცესსაც დააჩქარებს – „ბაზრობის აღდგენის წინააღმდეგი ამ სოფელში კი არა, გორის რაიონშიც არ იქნება არავინ. მთელი საქართველოს გაჭირვებულ ხალხს ეს ბაზრობა ინახავდა. ერთ ვედრო ვაშლსა და ატამში ორი დღის პროდუქტი მოგვდიოდა, ახლა კიდევ მონეული მოსავლის ნახევარს ვყრით. ბაზრობის დახურვის შემდეგ ხან რას ვწვალვართ, ხან რას, შედეგი კი არ გვაქვს, დაიღალა ხალხი!“, – წუხან ერგნეთელები. ■

**ბაზრობის შესაძლო აღდგენა**

**პაატა ზაქარეიშვილი:** „ერგნეთის ბაზრობის ერთი ხელისმომხრით გახსნა შეუძლებელია. ქართულმა და ოსურმა მხარეებმა ამას ხელი არ უნდა შეუშალონ. დარწმუნებული ვარ, ოსური მხარე ამის წინააღმდეგი არ იქნება. თუ ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ საქართველოსთვის, მშვიდობისთვის, კონფლიქტის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია ამ ტიპის ბაზრობის არსებობა, მაშინ ჩვენ ამას ხელი უნდა შევუწყნოთ“.

**მიხეილ მაჭავარიანი:** „ახალმა მთავრობამ შესაძლოა რაიმე მექანიზმი გამოძებნოს, მაგრამ თუ პროდუქციამ საბაჟო გამოიარა, მაშინ ის იაფი და ხელმისაწვდომი აღარ იქნება. ერგნეთის ბაზრობაზე რუსულაქციზიანი სიგარეტი და ნავთობი იყიდებოდა, რომლებიც კანონმდებლობით დარეგულირების შემთხვევაში სავაჭრო ზონაში ვეღარ მოხვდება. არ ვიცი, რა იდეები აქვს ახალ მთავრობას, თუმცა არ მგონია, ქვეყანაში კონტრაბანდის შემოსვლის სურვილი ჰქონდეთ, ბიუჯეტში ეს წარმოუდგენელ ხვრელს გააჩენს“.

**დავით ონოპრიშვილი:** „სავაჭრო ბაზრობები და ზონები ბევრ კონფლიქტურ ადგილებში გარკვეულწილად მუშაობს და თუ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება აქვს, მათი კონტროლიც შესაძლებელია. ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მსგავსი პოლიტიკური ნება არ არსებობდა. ბაზრობის მოწყობა შესაძლებელია, თუმცა, ყველაფრის მკაცრ კონტროლზე ასაყვანად სახსრებია საჭირო. თუ ვაჭრობა რაღაც ზონის ფარგლებში იქნება შესაძლებელი, შესაძლოა რომ პროდუქტი არ დაიბეგროს. ეს საკითხი ჯერ პოლიტიკურად არის გადასაწყვეტი, შემდეგ კი ეკონომიკური ნებსებისა და რეგულაციების დადგენა საჭირო. ბაზრობის აღდგენა შესაძლებელია და დიდი კონტრაბანდული მოძრაობის დაწყების საფრთხეს ვერ ვხედავ“.

თვალსაზრისი

# ხეთინ ეშხონის ვიზიტი საქართველოში

ხელისუფლების გადაბარების მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ინარჩუნებს დასავლურ სამყაროსთან კომუნიკაციის ძირითად არხებს. ამჟამად, რომ „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ვერ ახერხებს საერთაშორისო ასპარეზზე ძველი მთავრობის გავლენის შესუსტებას.

## ვასო კუჭუხიძე

26 ნოემბერს საქართველოს ესტუმრა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ქეთრინ ეშტონი. ვიზიტი ერთდღიანი იყო, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. ბიძინა ივანიშვილის ბრიუსელში ვიზიტის შემდეგ, მოკლე ხანში ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლის სტუმრობა საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამოა საყურადღებო.

გასათვალისწინებელია ბრიუსელის ინტერესი საქართველოს მიმართ. ევროკავშირი საერთაშორისო სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და დიდი ფინანსური კრიზისის მიუხედავად, გლობალურ საკითხებში აქტიურადაა ჩართული, გეოგრაფიულად ახლო მდებარე ქვეყნების მიმართ კი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. ე.წ. „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ ამის ნათელი მაგალითებია. ბრიუსელში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს დოქტრინა, რომლის მიხედვითაც სტაბილური და დემოკრატიული ქვეყნები საერთო საზღვრის გარშემო ევროკავშირის უსაფრთხოების გარანტორია.

სხვა საერთაშორისო მოთამაშეებისგან განსხვავებით, ბრიუსელი საკუთარი ინტერესის არეალში მოხვედრილ ქვეყნებში მხოლოდ მისდამი ლოიალურად განწყობილი რეჟიმებით არ კმაყოფილდება. მის ინტერესებში შედის, მთლიანად ქვეყანა გახადოს ევროპული ღირებულებების მატარებელი და დემოკრატია გახდეს სტაბილურობის გარანტი. ამ სტრატეგიამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში გაამართლა, ახლა კი ევროკავშირი სხვა რეგიონებს უთმობს ყურადღებას. ბრიუსელიდან გასული რეჟიმები ვიზიტები თბილისში კი მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირისთვის სულერთი არ არის საქართველოში მიმდინარე მოვლენები და მის დღის წესრიგში ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხი აქტიურად არის.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირი მხოლოდ ახლა არ დაინტერესებულია საქართველოთი. მზარდი ურთიერთობა არსებობს ათწლეულზე მეტია, მაგრამ ბრიუსელს უკვე აქვს მაგალითი იმისა, რომ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულმა მიხეილ სააკაშვილმა მათი იმედები (სრულად) ვერ გაამართლა. მართალია, ვარდების რევოლუციის შემდეგ რიტორიკა იყო ამჟამად პროევროპული, მაგრამ რეფორმები მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე გატარდა. ნორმატიულ დონეზე კი, ხელისუფლების მხრიდან ევროპული ღირებულებების უგულებელყოფა ხდებოდა. შესაბამისად, ტექნოკრატიული მოდერნიზმი საკმარისი არ აღმოჩნდა ქვეყანაში დემოკრატიის დასამყარებლად და მივიღეთ ჰიბრიდული რეჟიმი. ბრიუსელში შიშობენ, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიულად მოსულმა



ფოტო: ზორბეგ აბულაძე

ბიძინა ივანიშვილმაც იგივე ბედი არ გაიზიაროს, ამიტომაც მათი ყურადღება საქართველოს მიმართ გაცილებით დიდია, ვიდრე ეს 2003 წელს იყო.

ვიზიტების სიხშირე განპირობებულია იმითაც, რომ ახალი ხელისუფლება დიპლომატიურ დონეზე სათანადოდ ვერ ახერხებს ბრიუსელთან კომუნიკაციას, ამიტომაც ევროპულ მაღალჩინოსნებსა და „ქართული ოცნების“ ლიდერებს პირისპირ უხდებათ შეხვედრა ინფორმაციის გაცვლისთვის. პრობლემას ქმნის ის, რომ ხელისუფლების გადაბარების მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ინარჩუნებს დასავლურ სამყაროსთან კომუნიკაციის ძირითად არხებს. ინფორმაციის კონტროლის მექანიზმების საშუალებით დამარცხებული გუნდი ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზე პარალელი გაავლოს საქართველოში ივა-



ნიშვილისა და უკრაინაში იანუკოვიჩის გამარჯვებას შორის, „ქართული ოცნება“ არადემოკრატიულ, პრორუსულ ძალად წარმოაჩინოს და ამით შეინარჩუნოს პროდასავლურობის მონოპოლია.

ასევე, ხდება საქართველოში მიმდინარე დაჭერების თემის პედალირება დასავლეთში და პოლიტიკური რევანშის სურათის შექმნა. სწორედ ამიტომაც კოჰაბიტაციის საკითხს ბრიუსელის მიერ ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში დიდი ადგილი უჭირავს. ემტონის ვიზიტის დროსაც პრეზიდენტთან და პრემიერთან შეხვედრის დროს განსაკუთრებით გაესვა ხაზი ორ პარტიას შორის

დასავლეთი ტრანზიციულ ფაზაში მყოფ სახელმწიფოებთან მიმართებაში მშვიდობიან თანაარსებობაზე იმ მიზეზით ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არ მოხდეს ძალაუფლების მქონე პარტიის მიერ ოპოზიციის განადგურება და ერთპოლუსიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ევროკავშირის მოთხოვნით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, პლურალისტური პოლიტიკური სისტემის შექმნის მიზნით, კომუნისტური პარტიის წევრთა დიდი ნაწილის წინააღმდეგაც კი არ მომხდარა დევნა, რამაც საშუალება

რი მემარცხენე პარტიები და შექმნა პლურალისტური პოლიტიკური გარემო. მართალია, ეს პროცესი ასე იდენტურად და მარტივად არ განხორციელებულა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, მაგრამ დემოკრატიის ხარისხით და ეკონომიკური წარმატებით სწორედ ის ქვეყნები გამოირჩევიან, რომლებმაც ეს შეძლეს.

შესაბამისად, დასავლეთში კოჰაბიტაციაზე აქცენტის არაერთხელ გაკეთება და გამოთქმული შენიშვნები არა ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა, არამედ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების მოთხოვნაა. „ქართული ოცნებას“ კი მოუწევს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენასა და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სისტემის მშენებლობას შორის ოქროს შუალედის დაცვა, რათა არც ქვეყნის შიგნით შეიქმნას ამომრჩევლებთან ე.წ. „დაუსჯელობის სინდრომის“ ხელშემწყობის იმიჯი და არც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე წარმოჩინდეს ოპოზიციის დამატერორებელ ძალად.

ივანიშვილის ემტონთან შეხვედრა კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ, რადგანაც ვიზიტის ძირითადი მიზანი ორ პოლიტიკურ ძალას შორის ურთიერთობის არასწორი გზით წარმართვის თავიდან აცილება გახლდათ. „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ ამგვარი შეხვედრების წყალობით უნდა შეძლოს მის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარკამპანის წარმატებით მოგერიება და დემოკრატიული ძალის იმიჯის შენარჩუნება საერთაშორისო ასპარეზზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი არ ესებოდა მხოლოდ კოჰაბიტაციის თემას და ემტონის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ასევე განხილული იქნა ევროპის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობის საკითხი, ქვეყნის წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის საკითხები. ■

**■ პრობლემას ქმნის ის, რომ ხელისუფლების გადაბარების მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ინარჩუნებს დასავლურ სამყაროსთან კომუნიკაციის ძირითად არსებს.**



მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცილებლობას დემოკრატიული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში კოჰაბიტაცია ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს ხელისუფლების სხვადასხვა შტოში სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მშვიდობიან თანაარსებობას. არჩევნებში დამარცხებულ და გამარჯვებულ პარტიებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტია ევროპული ტიპის პოლიტიკურ პროცესებში, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ, მაგალითად, ევროკავშირის გაფართოების დროს მას კანდიდატი ქვეყნების პოლიტიკური სისტემის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

მისცა კომუნისტებს პოლიტიკური სცენიდან არ გამქრალიყვნენ და საკმაოდ პროგრესულ და ძლიერ სოციალისტურ ან სოციალ-დემოკრატიულ პარტიებად გარდაქმნილიყვნენ.

ეს გარდაქმნები კი უფრო უმტკივნეულოდ და ცივილიზებულად სწორედ იმ ქვეყნებში მოხდა, რომლებიც ევროკავშირის მოთხოვნებს ყველაზე მეტად უწევდნენ ანგარიშს. ხელისუფლებაში მოსული ძალების მხრიდან პოლიტიკურ რეპრესიებზე უარის თქმამ და თანაარსებობის პრინციპების დაცვამ არაპროგრესულ პოლიტიკურ ძალებსაც გაუჩინა იმის იმედი, რომ წარმატებული რეფორმების შემთხვევაში, ისინი კვლავ შეძლებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას და ხელისუფლებაში მოსვლასაც კი. ამან კი გააჩინა ძლიერ

# ვინ ხის სამხრეთ ოსეთის ბატონ-პატრონი?

## ვალერი ძუცვი

საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ ჯერჯერობით კარგად არაა გასაგები, მაგრამ რეინტეგრაციის მინისტრის პირველი განცხადებები იმას მოწმობს, რომ ახალ ხელისუფლებას ამ პრობლემისადმი მიდგომის ძირეული შეცვლის სურვილი აქვს. თავად პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ყოფილი ავტონომიების შესახებ საუბარს მეტწილად გაურბის, რადგან, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ გუნდში შეთანხმებული ხედვის გამოუმუშავება ჯერაც გრძელდება. შეიძლება, ეს იმის მანიშნებელიც იყოს, რომ ახალ მთავრობას არ სურს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის სტატუსი ქვეყნის ძირეული პრობლემის დონემდე აამაღლოს.

ახალი ხელისუფლების მხრიდან ნინმსწრები სიგნალი 22 ნოემბრის პრესკონფერენციაზე გაისმა, როცა პრემიერმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მოსკოვში ვიზიტით მანამ ვერ ჩავა, სანამ რუსეთს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში საელჩოები ექნება გახსნილი. როგორც ჩანს, ოფიციალური თბილისი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემას ოფიციალურ მოსკოვთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას უკავშირებს, რაც მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკისგან დიდად არ განსხვავდება.

საქართველოში ხელისუფლების ცვლილებაზე რეაქცია სამხრეთ ოსეთში ჯერ ცალსახად არ გამოკვეთილა. იმ შევების ფონზე, რომელიც აქ სააკაშვილის გუნდის წაგებამ გამოიწვია, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ფრთხილი რჩება. 23 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გააკეთა და რესპუბლიკის

ოფიციალური პოზიცია დაადასტურა, რომელიც საქართველოსგან დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებაში მდგომარეობს. ამავე დროს, სამხრეთ ოსეთში შემფოთებით მოეკიდნენ საქართველოში იმ დოკუმენტების აღიარებას, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის გადაკვეთისას ვარგისად იქნა მიჩნეული. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ეს სამხრეთ ოსეთს გარკვეულ რისკებს უქმნის, რადგან ამ ტერიტორიას დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს უზუნდოვანებს.

ამავე დროს, სამხრეთ ოსეთში ძირითადი პოლიტიკური დისკურსი მწვავედ და საბოლოოდ იღებს დაპირისპირების სახეს – დაპირისპირებისა, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის, და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციაში შესვლის მომხრეებს შორის. აფხაზეთისგან განსხვავებით, რომელსაც რუსეთში ახლო „ეთნიკური ნათესავები“ არ ჰყავს, სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მონათესავე ჩრდილოეთ ოსეთი ეგულება. ამით აიხსნება რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ის სურვილიც, სამხრეთ ოსეთის ბევრ მკვიდრს რომ აქვს. ამ სურვილის გამამაგრებელი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური ინტერესიც, რადგან სამხრეთ ოსეთში ბევრი სწორედ ამას მიიჩნევს ყველა ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის სწრაფ საშუალებად. მოძრაობის „შენი არჩევანი, ოსეთო“ ლიდერი ალან ჯუსოვეი ასევე მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ერთხელ და სამუდამოდ გახდება გარანტი, რომელიც რესპუბლიკას საქართველოს მხრიდან თავდასხმის საფრთხეს აარიდებს.

თუმცა, მოვლენების ამგვარი განვითარება ნაკლებ მოსალოდნელია, რადგან



მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოთამაშების მხრიდან მოუდუნებელი ყურადღების გამო რუსეთი თავს სამხრეთ ოსეთის მიერთების უფლებას ვერ მისცემს. ეს საქართველოს ტერიტორიის დაუფარავ ანექსიად იქნება შეფასებული. ამას გარდა, სააკაშვილის მონინა-ალმდევე ძალის მოსვლა საქართველოს ხელისუფლებაში ისეთ სიტუაციას ქმნის,

რომელშიაც რუსეთი პაუზის გაკეთებას ამჯობინებს, რათა უკეთ გაერკვეს, თუ რას წარმოადგენს საქართველოს ახალი მთავრობა.

ამავე სიტუაციაში, როცა რეგიონისადმი ყურადღება ამდენად დიდია, სამხრეთ ოსეთს, მისი სიმცირისა და მოსკოვზე სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მანევრირებისთვის მოსალოდნელზე დიდი

გადაყენებული, თანაც ეს გადანყვეტილება თიბილოვმა ახალი მშენებლობების და აღსადგენი ობიექტების დათვალეერებისთანავე მიიღო, ანუ, საფიქრებელია, მოსკოვთან კონსულტაციების გარეშე. უწყების ხელმძღვანელის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ზალინა ცხოვრებოვა დაინიშნა.


სამხრეთ ოსეთის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ, „რეს“-მა ამას

სხვები, რესპუბლიკის მკვიდრთ უდიერად ეკიდებოდნენ, თავს იმის უფლებასაც კი აძლევდნენ, ოსი ხალხისთვის დაუფარავად მიეყენებინათ შეურაცხყოფა.

ნოემბრის შუა რიცხვებში სამხრეთ ოსეთში საგანგებო კომისიის შექმნა განიხილებოდა, რომლის დანიშნულება რესპუბლიკის სახელმწიფო ენების კანონის მოქმედებისთვის, ასევე ოსური ენის პროგრამის რეალიზებისათვის თვალის გადავენება იქნება. მართალია, სამხრეთ ოსეთში სახელმწიფო ენად, კანონის თანახმად, ოსური ენა ითვლება, ასე ვთქვათ, „ოფიციალურ ენად“ კი რუსული, მაგრამ სინამდვილეში, ამ ფუნქციით, როგორც წესი, მხოლოდ რუსული გამოიყენება. რაც მეტად მოხდება სამხრეთ ოსეთში ენის საკითხზე აქცენტირება, მით მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევს ეს მოსკოვში. ამავე დროს, საკუთრივ რუსული ტერიტორიებისგან განსხვავებით, მოსკოვს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, გაგლენა მოახდინოს სამხრეთ ოსეთის სიტუაციაზე, მით უფრო, როცა საქმე ისეთ პატრიოტულ საკითხს ეხება, როგორც მშობლიური/სახელმწიფო ენაა. იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა 2008 წელს სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად აღიარა, რესპუბლიკა ჯერაც გაურკვევლობის სიტუაციაში იმყოფება. გაურკვეველია, მაგალითად, ისეთი მარტივი რამ, როგორცაა დამოუკიდებლობის ხარისხი შიდაპოლიტიკური გადანყვეტილებების მიღებისას.

მართალია, სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ ოსეთში ყველაფერს მოსკოვი საზღვრავს და ამიტომ სამხრეთ ოსეთი ანგარიშგასანევი რესპუბლიკა არ არის, მაგრამ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი ნამდვილად არსებობს. სხვა საქმეა, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად არსებითი როლის თამაში შეუძლია მას ამ ხარისხით. **□**

**როცა რეგიონისადმი ყურადღება ამდენად დიდია, სამხრეთ ოსეთს, მისი სიმცირისა და მოსკოვზე სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მანევრირებისთვის მოსალოდნელზე დიდი სივრცე ეძლევა.**



სივრცე ეძლევა. ამის თქმა ადგილობრივ ხელისუფლებაში გახშირებული და გაადვილებული ცვლილებების გათვალისწინებითაც შეიძლება. 17 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრი, ანატოლი მაშჩელკინი რესპუბლიკის მეთაურის, ლეონიდ თიბილოვის განკარგულებით თანამდებობიდან იქნა

წინათ სტატია გადმოიხედა, რომელშიც რესპუბლიკაში მოვლენილი რუსი „ლეგიონერები“ მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში არიან გატარებულები. სტატიის ავტორის თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთში დანიშნული რუსი მოხელეები, მაგალითად, ყოფილი პრემიერი ვადიმ ბორცევი, ანატოლი მაშჩელკინი და



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსატყვევებელი ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

# თუა ნაუხიანი VS ხოსე ხუბაშვილი

ახალი მთავრობისა და პრეზიდენტის, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობების დაპირისპირების კვალდაკვალ ქვეყანაში კიდევ ერთი სერიოზული კონფლიქტი მნიშვნელობა – ხელისუფლების ორ შტოს – აღმასრულებელსა და სასამართლოს შორის.

## ქეთევან ლევდაშვილი, ლიკა ზაკაშვილი

ღია კონფლიქტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილსა და იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს შორის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანას მოჰყვა.

კანონპროექტის ინიციატორი იუსტიციის სამინისტროა. ცვლილებები 47-ე მუხლსაც შეეხება, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებას, უფლება-მოვალეობებსა და ფუნქციონირებას ეხება.

27 ნოემბერს სტრასბურგიდან დაბრუნებულმა თეა წულუკიანმა კოტე კუბლაშვილი გააკრიტიკა იმის გამო, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მასთან შეუთანხმებლად კანონპროექტის პირველადი, სამუშაო ვარიანტი ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიას გადაუგზავნა.

„გაირკვა, რომ იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმას ეხება, ბატონ კუბლაშვილს ჩვენს დაუკითხავად, თავისი ინიციატივით გაუგზავნია ვენეციის კომისიაში და უთქვამს, შეემონებინათ ეს ცვლილებები. მე ვთხოვე ვენეციის კომისიას, რომ კუბლაშვილის მიერ გაგზავნილი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პირველი ვერსია იყო და მას შემდეგ ბევრჯერ შეიცვალა, არ განეხილა, რაზეც ის მაშინვე დამთანხმდა, რადგან წარმოუდგენელია, სასამართლო დღეს თამაშობდეს პოლიტიკური ოპოზიციონერის როლს“, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი მიანიშნებს, რომ კუბლაშვილის ეს ნაბიჯი პოლიტიკური ოპონენტის ბრძოლას უფრო ჰგავს, ვიდრე სასამართლო სისტემის გაუმჯობესებით დაინტერესებული პირის ქმედებას. „დღეს სასამართლო პოლიტიკური ოპოზიციონერის როლს თამაშობს“, – აცხადებს წულუკიანი და კუბლაშვილს თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გამოჩენისკენ მოუწოდებს.

„მინდა, ბატონ კუბლაშვილს კარგად აუხსნა – ჩვენ ვართ ხელისუფლების სხვადასხვა შტო, მაგრამ წარმოვადგენთ ერთ სახელმწიფოს ქვეყნის გარეთ, ამიტომ გვევალება მეტი კოორდინირებული ქმედება და მე მას ამგვარი ქცევისკენ მოვუწოდებ. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი სახელმწიფოებრივი თვითშეგნება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

კუბლაშვილი, თავის მხრივ, ადანაშაულებს იუსტიციის სამინისტროს იმას, რომ მიუხედავად ევროპის საბჭოს რეკომენდაციისა, სასამართლოს სისტემის რეფორმირება სასამართლო ხელისუფლების ჩართულობის გარეშე ხდება. კუბლაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ მისი მოთხოვნის შემდეგ გაუგზავნა უზენაეს სასამართლოს ცვლილებების პროექტი და თავიდანვე საქმის კურსში არ ჩააყენა.

„სასამართლო ხელისუფლება გააკეთებს იმას, რასაც ჩათვლის საჭიროდ. ეს არის ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს“, – აცხადებს კუბლაშვილი.

ახალი კანონპროექტის თანახმად, მნიშვნელოვნად იცვლება იუსტიციის

საბჭოს დაკომპლექტების წესი: აქამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრისგან ოთხს პარლამენტი საკუთარი რიგებიდან ასახელებდა, ორს კი პრეზიდენტი ნიშნავდა. ახალი კანონპროექტის მიხედვით კი, პრეზიდენტს ეს უფლება ჩამოერთმევა. ექვსივე წევრს პარლამენტი ძირითადად სამეცნიერო და არასამთავრობო წრეებიდან და არა პარლამენტის შემადგენლობიდან აირჩევს.

გარდა ამისა, იცვლება იუსტიციის საბჭოს რვა მოსამართლე წევრის არჩევის წესიც. დღემდე მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლეთა კონფერენციაზე რვა მოსამართლის კანდიდატურის დასახელების უფლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა. შემდეგ ამ კანდიდატებს მოსამართლეთა კონფერენცია უყრიდა კენჭს.

ახალი კანონპროექტის თანახმად, კანდიდატურის დასახელება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პრეროგატივა აღარ იქნება და ამის გაკეთება მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ წევრს შეუძლია.

ამავე დროს, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

„პრინციპული შენიშვნა გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ, პროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეული იქნენ სასამართლოების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და კოლეგიებისა და პალატის თავმჯდომარეები



ფოტო: ლევან წერეთელი

კოტე კუბლაშვილი: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლად მოქმედებს“.

– ეს არის წარმოდგენილი პროექტი. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ნორმა დისკრიმინაციულია ამ ადამიანების მიმართ“, – აცხადებს კუბლაშვილი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კანონპროექტის იმ ნაწილს ეთანხმება, სადაც პარლამენტის მიერ საბჭოს ექვსი წევრის არჩევის პირობებზეა საუბარი: „ის, რომ პარლამენტი ირჩევს

■ „მინდა, ბატონ კუბლაშვილს კარგად აეუხსნა – ჩვენ ვართ ხელისუფლების სხვადასხვა შტო, მაგრამ წარმოვადგენთ ერთ სახელმწიფოს ქვეყნის გარეთ, ამიტომ გვევალება მეტი კოორდინირებული ქმედება და მე მას ამგვარი ქცევისკენ მოვუწოდებ. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი სახელმწიფოებრივი თვითშეგნება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

ისეთ 6 წევრს, რომლებიც პარლამენტის წევრები არ არიან, ჩვენი და ვეროსაბჭოს შენიშვნა იყო და კარგია, რომ მათ ეს გაითვალისწინეს“.

თუმცა, კუბლაშვილისთვის მიუღებელია, რომ პარლამენტი ამ ექვს წევრს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ 76 ხმით ირჩევს, რაც იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობას კანდიდატის არჩევა უმცირესობის თანხმობის გარეშეც შეეძლება:

„ვეროსაბჭოს პირდაპირი რეკომენდაციაცაა, რომ, როდესაც პარლამენტი ირჩევს წევრებს, ქვორუმი მაღალი უნდა იყოს. მათი არჩევითვის უმრავლესობისა და უმცირესობის ხმები აუცილებელი უნდა იყოს. კანდიდატების არჩევა მინიმუმ 90 ხმით უნდა ხდებოდეს. ეს არ არის რიგითი თანამდებობა“, – აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ანდრო გიგაური იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტს დადებითად აფასებს, თუმცა გარკვეულ ნაწილში არ ეთანხმება მას.

გიგაურის განმარტებით, ახალი კონსტიტუციით, რომელიც 2013 წელს ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შევა ძალაში, პრეზიდენტს იუსტიციის საბჭოში ერთი წევრის არჩევის უფლება ექნება. მისი აზრით, ეს იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის შეუსაბამოა: „ახალი კონსტიტუციის თანახმად, იუსტიციის საბჭოს წევრი უნდა დანიშნოს პრეზიდენტმა. შესაბამისად, გამოდის, რომ კანონი არის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში. ან კონსტიტუციის შეცვლა მოუწევთ, ან კანონის“.

ამ კანონპროექტის ძალაში შესვლისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება, რაც, ანდრო გიგაურის აზრით, არასწორია. მისი თქმით, ცვლილებები ეტაპობრივად უნდა მოხდეს და მმართველი გუნდის შეცვლა ავტომატურ რეჟიმში სასამართლო ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა ნიშნავდეს.

თუმცა, ასე არ ფიქრობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე. იგი ახალი კანონის ამოქმედებისთანავე ძველი წევრების შეცვალას ლოგიკურად მიიჩნევს. მისი თქმით, ახალი კანონპროექტი ძველისგან სრულიად განსხვავებულ პირობებს ადგენს: „მანამდე საბჭოს წევრების არჩევის წესი არადემოკრატიული იყო. უზენაესის თა-

**■ ამ კანონპროექტის ძალაში შესვლისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება, რაც, ანდრო გიგაურის აზრით, არასწორია. მისი თქმით, ცვლილებები ეტაპობრივად უნდა მოხდეს და მმართველი გუნდის შეცვლა ავტომატურ რეჟიმში სასამართლო ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა ნიშნავდეს.**

## იუსტიციის უმაღლესი საბჭო

იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო სისტემის შიგნით არსებული კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც შექმნილია, როგორც სისტემის ადმინისტრირების უმთავრესი რგოლი. იგი 1997 წელს შეიქმნა. მას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლება, საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება და ჩატარება, დისციპლინური სამართალწარმოება, საერთო სასამართლოების ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ა. შ.

ვმჯდომარე, რომელიც ამავე დროს საბჭოს თავმჯდომარეცაა, მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეც, ასევე ხელმძღვანელობს მოსამართლეთა კონფერენციას და იუსტიციის უმაღლეს სკოლას, ასეთ ადამიანს კანდიდატების დასახელების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. ამას დაამატეთ ისიც, რომ მოსამართლეები ღია კენჭისყრით ირჩევდნენ ამ კანდიდატებს. ასეთი წესი ერთ ადამიანს აძლევდა უფლებას, აერჩია ახალი მოსამართლეები საკუთარი შეხედულებისამებრ, ემართა მთელი სასამართლო სისტემა. ჩვენ ამის შესაცვლელად ვიღვანეთ და რატომ იქნება ნორმალური, რომ ძველი წევრები დარჩნენ?!”

სანდრო ბარამიძის თქმით, მართალია, საბჭოს ძველ წევრებს უფლებამოსილება კანონის ძალაში შესვლისთანავე შეუწყდებათ, მაგრამ წყვეტის თავიდან ასაცილებლად ისინი მოვალეობის შესრულებას მანამდე გააგრძელებენ, ვიდრე საბჭოს ახალ წევრებს არ აირჩევენ.

რაც შეეხება კონსტიტუციის ახალ მოდელს, რომელიც ახალ კანონპროექტთან შეუსაბამოა, ბარამიძე ამბობს: „ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი სულ სხვა თანამდებობა იქნება, ვიდრე დღეს. ახალ მოდელში მას აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები აღარ გააჩნია. როდის და როგორ ამოქმედდება კონსტიტუციის ახალი მოდელი, ეს ჯერ არ ვიცით. თუ მანამდე შეიცვალა კონსტიტუცია, ხომ კარგი, თუ არადა კანონის შეცვლა მოგვიწევს“, – განუცხადა „ლიბერალს“ სანდრო ბარამიძემ.

მისივე თქმით, კანონპროექტის ახლანდელი მოდელი არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან კონსულტაციების შემდეგ შეიქმნა.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, კანონპროექტი პარლამენტს უახლოეს დღეებში გადაეგზავნება განსახილველად: „პარლამენტის წამყვანი წევრები მონადინებულები არიან, საშემოდგომო სესიის დასრულებამდე კანონპროექტები მიიღონ“. □



# 6500 პატიმარს ნახები

ის, თუ რამდენ პატიმარს შეეხება ამნისტია, ბოლომდე გარკვეული არ არის. ამნისტიის კანონპროექტის პირველ პლენარულ განხილვას პარლამენტი 5 დეკემბერს აპირებს.

## თინა ყიფშიძე

შუახნის ამირან ტოფაძე ქუთაისის N2 დაწესებულების „კრიტიკ“ მესამე წელია გეგუთის ზონიდან გადმოიყვანეს. როგორც თავად ამბობს, გეგუთის ციხეში რადიოს სმამალალი მოსმენის გამო შემოვლახე მყოფმა დავით ჭაკუამ და მისმა მოადგილემ, გაგა მკურნალაძემ ჯერ ცემეს, შემდეგ ქუთაისის ციხის დახურულ დაწესებულებაში გადმოიყვანეს. ტოფაძისთვის ეს პირველი ნასამართლეობა არაა, ამჯერად ის ქურდობის მუხლით იხდის სასჯელს. ჟურნალისტს პირველად იმას ეკითხება, შეეხება თუ არა ამნისტია, თავად დიდი იმედი აქვს. ამნისტიის შესახებ ტელევიზიით შეიტყვეს. „კრიტიკ“ მე-

სამე კვირაა, რაც ტელევიზორი ჩართეს. პატიმრები ციხეში შესვლისას ყველა ჟურნალისტს ერთსა და იმავე კითხვას უსვამენ: „ამნისტია შეეხება?“.

ის, თუ რამდენ პატიმარს შეეხება ამნისტია, ბოლომდე გარკვეული არაა. ამნისტიის კანონპროექტის პირველ პლენარულ განხილვას პარლამენტი 5 დეკემბერს აპირებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ კანონპროექტის პირველადი ვერსია, სავარაუდოდ, შეიცვლება.

თავდაპირველი, სამუშაო ვარიანტით, ამნისტია პატიმრების ფართო

სპექტრზე ვრცელდებოდა. ამნისტიით სასჯელისგან თავისუფლდებოდა პირობითი მსჯავრის მქონე ყველა პირი, ასევე, გაუფრთხილებლობით ჩადენილი და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულები.

კონკრეტული მუხლების შესაბამისად, სასჯელი უნახევრდებოდათ იმ არასრულწლოვანებს, ქალებსა და პირველად ნასამართლევ პირებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

მოსახდელი სასჯელის ვადა ერთი მესამედით უმცირდებოდათ 2012 წლის 6 ნოემბრამდე მძიმე და ან გასაკუთრე-

ბით მძიმე დანაშაულის ჩამდენ ადამიანებს.

ამნისტიის სამუშაო ვერსიის გავრცელების შემდეგ შენიშვნები აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ამნისტიის პროექტის დაზუსტებასა და მუხლების ზუსტი დეფინიციების საჭიროებაზე საუბრობდა.

„გარდა სტატისტიკური მონაცემების არარსებობისა, ასევე მნიშვნელოვანია სათანადოდ დასაბუთდეს, თუ რამდენად თანხვედრაშია იგი ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკასთან და არსებობს თუ არა იმ რისკების დაზღვევის მექანიზმები, რაც შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს ამნისტიის კანონის ამოქმედებას, მით უფრო, თუ იგი რამდენიმე ათასი თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ საპატიმროს დატოვებას შეეხება“, – ეწერა ახალგაზრდა იურისტების წერილში, რომელიც პარლამენტს გადაუგზავნეს.

საია-სთვის გაურკვეველი რჩება, როგორ აპირებს მთავრობა კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლს – ამის შესახებ ამნისტიის კანონში არაფერი არ წერია.

„ვითარების კონტროლის მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აღნიშნულ პირებთან მიმართებით გარკვეული პერიოდით შეინარჩუნოს ბმა, მათ შორის, დასაქმების, სამკურნალო პროგრამებში ჩართვის და სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით“, – წერდა საია.

ცნობილია, რომ კანონი დამტკიცებიდან ორ თვეში უნდა აღსრულდეს.

ამნისტიას მხარს უჭერს, თუმცა, კონკრეტული შენიშვნები აქვს საპარლამენტო უმცირესობასაც. მათთვის განსაკუთრებით პრობლემური ამნისტიის შემდეგ კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებაა. ის, რომ კრიმინოგენული სიტუაცია შეიცვლება და სავარაუდოდ, გაუარესდება, ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა, თუმცა, ამასთანავე, საზოგადოებას სთხოვა, გაგებით მოეკიდონ სიტუაციას.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, გადასახედია ამნისტიის ზოგიერთი მუხლი.

„კატეგორიულად მიუღებელია ამნისტია არსებული სახით განხორციელდეს. არის მუხლები, რომლებიც შეეხება ძალადობრივ, დისკრიმინაციულ, სახელმწიფო და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულებს და ა. შ.“, – ამბობს თაქთაქიშვილი.

კანონპროექტთან დაკავშირებით შე-

## პროკურატურის მონაცემებით, ამნისტირებული და შეწყალებით გათავისუფლებული იმ პატიმრების 96 პროცენტი, რომელთაც განმეორებით ჩაიღინეს დანაშაული, უმუშევარი იყო. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამნისტირებული პატიმრების რესოციალიზაციაზე ზრუნვა საჭიროა.

ნიშვნები იუსტიციის სამინისტროსაც ჰქონდა. მისი მთავარი შენიშვნა პირობითი მსჯავრისგან ყველა ადამიანის გათავისუფლებას ეხებოდა. პირობითი მსჯავრის, როგორც პრევენციის მექანიზმის ყველასთვის მოხსნა, სამინისტრომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

27 ნოემბერს ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა ამნისტიის პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და, შესაბამისად, გარკვეული ცვლილებების შესაძლებლობა განიხილა. კანონპროექტის ახალი ვერსია პარლამენტის პირველ პლენარულ მოსმენამდე გაერცვლდება.

სავარაუდოდ, ამნისტია პირობითი მსჯავრის მქონე ყველა ადამიანს აღარ შეეხება. საქართველოში პირობითი

მსჯავრი 36 700 ადამიანს აქვს შეფარებული, აქედან გარკვეული მუხლების შესაბამისად ამნისტიაში 20 000-მდე ადამიანი მოხვდება. ასევე, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისგან მხოლოდ ის პატიმრები გათავისუფლდებიან, რომელთა დანაშაულს ვინმეს გარდაცვალება არ მოჰყოლია.

შესაძლოა, კანონპროექტიდან ძალადობასთან დაკავშირებული მუხლებიც ამოიღონ, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ნასამართლეობის მოხსნის შესაძლებლობაც. კანონპროექტში სიახლეა ისიც, რომ ნარკომომარების მუხლის მქონე პატიმრები პატიმრობიდან თავისუფლდებიან, პირველი ვერსიით, მათ მხოლოდ სასჯელი უნახვერდებოდათ. ზუსტად არაა გადანყვეტილი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელი მესამედით შემცირდება თუ მეოთხედით.

„პირველი საკითხი, რომელიც აქამდე ცნობილი არ იყო, თუმცა საკომიტეტო და საჯარო საუბრის დროს მეტ-ნაკლებად გაირკვა, პოტენციურად ამნისტირებული პირების რაოდენობაა. მეორე საკითხი სახელმწიფოს მიერ იმ რისკების დაზღვევაა, რომელიც ამნისტიას მოჰყვება. საკომიტეტო განხილვაზე ამ რისკებზე არ ყოფილა საუბარი. ზოგიერთი მუხლის გადახედვაზე ჩვენი პოზიციები აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციებს დაემთხვა და კომიტეტმაც აღნიშნა, რომ შესაძლოა ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულები ამნისტიის პროექტიდან ამოიღონ. ასევე დაკონკრეტდა აღსრულების მექანიზმებიც“, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ლინა ლვინიანიძე.

სასჯელალსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის თქმით, არსებული ვარიანტის მიხედვით 3000 ადამიანს დაუყოვნებელი გათავისუფლება ეხება, ხოლო 3500-ს სასჯელის ვადიდან იმდენი აკლდება, რომ მათი უდოთი, ანუ პირობითი ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელი. ნაკლებად მძიმე დანაშაულის მსჯავრდებული 3000 ადამიანიდან თავისუფლდება 2000, 1000-მდე პატიმარს კი ნაკლებად მძიმე



მე დანაშაულთან ერთად, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, თუმცა მძიმე დანაშაულებისთვის სასჯელის ვადა მოხდელი აქვთ და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მოხსნის შედეგად მათი გათავისუფლებაც შესაძლებელია.

კანონის აღსრულება ორ ინსტიტუციას – სასამართლოსა და პროკურატურას ევალება. იმ პატიმრების საქმეები, რომლებიც ისევ პროკურატურაში ან სასამართლოშია, შეწყდება. უკვე მსჯავრდებულების მიმართ ამნისტიას მათთვის განაჩენის გამომტანი სასამართლო აღასრულებს.

ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რაც ჩნდება, ამნისტიით გათავისუფლებული პატიმრების მომავალია. რა სერვისები დახვდებათ საზოგადოებაში რესოციალიზაციისათვის, უცნობია – ეს არც ამნისტიის კანონპროექტი წერია და არც განხილვის საგანი გამხდარა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სა-

ჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის“ წარმომადგენლის, ანდრო გიგაურის თქმით, სასურველია ციხიდან გამოსვლისას პატიმრებთან ფსიქოლოგებმა ან სოციალურმა მუშაკებმა იმუშაონ და ყოფილი პატიმრის საჭიროებები და უნარები განსაზღვრონ.

მისივე თქმით, ამისათვის სოციალური მუშაკების, პრობაციის ოფიცრების ან სხვა დამატებითი სტრუქტურების გამოყენებაა შესაძლებელი.

სოციალურმა მუშაკმა პატიმრებს დასაქმებისათვის და რესოციალიზაციისთვის საჭირო ჩვევები უნდა შეასწავლოს, შესაბამის პროგრამებში გადაანაწილოს და შემდგომში მას დასაქმებაში დაეხმაროს.

პროკურატურის მონაცემებით, ამნისტირებული და შეწყალებით გათავისუფლებული იმ პატიმრების 96 პროცენტი, რომელთაც განმეორებით ჩაიღინეს დანაშაული, უმუშევარი იყო. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადას-

ტურებს, რომ ამნისტირებული პატიმრების რესოციალიზაციაზე ზრუნვა საჭიროა.

ანდრო გიგაურის აზრით, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში პატიმართა რესოციალიზაციაზე ზრუნვა შესაძლებელია. „იუსტიციის სამინისტროში დანაშაულის პრევენციის სამსახური მუშაობს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გრანტების გაცემა და მათი დახმარებით ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა შეუძლია“, – ამბობს ანდრო გიგაური.

თუმცა, როგორც ჩანს, ახალი მთავრობა ამნისტირებულთა ბედზე არ ფიქრობს. სასჯელალსრულების მინისტრი კითხვაზე, რეაბილიტაციისთვის რა პროგრამები დახვდებათ უკვე ყოფილ პატიმრებს ციხიდან გამოსვლისას, პასუხობს: „ოჯახი, შვილები, მშობლები...“


Radio Commersant

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge



# "ფინანსური დახმება" დახანჯელოსავცინაზისთვის

ახალი მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში „დაუბეგრავი მინიმუმის“ ცნება შემოღ�ის. საგადასახადო შეღავათი გავრცელდება ყველა დასაქმებულ პირზე, ვისაც თვეში 500 ლარამდე ხელფასი აქვს.

თათია ხალიანი

„ეს არ შეეხებათ მაღალშემოსავლიან ადამიანებს. მხოლოდ იმათ, ვისაც 500 ლარი ან უფრო ნაკლები ხელფასი აქვს. მათი ხელფასის 20% ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით დაირიცხება. წლის ბოლოს კი ბიუჯეტი ამ ადამიანს 360 ლარს დაუბრუნებს ე.წ. მე-13 ხელფასის სახით“, – ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 29 ნოემბერს „მე-9 არხის“ ეთერში გააკეთა. მისივე თქმით, მოსახლეობისთვის ეს საგადასახადო შეღავათი კარგი ფინანსური დახმარება იქნება.

ახალმა მთავრობამ საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის სახით, „საქართველოს 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტთან ერთად საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები უკვე წარუდგინა.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საგადასახადო შემოსავლების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური პროგნოზები და საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რითაც 2013 წლიდან შემოვა დაუბეგრავი მინიმუმი დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას, რაც წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლიდან 1800 ლარს შეადგენს. ანუ დაუბეგრავი მინიმუმი თვითრად 150 ლარით განისაზღვრა.

ამ შეღავათით ის პირები ისარგებლებენ, რომელთა დაქირავებით მიღებული შემოსავალიც წლის განმავლობაში 6000 ლარს არ აღემატება, რაც თვითრად 500 ლარიან ხელფასს გულისხმობს. მაგრამ შეღავათი არა 500 ლარის 20%-იდან გამოითვლება, არამედ დაუბეგრავი მინიმუმის ანუ 150 ლარის 20%-იდან, რაც 30 ლარია.

ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, 2014 წლის 1 აპრილიდან შეღავათით მოსარგებლე თითოეული პირისათვის ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი მაქსიმალური თანხა 360 ლარი იქნება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი ამბობს, რომ ეს საგადასახადო შეღავათი სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვისაა გათვლილი. წინა მთავრობის ინიციატივა საშემოსავლო გადასახადის 18%-ამდე შემცირების შესახებ, ყველა შემოსავლის მქონე ადამიანს თანაბრად შეეხებოდა, რაც ონოფრიშვილის შეფასებით უსამართლოა.

„დაუბეგრავი მინიმუმი 150 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად მისი 20% ანუ 30 ლარი იქნება შეღავათი, რაც წლიურად 360 ლარია.“

რეალურად, ის ადამიანები, ვისაც 500 ლარი შემოსავალი აქვთ, 2013

ში ცვლილებების განხილვის შემდეგ უმცირესობის მთავარი შენიშვნა თანხის დაბრუნების მექანიზმს ეხებოდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი ვაშაძე აღნიშნავდა, რომ ზედმეტი ბიუროკრატიული მექანიზმია შემოტანილი, რადგან დეკლარაციის წარმოება ფიზიკურ პირს არ უნდა დაევალოს და ამას ფინანსთა სამინისტრო ავტომატურად უნდა უზრუნველყოფდეს.

ონოფრიშვილის თქმით, განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო პროცედურები სწორედ ასე მიმდინარეობს, ამიტომ მოქალაქე დეკლარირებას და აღრიცხვას უნდა მიეჩვიოს. ექსპერტი სოსო არჩვაძე მთავრო-

**რეალურად, ის ადამიანები, ვისაც 500 ლარი შემოსავალი აქვს, 2013 წელს ჩვეულებრივ დაიბეგრებიან, ანუ 500 ლარის 20%-ს, 100 ლარს გადაიხდიან, სახელმწიფო კი 2014 წელს უკან 30 ლარს დაუბრუნებს. დასაქმებულს რაც უფრო დაბალი აქვს ხელფასი, ამ შეღავათს მით უფრო მეტად იგრძნობს. მაგალითად, ვისაც 200 ლარი აქვს ხელფასი საშემოსავლოს 40 ლარს გადაიხდის, უკან კი 30 ლარს დაუბრუნებენ.**

წელს ჩვეულებრივ დაიბეგრებიან, ანუ 500 ლარის 20%-ს, 100 ლარს გადაიხდიან, სახელმწიფო კი 2014 წელს უკან 30 ლარს დაუბრუნებს. დასაქმებულს რაც უფრო დაბალი აქვს ხელფასი, ამ შეღავათს მით უფრო მეტად იგრძნობს. მაგალითად, ვისაც 200 ლარი აქვს ხელფასი საშემოსავლოს 40 ლარს გადაიხდის, უკან კი 30 ლარს დაუბრუნებენ.

იმისათვის, რომ დასაქმებულმა ამ შეღავათით ისარგებლოს 2013 წლის ბოლოს საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია უნდა წარადგინოს, სადაც გადასახადის გადაანგარიშებას და უკან დაბრუნების მოითხოვს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტ-

ბის ინიციატივას დაუბეგრავ მინიმუმთან დაკავშირებით დადებითად აფასებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი, რათა ქვეყანაში პროგრესული საშემოსავლო გადასახადის სისტემა ჩამოყალიბდეს.

„მაღალი შემოსავალი უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით უნდა დაიბეგროს და დაბალი შემოსავალი, შესაბამისად დაუბეგრავი მინიმუმით, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია“.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 636 ლარია. როგორც ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, სახელმწიფო ბიუჯეტს ეს შეღავათი 126 მილიონი ლარი დაუჯდება. **□**

# საქართველოს აივ-ბაზონვაზები

2012 წელს საქართველოში აივ ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობამ გასულ წელთან შედარებით 11%-ით მოიმატა. მთელ მოსახლეობაში დაბალი გავრცელების მიუხედავად, სპეციალისტები მაღალი რისკის ზოგიერთ ჯგუფში კონცენტრირებულ ეპიდემიაზე საუბრობენ.

## ლაშა ქავთარაძე

პირველ დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, საქართველო აივ ინფიცირებულთა გაზრდილი რიცხვით ხვდება. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით, 2012 წელს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დაინფიცირების 473 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და ვირუსით დაავადების შემთხვევის რაოდენობამ 3 580-ს გადააჭარბა.

აივ ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვის ზრდაზე საქართველოში რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. შიდსის ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგის, ნინო ბადრიძის განცხადებით, ამ რიცხვის ზრდას, ერთი მხრივ, ტესტირებაზე მომართვიანობის ზრდა ინვესს, მეორე მხრივ კი, მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგებლების დაუცველი სქესობრივი კონტაქტი თავიანთ პარტნიორებთან. გარდა ამისა, ქვეყანაში დაბალია კონდომის გამოყენების დონეც.

UNAIDS-ის მიერ 20 ნოემბერს გამოქვეყნებულ გლობალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო, აზერბაიჯანთან ერთად, იმ ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება, სადაც ინექციური ნარკომომხარებლების მიერ კონდომების გამოყენების და-

ფარვა ყველაზე დაბალია (25%).

გაეროს რიგით მეორე გლობალურ ანგარიშში საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, სადაც ინფიცირების შემთხვევები განუხრელად იზრდება – 2001 წლიდან 2011 წლამდე აივ ინფექციით დაავადების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა.

აივ/შიდსის გაეროს ერთიანი პროგრამის საზოგადოების მობილიზაციის მრჩეველის, ლია თავაძის განცხადებით, გლობალური ანგარიშში განსაკუთრებით საყურადღებო საქართველოსთვის ახალი საერთაშორისო დეკლარაციის კონტექსტშია, რომლის მიხედვითაც 2015 წლამდე უნდა შესრულდეს დეკლარაციის ათი მიზანი, რაც სქესობრივი გზით გადაცემისა და ნარკომომხარებლებში ახალი ინფექციების რიცხვის განახევრებას, მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და საპასუხო ღონისძიებებისთვის საშინაო რესურსების მეტ მობილიზებას მოიცავს. დეკლარაციის ხელმომწერი არის საქართველოც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აივ-ის დაბალი გავრცელების ქვეყნად ითვლება, სპეციალისტები მაღალი რისკის ზოგიერთ ჯგუფში კონცენტრირებულ ეპიდემიაზე საუბრობენ.

როგორც დაბალი პრევალენტობის ქვეყანას, საქართველოს დაავადებას-



ფოტო: ლევან სარგულაძე

თან საპასუხო ღონისძიების ტვირთი ნაკლები აქვს, თუმცა ქვეყანა სპეციფიკური პრობლემების წინაშე დგას.

„ეპიდემია არ არის გენერალიზებული მთელ მოსახლეობაზე, იგი კონცენტრირებულია ისეთი მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორც ინექციური ნარკომომხმარებლები, ემესემ-ები (მაკაცები რომლებსაც სექსი აქვთ მაკაცებთან) და სექსმუშაკი ქალები

არიან. მაღალი რისკის ჯგუფს ასევე განეკუთვნებიან ახალგაზრდები და მიგრანტები“, – აღნიშნავს ლია თავაძე და განმარტავს, რომ მიგრანტების შემთხვევაში, სიტუაცია ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუმცა, სხვადასხვა ინფორმაციის მოძიებისას სპეციალისტები გამუდმებით აწყდებიან მიგრანტებთან დაკავშირებულ პრობლემებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართვე-

ლოში აივ ინფიცირებულთა განაწილებაში ვირუსის გადაცემის გზების მიხედვით ინექციური ნარკომანიის შემდეგ ყველაზე დიდი წილი ჰეტეროსექსუალურ სქესობრივ კონტაქტზე მოდის, ქვეყანაში განსაკუთრებით მძიმედ მაინც ჰომოსექსუალური ქცევის შედეგად დაინფიცირებულ ემესემ-თა მდგომარეობა მიიჩნევა. სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომის“ გამგეობის თავმჯდომარის, სერგო ჩიხლაძის თქმით, 2010 წლის კვლევამ ცხადყო, რომ ამ ჯგუფში ინფიცირებულთა რაოდენობამ 6.4%-ს მიაღწია, რაც ჯგუფის შიგნით კონცენტრირებულ ეპიდემიაზე მიუთითებს.

გლობალური ფონდის დაფინანსებით, „თანადგომა“ ამჟამადაც ახორციელებს კვლევას, რომლის ფარგლებშიც ტესტირება უკვე ჩატარდა 160 ადამიანს და ჩიხლაძის თქმით, ახალი კვლევის შედეგად ემესემ-თა ჯგუფში, სავარაუდოდ, აივ ინფიცირებულთა კიდევ უფრო მაღალი პროცენტი დაფიქსირდება. „მიუხედავად იმისა, რომ არა მარტო ჩვენი ორგანიზაციის, არამედ სათემო ორგანიზაციების მხრიდანაც, აქტიურად მიდის მუშაობა დაცული სქესობრივი ურთიერთობების და პროფილაქტიკური საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, დაუცველი სქესობრივი კავშირების რიცხვი ამ ჯგუფში მაინც მაღალია“, – აღნიშნავს სერგო ჩიხლაძე და განმარტავს, რომ ინფორმაციის ფლობის დონე დაცული სქესობრივი კავშირის შესახებ საკმაოდ მაღალია, თუმცა, ჯგუფის წევრების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მაინც ზერელეა. გარდა ამისა, ჯგუფში დაავადების გავრცელებაზე მოქმედებს ქვეყანაში არსებული ზოგადი ტაბუ ჰომოსექსუალობაზე და საზოგადოების ჰომოფობიური განწყობაც, რაც ემესემ-ებს ხელს უშლის როგორც ინფორმაციის, ასევე, საჭირო სერვისების მიღებაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ინექციური ნარკომომხმარებლების მდგომარეობაც, რომლებიც ამჟამად აივ-ით დაავადებული ადამიანების 53,9%-ს შეადგენენ საქართველოში. ლია თავა-

**■ გაეროს რიგით მეორე გლობალურ ანგარიშში საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, სადაც ინფიცირების შემთხვევები განუხრელად იზრდება – 2001 წლიდან 2011 წლამდე აივ ინფექციით დაავადების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა.**



დის თქმით, ამ ჯგუფში ინფიცირების ბუნებრივად მაღალ დონეს ემატება ნა-მალდამოკიდებული პირების საკანონმდებლო დევენაც, რაც ჯგუფის წევრების მხრიდან ტესტირებასა და პროფილაქტიკური სერვისების მიღებაზე უარის თქმას იწვევს.

სწორედ დროული ტესტირება და პროფილაქტიკური კურსების ინტენსივობა განაპირობებს დედიდან შვილზე გადასვლის შემთხვევების აბსოლუტურ აღმოფხვრას. შიდსის ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგის, ნინო ბადრიძის თქმით, ინფიცირებული დედიდან შვილზე გადასვლის შანსი 30%-ია, პროფილაქტიკური სერვისების მეშვეობით კი ამ რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა ხერხდება. „ამაყად შემიძლია განვაცხადო, რომ ქალებმა, რომლებსაც სრულფასოვანი პროფილაქტიკა ჩაუტარდათ, ყველამ ჯანმრთელი ბავშვები გააჩინეს, რაც ძალიან დიდი წარმატებაა“, – ამბობს ნინო ბადრიძე.

ქვეყნის ეპიდემიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად როგორც არასა-

## ■ დაბალი პრევალენტობისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გლობალურმა ფონდმა საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვში მოახვედრა, სადაც 2013 წლიდან პროგრამების ნაწილს დაფინანსება შეუძმირდება.

მთავრობო სექტორი, ასევე სახელმწიფო რესურსები მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული. დაავადების აღმოფხვრისათვის გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი დონორი ორგანიზაციებიდან გამოიყოფა. გაეროს გლობალური ანგარიშის მიხედვით ამ სფეროში დახარჯული თანხების 55-დან 75%-მდე საერთაშორისო წყაროებიდან მოდის.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „გლობალური ფონდის“ მონაწილეობაა აივ-ის პრევენციასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ პროცესებში. „გლობალურმა ფონდმა“, რომელიც აქტივობებს საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული ახორციელებს, აივ/შიდსის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში 40 მლნ დოლარამდე უკვე დახარჯა.

გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, კაკი ლოჩოშვილის თქმით, გამოყოფილი თანხები ორი მიმართულებით – პრევენციასა და მკურნალობაზე იხარჯება. მკურნალობის მხრივ პროექტების იმპლიმენტაციას ძირითადად შიდსის ცენტრი უზრუნველყოფს, პრევენციის კუთხით კი გრანტები სხვადასხვა მიმართულებით ნაწილდება.

დღეისთვის აივ ინფიცირებულთა მკურნალობა ყველა დაფიქსირებული პაციენტისათვის ხელმისაწვდომია. მკურნალობის ნაწილს სახელმწიფო აფინანსებს, სწორედ ის ფარავს ექიმთა ხელფასებს, კომუნალურ გადასახდებს, ტესტირების ნაწილს და ა. შ. გლობალური ფონდის დახმარებით კი, ძვირადღირებული ტექნიკისა და ანტირეტროვირუსული პრეპარატების შეძენა ხერხდება.

დაბალი პრევალენტობისა და ქვეყნის

ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გლობალურმა ფონდმა საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვში მოახვედრა, სადაც 2013 წლიდან პროგრამების ნაწილს დაფინანსება შეუძმირდება.

კაკი ლოჩოშვილის თქმით, 2013 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი სერვისების დაფინანსების შემცირება არ იგეგმება, ხოლო მეორე ნახევარში შესაძლოა გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების კორექტირება მოხდეს. მკურნალობასა და პრეპარატების დაფინანსებაზე კი პრობლემა არ შეიქმნება.

იქიდან გამომდინარე, რომ აივ/შიდსის აღმოფხვრას მულტისექტორული ხედვა სჭირდება, სახელმწიფოს ინტერვენცია დაავადების მინიმუმამდე დასაყვანად აუცილებელია და ის მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს პასუხისმგებლობას არ გულისხმობს. აივ-თან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პენიტენციური, განათლების თუ სხვა სამთავრობო უწყებების ჩართულობას.

სწორედ ამის აუცილებლობაზე მეტყველებს 2012 წლის მარტში, RTI international-ისა და Save the Children-ის ერთობლივი კვლევის შედეგები, რომლებიც არასრულწლოვნებსა და სტუდენტებში აივ/შიდსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნის დონეს ეხებოდა. კვლევის მიხედვით, მოზარდებში ჯერ კიდევ მაღალია მადისკრიმინირებელი განწყობა აივ ინფიცირებულებისადმი, რაც, თავის მხრივ, დაავადების გავრცელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, დიდია დაუცველი სექსის შემთხვევათა რაოდენობა, ხოლო პრევენციის შესახებ მოზარდთა ცოდნის დონე საკმაოდ დაბალი, 10 %-ია. **■**

**ეპიდემიოლოგია**

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ინფორმაცია:

24 ნოემბრის მონაცემებით, შიდსის ცენტრში აივ-ით ინფიცირების 3588 შემთხვევაა დაფიქსირებული. ამათგან 2630 მამაკაცია, ხოლო 958 – ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა.

წელს აივ-ვირუსი გამოუვლინდა 473 ადამიანს.


აივ-ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით კი ასეთია:

- ინექციური ნარკომომხმარება – 53,9%
- ჰეტეროსექსუალური კონტაქტი – 38,6%
- ჰომოსექსუალური კონტაქტი – 4%
- ვერტიკალური გზით – 2,1%
- სისხლის გადასხმით – 0,5%
- დაუდგენელია – 0,9%



სხალი  
შოკოლადი  
**98.5 FM**

☎ 2 985 985  
✉ radio@shokoladi.ge  
🌐 radio.shokoladi.ge



|       | ორშაბათი          | სამშაბათი                 | ოთხშაბათი                 | ხუთშაბათი        | პარასკევი            | შაბათი                    | კვირა             |
|-------|-------------------|---------------------------|---------------------------|------------------|----------------------|---------------------------|-------------------|
| 07:50 | სანდროს ზღაპრები  | სანდროს ზღაპრები          | სანდროს ზღაპრები          | სანდროს ზღაპრები | სანდროს ზღაპრები     |                           |                   |
| 08:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 09:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 10:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 11:00 |                   |                           |                           |                  |                      | უიკენდი                   | ღვინის გზამკვლევი |
| 12:00 |                   |                           |                           |                  | უიკენდი              | ტეჩუუ                     | ნიგნები           |
| 13:00 | ღვინის გზამკვლევი | ტეჩუუ                     | ცხელი შოკოლადის ისტორიები | არტ ვაუსი        | ნიგნები              | არტ ვაუსი                 | ცოცხალი ზონა      |
| 14:00 |                   |                           |                           |                  |                      | ცხოვრების საუნდტრაკი      | უიკენდი           |
| 15:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 16:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 17:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 18:00 | ტეჩუუ             | ცხელი შოკოლადის ისტორიები | არტ ვაუსი                 | ნიგნები          | ღვინის გზამკვლევი    |                           |                   |
| 19:00 | ლიბერალი          | ლიბერალი                  | ლიბერალი                  | ლიბერალი         | ლიბერალი             |                           |                   |
| 20:00 |                   |                           |                           | ცოცხალი ზონა     | ცხოვრების საუნდტრაკი | ცხელი შოკოლადის ისტორიები |                   |
| 21:00 |                   |                           |                           |                  |                      | სანდროს ზღაპრები          | სანდროს ზღაპრები  |
| 22:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 23:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 00:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 01:00 |                   |                           |                           |                  |                      |                           |                   |
| 02:00 | ლიბერალი          | ლიბერალი                  | ლიბერალი                  | ლიბერალი         | ლიბერალი             |                           |                   |
| 02:30 | ტეჩუუ             | ცხელი შოკოლადის ისტორიები | არტ ვაუსი                 | ნიგნები          | ღვინის გზამკვლევი    |                           |                   |
| 03:15 |                   |                           |                           | ცოცხალი ზონა     | ცხოვრების საუნდტრაკი |                           |                   |

კვირის პროგრამა

● LIVE / ჩანაწერი ● განმეორება ● მუსიკა და ახალი ამბავი

# მოქალაქე ვიხუსი

აივ ვირუსით ინფიცირებული ქალების დიდი ნაწილი ძალადობის მსხვერპლია.

## ნინო ნატროშვილი

„მინდოდა, თავი დამეცვა და ისე მქონოდა სექსუალური ურთიერთობა, მაგრამ ჩემი მეუღლე არ მთანხმდებოდა. ამის გამო ჩხუბიც მოგვდიოდა. ჩემს წინააღმდეგობას შეურაცხყოფა და დამცირება მოსდევდა, ამიტომ დაუცველ კავშირზე ვთანხმდებოდი“, – იხსენებს 30 წლის ინგა. ის ქვრივია, მეუღლე შიდსით გარდაეცვალა, ქმრის მხრიდან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ხშირად განიცდიდა. ინგა თავადაც აივ ვირუსითაა ინფიცირებული, ქმრის გარდა სხვა სექსუალური პარტნიორი არასდროს ჰყოლია. როცა აივ დადებითი სტატუსის შესახებ შეიტყო, მეუღლე მკურნალობაზე უარს ამბობდა და წამლების მიღებას ინგასაც უკრძალავდა, კიდევ უფრო აგრესიული გახდა. ქმრის მიტოვება უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, ორ ბავშვთან ერთად სად წასულიყო, თანაც ყველა ეუბნებოდა, რომ ძალადობა უნდა მოეთინა. ისიც ითმენდა.

ინგას შემთხვევა ერთადერთი არ არის. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები აივ ვირუსით ინფიცირების ერთ-ერთ რისკ ფაქტს წარმოადგენენ. კვლევა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია ACT-მ ჩაატარა, აჩვენებს, რომ ოჯახში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა, დაინფიცირებული ან ინფიცირების სარისკო ქცევის მქონე მამაკაცების მეუღლეებს აივ ვირუსის მიმართ უფრო მონყვლადს ხდის. ასეთივე ფაქტორს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებული ფორმა, რომელიც კონდომის გამოყენების თხოვნაზე ბარიერის არსებობას უკავშირდება: საზოგადოებასა და

ოჯახში არსებული სტერეოტიპების გამო ქალები პარტნიორებს დაუცველ სექსობრივ კონტაქტზე უარს ვერ ეუბნებიან.

გარდა იმისა, რომ ქვეყანაში რეგულარული სამედიცინო შემოწმების კულტურა დაბალია, ქართველი მამაკაცი მიიჩნევს, რომ ცოლი ვალდებულია ქმართან სექსუალურ კავშირს ყოველთვის და კონდომის გამოყენების გარეშე დათანხმდეს. უფრო მეტიც, ქმრის მხრიდან სექსუალური ძალადობა და ქორწინებაში გაუპატიურება ძალადობად არ აღიქმება. გენდერის საკითხებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მრჩეველის, თამარ საბედაშვილის თქმით, ასეთი სტერეოტიპები და დამოკიდებულება აივ ინფექციის გავრცელებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

„შეიძლება ქმარი ცოლს არ ურტყამდეს, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობა ნამდვილად არის ის ფაქტი, როცა ცოლმა იცის, რომ მას მეუღლე სისტემატურად ღალატობს და მერე მასთან სექსუალურ კავშირს ისე ამყარებს, რომ არც ეკითხება, უნდა თუ არა, თან თავდაცვის გარეშე. ქალის დისკრიმინაციის ასეთი ფორმები ხელსაყრელ პირობას ქმნის იმისთვის, რომ ისინი აივ ინფიცირების თვალსაზრისით მაღალი რისკის ჯგუფებში მოხვდნენ. თანაც არა იმიტომ, რომ სარისკო ქცევა ახასიათებთ, არამედ მხოლოდ პარტნიორის და იმის გამო, რომ არ შეუძლიათ ქმარს უთხრან „შემომნდი“ ან „გამოიყენე კონდომი“, – აღნიშნავს თამარ საბედაშვილი.

საქართველოში აივ დადებითი სტატუსის მქონე ქალების ძირითადი ნაწილი ჰეტეროსექსუალური კავშირის

შედეგადაა ინფიცირებული. განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ ისინი, რომელთა პარტნიორები ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები არიან ან სექსუალური კავშირი მამაკაცებთანაც აქვთ, ვინაიდან აივ პრევალენტობა ე.წ. ემესემ-ებში ყველაზე მაღალია.

ზოგადად, კავშირი ქალთა მიმართ ძალადობასა და აივ ვირუსით დაინფიცირების რისკის ზრდას შორის მთელ მსოფლიოში მაღალია. ექვსთვიანი კვლევა იმ სპეციფიკური თავისებურებების დადგენას ისახავდა მიზნად, რომელიც საქართველოში არსებობს. მასში შიდსის ცენტრის 206 ბენეფიციარი იღებდა მონაწილეობას, კვლევაში ჩართული იყო 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია და ექსპერტი.

ავტორებმა ოჯახური ძალადობის მსხვერპლების გარდა სხვა რისკ ფაქტები – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი ქალები, ნარკომომხმარებელი მამაკაცების პარტნიორები და კომერციული სექს მუშაკებიც გამოიკვლიეს. შედეგებზე დაყრდნობით, ისინი აცხადებენ, რომ ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელი ქალები ხშირად ასევე ძალადობის საფრთხის ქვეშ არიან, რაც მათი ინფიცირების რისკზეც აისახება. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს ნარკომომხმარებელი ქალის ან ნარკომომხმარებელი მამაკაცის პარტნიორის კომერციულ სექსში ჩართვის, იძულებითი და არასასურველი დაუცველი სექსუალური კავშირის დამყარების მცდელობა, რაც დაინფიცირების საფრთხეებს ზრდის. რისკებს აძლიერებს საზოგადოებრივი სტიგმაც: მაშინ, როცა მამაკაცის მხრიდან ნარკოდამოკიდებულების



აღიარება და მკურნალობის დაწყების სურვილი დადებითად განიხილება, ქალის შემთხვევაში, მხოლოდ იმ ფაქტის გამჟღავნებამ, რომ ის ნარკომანია, ოჯახის და საზოგადოების მხრიდან შეიძლება აგრესია გამოიწვიოს, რის გამოც ისინი მკურნალობის დაწყებასაც კი ერიდებიან, რაც ხელს უშლის სარისკო ქცევის და მასთან ასოცირებული აივ ინფიცირების რისკის აღმოფხვრას.

გაეროს ერთიანი პროგრამის აივ შიდსზე საზოგადოებრივი მობილიზაციის მრჩეველი ლია თავაძე ამბობს, რომ ქალ ნარკომანთა დისკრიმინაცია მაღალია თვით ნარკომომხმარებელი მამაკაცების მხრიდანაც: „ის თავადაც მზადაა, ქალი ნარკომომხმარებელი ჩაქოლოს კიდევ, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ნარკომომხმარებელი კაცებიც კი მიიჩნევენ, რომ ეს არ არის ქალისთვის შესაფერისი ქცევა და მათ დისკრიმინაციას ეწევიან“, – აღნიშნავს ლია თავაძე.

სექს მუშაკების შემთხვევაში აივ ინფიცირების რისკს დაუცველი სექსუალური კავშირების მაღალი ალბათობა განაპირობებს. ზოგჯერ ეს მათივე დაუდევრობითაა გამოწვეული, თუმცა ზოგჯერ ძალადობის შედეგს წარმოადგენს: კვლევაში მონაწილე სექს მუშაკი ქალები ამბობენ, რომ მათთან დაუცველ სექსუალურ კავშირს ძალადობით ამყარებენ ან კონდომის გარეშე ურთიერთობებისთვის დამატებით თანხას იხდიან. ამავე დროს ის საზოგადოებრივი სტიგმა, რაც სექს მუშაკებთან დაკავშირებით არსებობს, მათთვის მკურნალობის და აივ ინფიცირების საფრთხეს ქმნის. ისინი ფიქრობენ, რომ მათ არავინ გამოე-სარჩლებათ, ერიდებიან თუნდაც ძალადობის ან აივ ვირუსით ინფიცირების ფაქტის გახმაურებას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და აივ ეპიდემიის კავშირი დაინფიცირების შემდეგაც გრძელდება. აივ დადებითი სტატუსი ზრდის და კიდევ უფრო აძლიერებს ქალთა მიმართ ძალადობას, რასაც დიდწილად ხელს პატრიარ-



ქალური კულტურა უწყობს: იმის გამო, რომ აივ ინფიცირება საქართველოში დევიაციურ ქცევასთან ასოცირდება, ინფიცირებული ქალი საზოგადოების და ოჯახის გაკიცხვის საგანი ხდება, მაშინაც კი, თუ ის ქმრის ან სამედიცინო მიზეზით დაინფიცირდა. მას უწევს მტკიცება, რომ არ არის მეძავი, ნარკომანი, არ ჰქონია სექსუალური კავშირი არავისთან, მეუღლის გარდა, ამიტომ აივ ინფიცირებული ქალები ორმაგად სტიგმატიზირებული

**■ ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და აივ ეპიდემიის კავშირი დაინფიცირების შემდეგაც გრძელდება. აივ დადებითი სტატუსი ზრდის და კიდევ უფრო აძლიერებს ქალთა მიმართ ძალადობას.**

არიან: როგორც აივ დადებითი სტატუსის მქონენი და როგორც – ქალები. კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ დაინფიცირება ქალის შემთხვევაში უფრო ძლიერად გაკიცხვადია, რის გამოც მათი ნაწილისთვის აივ ინფექციის ანალიზის პასუხის გამხელა დამატებით ბარიერებს უკავშირდება: გამოკითხული აივ ინფიცირებული 19 ქალიდან 68%-ისთვის ასეთ ბარიერს ხალხის რეაქციის შიში წარმოადგენს, 37%-სთვის იზოლაციისა და გარიყვის მოლოდინი, 32%-სთვის – აივ ინფიცირებულებისადმი განსხვავებული მოპყრობის შიში.

ინგა ოჯახმა და მეზობლებმა არ გარიყეს. ნათესავები ახლაც მხარს უჭერენ და მეზობლების მხრიდანაც არანაირ ნეგატიურ დამოკიდებულებას არ გრძნობს. თუმცა, სრულიად სხვაგვარად მოხდა 40 წლის ლალის შემთხვევაში. ლალი განქორწინებულია, მასაც ორი შვილი ჰყავს და უკვე 10 წელია, რაც აივ ინფიცირებულია. ვირუსი მეგობარი მამაკაცისგან გადაედო. ლალის აივ დადებითი სტატუსის გამჟღავნების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მას სახლიდან გასვლის, ადამიანებთან დალაპარაკების ეშინოდა. „ქუჩაში ყველა თითოთ აჩვენებდა და ერთმანეთს ეუბნებოდა, რომ ინფიცირებული ვიყავი. ამის შემდეგ სახლში ჩავიკეტე“, – იხსენებს ლალი. ყველაზე მტკივნეული კი დედის რეაქცია აღმოჩნდა. მან ლალი აიძულა სახლიდან წასულიყო. მეზობლებსა და ნათესავებს გააგებინა, რომ მისი შვილი აივ ინფიცირებული იყო. სთხოვდა, არ გაკარებოდნენ მას. ლალის კი ემუქრებოდა, რომ თუ თავის შვილებთან ერთად სახლიდან არ წავიდოდა, მთელ ქალაქში გაავრცელებდა მის ფოტოს წარწერით „აივ დადებითი“. ლალი იძულებული გახდა სახლი დაეტოვებინა და საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასულიყო.

კვლევის მიხედვით, ლალის მსგავსად, ის აივ ინფიცირებული ქალები, რომლებიც აღიარებენ, რომ აივ სტატუსი გარშემომყოფებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში დისკომფორტს უქმნით, სხვადასხვა

სახის დისკრიმინაციის ობიექტები ხდებიან. 75 გამოკითხული ქალიდან 56%-ის შემთხვევაში ეს საზოგადოებისგან გარიყვაა, 41%-ის შემთხვევაში პარტნიორისგან და ოჯახისგან იზოლაცია, შეურაცხმყოფელ და უპატივცემულო დამოკიდებულებას გამოკითხულთა 20% და 71% განიცდის შესაბამისად.

ის დისკრიმინაცია, რომელთან გამკლავებაც დაინფიცირებულ ქალებს უნევთ, ზოგჯერ მათში თვითსტიგმის

## ■ ფსიქოლოგიური ძალადობა

**ნამდვილად არის ის ფაქტი, როცა ცოლმა იცის, რომ მას მეუღლე სისტემატურად ღალატობს და მერე მასთან სექსუალურ კავშირს ისე ამყარებს, რომ არც ეკითხება, უნდა თუ არა, თან თავდაცვის გარეშე. ქალის დისკრიმინაციის ასეთი ფორმები ხელსაყრელ პირობას ქმნის იმისთვის, რომ ისინი აივ ინფიცირების თვალსაზრისით მაღალი რისკის ჯგუფებში მოხვდნენ.**

გამომწვევი მიზეზიც ხდება. აივ ეპიდემიის კონტექსტში სარისკო ქცევასთან კავშირის გამო


დევიაციურ ქცევასთან კავშირის გამო, ზოგჯერ ქალებს ჰგონიათ, რომ იმსახურებენ ასეთ მოპყრობას „ისინი სამსახურს არ ეძებენ მხოლოდ იმიტომ რომ ფიქრობენ, აივ ვირუსით დაინფიცირებულს სამუშაოსთან არაფერი ესაქმება, რომ ჩვეულებრივ სამედიცინო მომსახურებას არ იმსახურებენ. ითხოვენ, მათთვის სამედიცინო მომსახურება იყოს ცალკე, იმდენად ანერვიულებთ თუნდაც სტომატოლოგთან მისვლა და იმის თქმა, რომ აივ და-

დებითები არიან, ურჩევნიათ ცალკე იყვნენ. ეს რომ მართლაც ასე მოხდეს, სტიგმატიზება ხომ კიდევ უფრო გაიზრდება... თვითსტიგმა იმდენად დიდია, რომ როდესაც სამსახურში აყვანაზე ან სამედიცინო მომსახურებაზე უარს ეუბნებიან, არც ჩივიან. ჰგონიათ, რომ ასეც უნდა იყოს“, – ამბობს ACT-ს სოციალური კვლევების დირექტორი რუსუდან თელია.

კვლევის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ ქალთა მიმართ ძალადობისა და აივ ეპიდემიის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები რეკომენდაციების შემუშავებაზე იმსჯელებენ. ამ კვლევის პროექტის მენეჯერი სოფო ომანაძე აღნიშნავს, რომ შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ინფიცირებული ქალებისა და მათი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობა. ასევე, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ერთი მხრივ, შიდსის, მეორე მხრივ კი, ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, რათა მათ საკუთარი უფლებების შესახებ მეტი იცოდნენ. იგივეს ფიქრობენ აივ ინფიცირებული ქალები.

ოჯახისგან გარიყვის მიუხედავად, ლალი მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებს: „ნუ გეშინიათ, ჩვეულებრივი ნორმალური ცხოვრებით იცხოვრეთ. ისე, როგორც მანამდე და არ მიაქციოთ არაფერს ყურადღება. მეტი არაფერი“, – ასეთია მისი რჩევა აივ ინფიცირებული ქალებისადმი.

ახლა ინგაც ძალიან ნანობს, რომ ქმრის მხრიდან ძალადობის პირველივე შემთხვევაზე დახმარება არავის სთხოვა: „ვმალავდი, ვმალავდი და ვითმენდი... არადა, ხმას რომ არ ამოიღებ, ხვალ უარესს გაგიკეთებს, იმის იმედი ექნება, მაინც არ იტყვისო... მერე უკვე იჩაგრები, იკეტები. ასეთი რამ ქალებმა არ უნდა მოვითმინოთ, პირველივე შემთხვევა არ უნდა ვაპატიოთ“, – ამბობს ინგა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მან თერაპიის კურსის გავლა დაიწყო. ფიქრობს, რომ ძლიერ ქალებს ამ დაავადების დამარცხებაც შეუძლიათ და იმედი აქვს, ერთ-ერთი მათგანი თავად იქნება. **■**



## ქართული დოკუმენტური ფილმები 'მეცხრე არხზე'

ნანა მარტიაშვილი

თქვენ გიყვართ დოკუმენტური კინო? გიყვართ პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის ეს სინთეზი, რომელიც ანშყოს აკვირდება, აღნუსხავს და აანალიზებს? ყველაზე წარმავალი, ყველაზე მოუხელთებელი და ეფემერული დრო, ანშყო ხშირად სწორედ დოკუმენტურ კინოს აფარებს თავს, რათა თავი მომავალი თაობებისთვის გადაირჩინოს.

ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ხელშეწყობა "მეცხრე არხზე" თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. არხი საინფორმაციოა და, ბუნებრივია, მის პროგრამაში პუბლიცისტური და საინფორმაციო გადაცემები ჭარბობს. დოკუმენტური კინო კი, როგორც უკვე ვთქვით, პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის სინთეზს წარმოადგენს. ის ამ ორი პირობითობის ზღვარზე არსებობს და ამიტომ ზუსტად შეესაბამება არხის ზოგად კონცეფციას.

"მეცხრე არხი" თავის მაცურებელს პარტნიორად მიიჩნევს, თანამოსაუბრედ, რომელთანაც პარიტეტული ურთიერთობა აქვს და რომელთანაც ერთად ცდილობს გაერკვას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, დაადგინოს, რა არის უკეთესი ქვეყნის და თითოეული მისი მოქალაქის მომავლისათვის. ზუსტად ამ ინტონაციით მიმართავენ - მაცურებელს მეცხრე არხის დაკვეთით დამზადებული დოკუმენტური ფილმებიც, განსხვავებით იმ ტელემაუნუებლებისგან, რომლებიც თავს ინფანტილური მასის მენტორად მიიჩნევენ, ცდილობენ ჭკუა ასწავლონ აუდიტორიას, შეუცვალონ მსოფლხედვა და პროპაგანდის მსხვერპლად აქციონ.

აუცილებლად უყურეთ "მეცხრე არხის" ქართულ დოკუმენტურ ფილმებს ყოველ შაბათ-კვირას, გადადეთ ყველა საქმე და ხანგრძლივი, ყურადღებიანი მწერა მიაპყარით თქვენს თანამოქალაქეებს, ჩვენი მძიმე ყოველდღიურობის ამ ნამდვილ გმირებს; ისინი თავისებურად ებრძვიან და არ ეპუებიან სილატაკებს, რომელიც უცხო მხარეში მიერეკება; გიგანტური პესების მშენებლობას, რომელიც ჩვეულ გარემოს თავდაყირა უყენებს; ომის სისასტიკებს, ულმოებელ ბანკებს, დე ფაქტო საზღვრის ხაზზე ცხოვრების მძიმე პირობებს და მარტოობას დადარიელებულ სოფლებში.

**უყურეთ  
დოკუმენტურ  
ფილმებს  
შაბათ-კვირას  
მეცხრე არხის  
ეთერში**

[www.tv9.ge](http://www.tv9.ge)

განათლება

## "ახალი ტალღა" თიანეთის უნივერსიტეტში

„ლექციაზე მოსვლა, სემინარის ჩაბარება და წასვლა – ეს სკოლის ფორმატია, უნივერსიტეტი კი იმიტომ ითვლება სკოლაზე მაღალ საფეხურად, რომ სტუდენტი აქ უკვე სხვანაირად უნდა სწავლობდეს და ურთიერთობდეს“, – ამბობს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნოდარ ეჟაშვილი სტუდენტურ ჯგუფ „ახალი ტალღის“ პრეზენტაციაზე.

### ანი ჭანკოტაძე

შეხვედრა ახალგაზრდობისთვის მალაქერიან დარბაზში მიმდინარეობს. მწვანე დერმატინგადაკრული სკამები დამსწრეებით სანახევროდაა სავსე. თუმცა დამსწრეთა დიდ ნაწილს ლექტორები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები შეადგენენ. სტუდენტები რამდენიმე წინა რიგს იკავებენ, მათი ნაწილი კი პრეზენტაციის მსვლელობისას ჯგუფურად ტოვებს დარბაზს.

„ჯგუფი „ახალი ტალღა“ სტუდენტობა და, ზოგადად, უნივერსიტეტის ფუნდამენტურ პრობლემებზე მომუშავე სტუდენტობაა. „ახალი ტალღა“ ფუნდამენტურად ეროვნულ-რეგიონალურ ინტერესებს და არა ცალკეული ადამიანების შეხედულებებს“, – განაგრძობს პრეზენტატორი, რომელიც ნაცრისფერზოლიანი პერანგის, მუქი ჰალსტუხისა და მარცხენა ხელზე დიდი ზომის საათის გამო მეტისმეტად საქმიანად გამოიყურება.

სტუდენტები უნივერსიტეტში შექმნილ პრობლემებზე საუბრობენ. ამბობენ, რომ პრობლემებს სისტემური ხასიათი აქვთ და მათ გადასაჭრელად ცალკეული ინდივიდის მიდგომა საჭიროა.

დაბალეფექტიანი კომუნიკაცია სტუდენტებს, ლექტორებსა და ადმინისტრაციას შორის, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესება და რეგიონში მიმდინარე პროცესების განვითარების მიზნით უნივერსიტეტის არაეფექტიანი მენეჯმენტი, სწავლის ხარისხი და პროფესიული და სოციალური არაკონკურენტუნარიანობა – შეკრებილი სტუდენტები ამ პრობლემებს ასახელებენ.



ფოტო ანი ჭანკოტაძე

ლექტორების ნაწილი სტუდენტებს ეთანხმება და პრობლემების არსებობას აღიარებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლები კი პრობლემებს გაზვიადებულს უწოდებენ და მათ მიზეზად ისევ სტუდენტების ინდივიდუალურობა მიაჩნიათ. „არ გეგონოთ, რომ თქვენ რამე ექსტრაორდინალური ჩაიდინეთ. რაღაცა უცხო სიტყვების მოტანა და იმით ლაპარაკი არაფერ შედეგს არ იძლევა. კი, სტუდენტების ალტერნატიული აზრი ყოველთვის უნდა ისმოდეს, მაგრამ აქ ალტერნატიული აზრი არ ჩანდა. ინდივიდუალური გახდა სტუდენტობა“ – მიმართა სტუდენტებს რექტორის თანამემხმე ლელა წიკლაურმა.

„ჩვენ რა უნდა ვქნათ, რომ სტუდენტებმა ლექციებზე იარონ და ის ცოდნა მაინც მიიღონ, რასაც ვაძლევთ?“ – კი-

თხულობს შალვა ჭკადუა, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომელი.

თუმცა, ისეთებიც არიან, ვინც სტუდენტების მოთხოვნებს სრულიად სამართლიანად მიიჩნევს და მათი თანამოაზრეა. ერთ-ერთი მათგანია რექტორის მრჩეველი სოსო მიქელაძე, რომელიც საუნივერსიტეტო განათლების კონცეფციის კრიზისზე საუბრობს.

მიქელაძე ამბობს, რომ ქვეყანაში არსებული განათლების სისტემის მდგომარეობის გარდა, პროვინციებში არსებულ უნივერსიტეტებს თავიანთი განსხვავებული პრობლემებიც გააჩნიათ – მათ დაკარგული აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ფუნქცია და მათი არსებობის ერთადერთ მიზნად და გამართლებად თანამშრომლების სოციალური უზრუნველყოფა ხდება.

სტუდენტებმა პრეზენტაციის დროს ხაზი გაუსვეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არაბუნებრივად გაბერილია და მათი გადახდილი სწავლის საფასური არაეფექტიანად იხარჯება უფუნქციო სამსახურების შენახვაზე.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1940 წელს დაარსდა და უნივერსიტეტის სტატუსი 1999 წელს მოიპოვა. აქ სამსაფეხუროვანი უმაღლესი განათლება და პროფესიული განათლების პროგრამები მუშაობს. დღეისთვის უნივერსიტეტში სულ 1699

**„აქ სისტემური ცვლილებები არასოდეს განხორციელებულა. უნივერსიტეტის მთავარი პროდუქტი კი – კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და კრიტიკული აზრის მქონე სტუდენტი – აქ არ ყალიბდება და როგორც კი ვინმე ასეთი ჩნდება, მასზე ზენოლას ახორციელებენ და სექტანტებს ეძახიან“.**

სტუდენტი სწავლობს. ადმინისტრაციაში დასაქმებულთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 400-მდე აღწევს. სტუდენტების თქმით, მხოლოდ ახლანდელმა რექტორმა, თინათინ ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში მოსვლისას 60 ახალი კადრი მოიყვანა და ადმინისტრაციაში დაასაქმა.

„აქ სისტემური ცვლილებები არასოდეს განხორციელებულა. უნივერსიტეტის მთავარი პროდუქტი კი – წარმატებული, კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და კრიტიკული აზრის მქონე სტუდენტი – აქ არ ყალიბდება და როგორც კი ვინმე ასეთი ჩნდება, მასზე ზენოლას ახორციელებენ და სექტანტებს ეძახიან“, – ამბობს სოსო მიქელაძე.

სტუდენტების თქმით, უნივერსიტეტში ერთგვარი დახურული სივრცეა შე-

ქმნილი და რექტორი და სასწავლებლის ადმინისტრაცია ამ სივრცის უცვლელად შენარჩუნებით არიან დაინტერესებულნი. ამიტომ, ცდილობენ ხელი შეუშალონ სტუდენტების აქტივობასა და კრიტიკულ აზრს, რომელიც ამ მდგომარეობის შეცვლაზე ორიენტირებული. IV კურსის სტუდენტი, ნინო გოგოლაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას ჰყვება: „სტუდენტს არა აქვს თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება – ეს გამორიცხულია. თუ ხმას იღებ და პროტესტს გამოთქვამ, ესე იგი ინტრიგანი ხარ“.

სტუდენტები უნივერსიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გავლენაზე საუბრობენ. მათი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ადმინისტრაციის გარდა ფაქტობრივად მართავს სასწავლებლის თვითმმართველობასაც, რაც სტუდენტებს უნივერსიტეტის მართვაში ჩართვის ბერკეტს აცლის. „დღევანდელი თვითმმართველობა თავიდან ბოლომდე ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთით არის დაკომპლექტებული, მათ განკარგავს და დირექტივებს აძლევს ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი ერეკლე ამბარდანიშვილი“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, ქეთი შვერდაშვილი.

რექტორი თინათინ ჯავახიშვილი უნივერსიტეტში პოლიტიკური გავლენების არსებობას უარყოფს, ცილისწამებას უწოდებს და ამბობს, რომ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ სამსახურიდან თანამშრომლებს პოლიტიკური ნიშნით გაუშვებდა, რასაც თელავის უნივერსიტეტში ადგილი არ ჰქონია.

სწავლის ხარისხს, ლექტორების კომპეტენციასა და სტუდენტების კონკურენტუნარიანობას რაც შეეხება, რექტორი პრობლემის მასშტაბურად არსებობას არ აღიარებს, მიიჩნევს, რომ ლექტორები საკმაოდ ნაყოფიერ ლექციებს ატარებენ და უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობით სტუდენტთა ნაწილის უკმაყოფილებაც უცნაურად ეჩვენება.

„ამ ორი წლის მანძილზე ბევრი რეფორმა განვახორციელე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე არავინ საუბრობს: უნივერსიტეტში წყალი არ იყო. ჩვენ კი ჩვენი

ჭაბურღილი გავაკეთეთ და ცოცხალი ხანში საცურაო აუზსაც აღვადგინეთ. ყველგან არის გათბობა და ამ სიტუაციით ყველა კმაყოფილია. გავარემონტეთ დარბაზები, შენობის მეხუთე სართული მთლიანად ევროსტანდარტებით გავარემონტეთ. აკადემიურ პერსონალს ხელფასები გავუზარდეთ. შარშან გიორგობისთვის, ახალი წლისთვისაც და აღდგომისთვისაც პრემიები გავეცით“, – ამბობს ჯავახიშვილი.

სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის მართვაში ჩართვის მოთხოვნის გამო გაცემას გამოხატავს რექტორის თანაშემწე, ლალი ნიკლაურიც – „ვინ დაუშალათ რამე? სულ მაგას არ ვვხვებით, აბა, რა გინდათ, რა გაინტერესებთ? რამდენჯერ ჩამოვიარე ჩემი ფეხით აუდიტორიუმში: აბა, ახალი ცეკვის წრე გაიხსნა, სიმღერის წრე გაიხსნა და მოდით-მეთქი, ვეხვეწებოდი, მაგრამ თვითონ ამბობენ, არ გვაინტერესებსო“.

თავის მხრივ, ადმინისტრაციის პოლიტიკას აკრიტიკებს სოსო მიქელაძე: „რალაც სიმღერის წრეს რომ გააკეთებენ, ის ჰგონიათ სტუდენტის უფლებების დაცვა... უნივერსიტეტის მთავარი ფუნქცია, რომ აზრი უნდა იქმნებოდეს, აქ არავის აინტერესებს. პირიქით, ისეთ საგნებს ასწავლიან, რომ კრიტიკული აზროვნება დაუქვეითონ სტუდენტებს. ისედაც, განათლების სისტემის მოწყობის გამო თელავის უნივერსიტეტში დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები მოდიან. ლექტორებიც შეგუებული არიან ამ იდეას. ლექციებზე შედიან, რომ რალაცა ზღაპარივით მოუყვენ და შემდეგ თავს იმართლებენ – სუსტი სტუდენტია და მე რა გავაკეთოო“.

მიქელაძე უნივერსიტეტის ფუნქციონირების არსებული სახით გაგრძელებას თვალთმაქცობად და თავის მოტყუებად მიიჩნევს და ამჟამინდელ უნივერსიტეტს უბრალოდ „სოციალურ თავშესაფარს“ უწოდებს. ამავე აზრს იზიარებს ახალშექმნილი სტუდენტური ჯგუფი „ახალი ტალღაც“. ჯგუფი ერთ-ერთ მთავარ მიზნად ასახელებს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში „გლობალური და კონსტრუქციული, შეუქცევადი ხასიათის ცვლილებების ინიცირებას და უნივერსიტეტის ძირეულ რეფორმირებას“. **□**



ფოტოკრეატივი  
შრიტაზის გლოვის დღე

ელმარ მუსტაფაზადე



# ფოტორეპორტაჟი

24 ნოემბერს მთელი მსოფლიოს მუსლიმი შიიტები აღნიშნავდნენ აშურას დღეს – სამგლოვიარო თარიღს, რომელიც 680 წელს კერბელის მახლობლად მოწამეობრივი სიკვდილით გარდაცვლილ, წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილის იმამ ჰუსეინის გარდაცვალებას ეძღვნება. ამ დღეს სასურველია მარხვის შენახვა (როგორც შიიტებისთვის, ასევე სუნიტებისთვის) და იმ დღეებისთვის მიძღვნილი სამგლოვიარო ცერემონიებში მონაწილეობის მიღება.

ამ ცერემონიების მიმდინარეობისას მორწმუნეები, როგორც წესი, სამგლოვიარო საგალობლებს ასრულებენ და კოლექტიურ მაჰმადიანურ ლოცვას აღავლენენ. ბევრი მათგანი უფრო შორს მიდის და „შაჰსეი-ვაჰსეის“ რიტუალში მონაწილეობს, რომლის მიმდინარეობისას საკუთარ თავს ჯაჭვებს და ხმლებს ურტყამენ, იმის ნიშნად, რომ სიკვდილის წინ იმამ ჰუსეინმა სასტიკი წამება გაიარა.


ასეთი რიტუალები ტრადიციული აზერბაიჯანში გახდა. ყოველწლიურად ათასობით მორწმუნე ქვეყნის სხვა-

დასხვა ქალაქში აშურასადმი მიძღვნილ სამგლოვიარო დღესასწაულებში მონაწილეობს. ბოლო წლებში ბაქოში ტრადიციად იქცა დონორული სისხლის ჩაბარება, რომელმაც ფიზიკური თვითგვემის რიტუალი ჩაანაცვლა, თუმცა ბევრი მორწმუნე დღესაც ძველი ადათების მიმდევრად რჩება.

ერთ-ერთი ადგილი, სადაც „შაჰსეი-ვაჰსეის“ ცერემონია ძველი სახით ტარდება, თავისი რადიკალური ისლამური წარმოდგენებით განთქმული, სოფელი ნარადარანია.





ამჯერადაც სოფლის მოსახლეობა ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბა, რათა მოესმინა ადგილობრივი იმამის მონათხრობი ჰუსეინის სიცოცხლესა და სიკვდილზე. შემდეგ მოედანზე გამოიყვანეს ცხენი დასისხლიანებული მოსასხამით, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა წინასწარმეტყველის შვილიშვილის გარდაცვალებას. ამას მოჰყვა „შაჰსეი-ვაჰსეის“ შემაჯამებელი ცერემონია, რომელიც კოლექტიური მაჰმადიანური ლოცვით დაგვირგვინდა. 








# მზის შიშის სახელით!

საკაპულიის ხელისუფლების რეპრესიები კრიმინალთან ბრძოლის ყველაზე პრიმიტიული და არაცივილური საშუალებაა და ამ გზით მოპოვებული სიმშვიდე მხოლოდ ლაჩრის, კოლაბორაციონისტის სიმშვიდეა და ამაში საამაყო არაფერია.



ზაიატა ქურდაძე  
მწერალი

1953 წლის 26 მარტს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ლავრენტი ბერიამ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ამნისტიის პროექტი წარადგინა, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროს საბჭოთა ბანაკებში მყოფი 2,5 მილიონი პატიმრიდან დიდი ნაწილის გათავისუფლებას, პირველ რიგში კი, არასრულწლოვანების, ხანდაზმულების, ავადმყოფების, ორსული ქალებისა და ა.შ.

ბერია იმავე პროექტში მიუთითებდა, რომ ამ ორნახევარი მილიონი პატიმრიდან, მხოლოდ 220 ათასი იყო განსაკუთრებულად სამიში სისხლის სამართლის დამნაშავე, რომლებზეც ამნისტია არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო, პროექტი მეორე დღესვე, 27 მარტს იქნა ხელმოწერილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. გამოიცა ბრძანებულება ამნისტიის შესახებ, რომლის წყალობით საბჭოთა ბანაკებიდან მილიონ ორასიათასზე მეტი ტუსალი გამოვიდა.

ამნისტიის შედეგად კრიმინოგენული გარემო გაუარესდა. რამაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახადა 2 ივლისს ახალი „უკაზი“ გამოეშვა, რომელიც კრძალავდა ამნისტიას ყაჩაღობისა და ბოროტი ხულიგნებისთვის გასამართლებულთა, აგრეთვე, ქურდი რეციდივისტების მიმართ. რამდენიმე დღით ადრე თავად ამნისტიის პროექტის ავტორი დააპატიმრეს, ის დეკემბერში

დახვრიტეს – „მოქალაქედ“ „ჩამოქვეითებულ“ ამხანაგ ლავრენტი ბერიას საკუთარი ამნისტია არ შეეხო...

სამაგიეროდ, შეეხო ასევე მოქალაქე მამაჩემს, რომელსაც ოცდახუთი წელი ჰქონდა მისჯილი მეორე მსოფლიო ომში გერმანელებთან ტყვეობისთვის, როგორც სამშობლოს მოღალატეს. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ბერიას ამნისტიის წყალობით მოვევლინე ამ ქვეყანას. და არა მარტო მე. შეიძლება ითქვას, ომისშემდგომ დაბადებულთა საბჭოთა ეგრეთ წოდებულ „ბები ბუმის“ თაობას რამდენიმე წელიწადში მომდევნო, „ბები გულაგის“ თაობა მოჰყვა: გათავისუფლებულ მილიონ ორასიათას რეპრესიის მსხვერპლს შორის უამრავი ქართველი იყო, რომლებმაც ოჯახები სწორედ ამნისტიის შემდეგ შექმნეს.

რა თქმა უნდა, არნახული მასშტაბის სტალინური რეპრესიები, მისი ორგანიზატორი ჯალათების „შექსპირისეული“ დრამა, რომლებიც საკუთარი სისტემის მსხვერპლნი გახდნენ, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს გეოპოლიტიკური თუ კულტურული განვითარების ვექტორზე, ამოუწურავი თემა და კვლევის საგანია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო ეს რეპრესიებიცა და ამნისტიაც – ანუ დასავლეთში. ჩვენში ეს თემა, ისევე როგორც ბევრი სხვა, დაკავშირებული ჩვენს საბჭოთა ისტორიასთან, ოკუპაციის მუზეუმის მიერ „ოკუპირებულ“ ნაწილად, ექსპონატად იქცა და თითქმის დაიხურა, მიუხედავად იმისა, რომ „ბები გულაგები“ ჯერ კიდევ ცოცხლები და რეალური ადამიანები ვართ, და არა რაღაც მოსიარულე სტატისტიკური ციფრები.

იმის თქმა, რომ სამოცი წლის შემდეგ დღევანდელი „ბები გულაგების“ თაობა მაღლიერებით გაიხსენებს დღევანდელი ამნისტიის ავტორებს, ცოტა გადაჭარბებული იქნებოდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვარდების რევოლუციის“ შედეგად შექმნილი პენიტენციალური სისტემისა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი გულაგის მასშტაბები სრულიად სხვადასხვაა, თუმცა თითოეული ადამიანის პირადი დრამის უკიდურესად ინდივიდუალურ ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, განსხვავება, გულაგიდან და გულანის ციხიდან გათავისუფლებულ უდანაშაულო ადამიანებს შორის ძალიან დიდი არ უნდა იყოს, განსაკუთრებით, მათი შვილებისათვის. და ეს სრულიად ადამიანური და გასაგებია.

შედარებით გაუგებარია „საზოგადოების ზოგიერთი ნაწილის“ დამოკიდებულება ამნისტიის პროექტის მიმართ. მათ, როგორც ჩანს, შიშის ზარი დასცა იმის წარმოდგენამაც კი, რომ უდანაშაულო, ან გადაჭარბებული სისასტიკით დასჯილ არასაშიშ წვრილმან დამნაშავეთა გათავისუფლებას, შესაძლოა, რამდენიმე კრიმინალის გათავისუფლებაც მოჰყვეს, რაც საფრთხეს შეუქმნის მათი ავტომობილების სარკეებსა და აიძულებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში საფულეს მეტი ყურადღება მიაქციონ.

პრემიერ-მინისტრის ვარაუდმა იმის შესახებ, რომ ამნისტიის შემდეგ კრიმინოგენული მდგომარეობა, შესაძლოა, გაუარესდეს, რაც აბსოლუტურად მოსალოდნელი და ლოგიკურია, „საზოგადოების ნაწილის“ ისეთი აღფრთოვება გამოიწვია, რომ სავარაუდოდ, მათთვის მოქალაქეობრივი თვითშეგნება, რომლის დეფიციტსაც თავადვე უჩივიან – საკუ-

თარ ტელევიზორის ეკრანებთან იწყება და იქვე მთავრდება. ისინი შოკში ვარდებიან პატიმრების წამების ამსახველი კადრების ნახვისას, 80 წლის პატიმარი ქალის სრულიად სიურრეალისტური ისტორიის მოსმენით, ან 50 ლარის ღირებულების ჯართის ქურდობისათვის რვა წელიწადმისჯილი თვრამეტი წლის ბიჭის ამბის გაგებით. ამავე დროს შეუძლიათ კიდევ უფრო დიდი ემოციები გამოხატონ ამავე ასაკის კუდის მაღალჩინოსანი კიბერკრიმინალის, ან ამ ციხეების ყოფილი უფროსის დაპატიმრების გამო. საზოგადოების ამ ნაწილის წარმომადგენლებს დიდი და მგრძობიარე გული აქვთ, რომლითაც ძალიან განიცდიან ოციოდე ჩინოვნიკის შესაძლო უსამართლო დაპატიმრებას, ათასობით ასევე შესაძლო უდანაშაულო ადამიანის ქართული პენიტენციური ჯოჯოხეთიდან გათავისუფლების შესაძლებლობას კი აპროტესტებენ, საკუთარი უსაფრთხოების ხარისხის გაუარესების პრეტექსტით.



საერთოდ, დღეს ისინი გამუდმებით რაღაცას აპროტესტებენ, რადგან ჩვენს ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაციის ახალ ეპოქაში პროტესტი ნებადართულია, კარგ ტონად ითვლება, თან საშიშიც არ არის... აპროტესტებენ ხან შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს, პროკურორს, რადგან აღარავის ეშინია, მათივე იმ ექსკოლეგების გარდა, ვისიც თავად ეშინოდა მთელ საქართველოს ბოლო რვა წლის განმავლობაში, აპროტესტებენ კულტურის მინისტრს – მასზე ამობოხენ, ძალიან გულკეთილი კაციაო, ცხადია, მისი არავის ეშინია, განსხვავებით მისი წინამორბედისაგან, რომელზეც დღემდე ჩურჩულით საუბრობენ და თან აქეთ-იქით იყურებიან, ვინმემ ენა არ მიუტანოსო. აპროტესტებენ ასევე ძალიან კეთილი იურა მეჩითოვის უკვე სავარაუდოდ ეფე-

მერულ მინისტრის მოადგილეობას, თანაც ისეთი მონდომებით, თითქოს წინა, „საშიში“ მინისტრის მოადგილეებზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ხალხი მხოლოდ საკუთარ რვანლიან სიმბდალეს აპროტესტებს, საკუთარ თავთან, და ამ სიმბდალეს სხვადასხვა ახალი ჩინოვნიკის სახელს არქმევს. ეს პროტესტი სრულიად უფასოა და ის ინტერნეტ მომსახურების საფასურში შედის. თანაც სრულიად უსაფრთხოა.

სულ სხვა საქმეა ამნისტია. აქ უკვე რეალურად იკვეთება ფასი, რომლის გადახდაც შესაძლოა საჭირო გახდეს

საზოგადოების ხელახალი ჭუმანიზაციისათვის. „საზოგადოების საუკეთესო ნაწილი“ მიიჩნევს, რომ ამ ფასის გადახდა არ ღირს. პრევენციის მიზნით სჯობს, სააკაშვილის ხორცშესხმული ექსტრატორდინალური ლოზუნგი: „ყველა ციხეში!“ ძალაში დარჩეს.

უნდა გადავწყვიტოთ, როგორ საზოგადოებაში გვსურს ცხოვრება. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების რეპრესიები კრიმინალთან ბრძოლის ყველაზე პრიმიტიული და არაცივილური საშუალებაა, რომ ამ გზით მოპოვებული სიმშვიდე მხოლოდ ლაჩრის, კოლაბორაციონისტის სიმშვიდეა და ამაში საამაყო არაფერია. უნდა გვახსოვდეს, რომ გასულ საუკუნეში ყველაზე „უსაფრთხო ქვეყანა“ კრიმინალური თვალსაზრისით ნაცისტური გერმანია იყო.

ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ევროპულ, დიდ ქალაქში გაცილებით მეტი შანსი გაქვთ, საფულე ამოგაცალონ, ვიდრე თბილისში,

**■ ფაქტი, რომ ნებისმიერ ევროპულ, დიდ ქალაქში გაცილებით მეტი შანსი გაქვთ, რომ საფულე ამოგაცალონ, ვიდრე თბილისში, არ ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება უფრო დაცულია. გროტესკია იმ ქვეყანაში უსაფრთხოებაზე ლაპარაკი, სადაც „მგლის შიშით ცხვარი განყვიტეს“ და რომელიც ასე ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. ფაქტია, ზედმეტად შემწყნარებელი „ბანდიტური“ დასავლური დედაქალაქებიდან ჩვენთან არავინ მორბის საცხოვრებლად, პირიქით – რამდენიც გნებავთ. რადგან თუ ქვეყანაში კრიმინალის აღკვეთის ფასი საზოგადოებაში შიშის დანერგვაა, არასდროს ჩამოყალიბდება ისეთი სამოქალაქო კულტურის საზოგადოება, რომელშიც ადამიანების ცხოვრების მიზანი ჩვეულებრივი ბედნიერებისკენ სწრაფვა იქნებოდა და არა სახელმწიფოს მიმართ შიშთან ბრძოლა. ■**

მეგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება უფრო დაცულია. გროტესკია იმ ქვეყანაში უსაფრთხოებაზე ლაპარაკი, სადაც „მგლის შიშით ცხვარი განყვიტეს“ და რომელიც ასე ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. ფაქტია, ზედმეტად შემწყნარებელი „ბანდიტური“ დასავლური დედაქალაქებიდან ჩვენთან არავინ მორბის საცხოვრებლად, პირიქით – რამდენიც გნებავთ. რადგან თუ ქვეყანაში კრიმინალის აღკვეთის ფასი საზოგადოებაში შიშის დანერგვაა, არასდროს ჩამოყალიბდება ისეთი სამოქალაქო კულტურის საზოგადოება, რომელშიც ადამიანების ცხოვრების მიზანი ჩვეულებრივი ბედნიერებისკენ სწრაფვა იქნებოდა და არა სახელმწიფოს მიმართ შიშთან ბრძოლა. ■

# ბამთენიოსას

ბექა ქურხული  
მწერალი



როცა ღამე აღარ მთავრდება, როცა შეშინებული უხმოდ ლოცულობ, ძილ-ბურანში დაკარგული მარჯვენით ცდილობ პირ-ჯვრის გადაწერას, რომ მერე დღისით ამაყად კისერ-მოღერებულმა, ცალკე, დამკინავი ღიმილით პირაკრულმა, არასოდეს არ ილოცო, როცა გაღვიძების გეშინია, ხვდები, ხვდები კი არა, ზუსტად იცი, რომ ყველაფერი ცუდად არის, ძალიან ცუდად.

და მერე? რა უნდა ქნა, აღარ უნდა გაიღვიძო? აღარ უნდა ადგე? უნდა დარჩე პირთავე ჩამხობილი და სიმწრისაგან, სიბრაზისაგან და უმწეობისაგან სამივე ბალიში უნდა დაბრდუნა? თუ ისევ ხუთლარიანი, აცეტონზე დამზადებული „გომი“ უნდა სვა წვეწის ქიქებით, მესამე ბოთლზე ახვიდე, რომ მერე გადაუაროს მთელ თბილისს ტირანოზავრით გამაყრუებელმა შენმა ღრიალმა? მერე? მერე რა, რო? გაიგეს უკვე, დიდი ხანია იციან, რომ არანორმალური და გიჟი ხარ და აღარც ეგ არის საინტერესო. იმიტომ, რომ სინამდვილეში, არც არანორმალური ხარ და არც გიჟი, უბრალოდ, მაგრად დაიღალე, ძალიან მაგრად და ძალიან გტკივა.

და მერე? მერე, რა? ვინ არ დაიღალა ამ დედაფეთქებულ ქვეყანაში, ვის არ ტკივა, ვინ არ სვამს არაყის ბოთლში ჩასხმულ სანამლაეს, ვინ არ სვამს სპირტწყლით დამზადებულ ქართულ ლუდს და ვინ არ ბღავის, ვინ არ იჩხერს „ჯეფს“ და „სუბოს“, რომ რაც შეიძლება მალე დაეკუჭით ტვინი და გათავდეს. ვის გააკვირვებ შენი წუნწინით? ვინ არ წუნწინებს და ვინ არ ჭორაობს ამ ტკივილით და დაღლით გაძევილ ქვეყანაში?

ძალიან დიდი ხანია, მრჩება შთაბეჭდილება, რომ სამყარო ჭკუიდან შეიშალა. ჭკუიდან შეშლილი და მიიმედ დაავადებულია ეს ქვეყანაც, რომელსაც მარტო ჩვენ ვეძახით საქართველოს და სხვები „გეორგიას“, „გრუზიას“, „გურჯისტანს“ და რა ვიცი, კიდევ რა ოხრო-

ბას. მიიმედ ავად ვართ ჩვენ, ყველანი. ყოველ შემთხვევაში, მაღლობა ღმერთს, მყოფნის იმდენი ჭკუა, რომ არ ვიფიქრო, რომ ჯანმრთელად ვარ. „თუმცა, ბრმა ვარ და კიდევ ვხედავ, ჩემგან კიდევ უფრო ბრმათა“ – დავით გურამიშვილის არ იყოს, მაგრამ სხვათა სულიერი სიბრმავე, ჩემს სულიერ სიბრმავეს საშველად, შეღავათად და სათვალედ რომ არ გამოადგება, ეგ ნამდვილია. და მერე? რა ვქნათ? რა ვუშველით? რა ვქნა? რა ვუშველო? ან სხვას, ან საკუთარ თავს? აზრზე არ ვარ!..

სერგეი დოვლატოვის ხუმრობანარევ მოგონებამა: „ნაივანი და გუბინი ძალიან დიდხანს კამათობდნენ, ვინ უფრო მარტოსულია მათ შორის. რეინმა და ვოლფმა ერთმანეთზე საცემრად გაიწიეს იმის გამო, ვინ უფრო ავადმყოფია. შიგაშოვი და გორბოვსკი საერთოდ აღარ ელაპარაკებინ ერთმანეთს მას შემდეგ, რაც ვერაფრით შეთანხმდნენ იმაზე, რომელი უფრო ჯიუტი, შეუვალი და არანორმალურია“...

პიტერელი ებრაელი ინტელექტუალების მსგავსად, როდემდე უნდა ვეჯიბრებოდეთ საკუთარ ქვეყანას იმაში, ვინ უფრო მეტად აფრენს და რომელს უფრო სამინლად შეგვიძლია მოქცევა? ვინ უფრო მარტოსული, ავადმყოფი, ჯიუტი, შეუვალი და არანორმალურია? ქვეყანას, რომელიც ისე გვყავს მოკიდებული თუ მოკერებული, რომ რაც უნდა სტრასბურგში ვიზიტები ვაკეთოთ, კანში ყავა ვსვათ, პრალაში ჩავიდეთ (ისიც საქმეა, შენ კი ჩახვედი იმ პრალაში, მაგრამ იმ პრალამ საერთოდ გაიგო, ჩახვედი თუ არა?), ნიუ-იორკის მეტროპოლიტენიდან გამოვიდეთ და ვიძახოთ „ნუ, ნიუ-იორკი ნიუ-იორკია, რა...“ შენთვის ყველაზე მთავარი ამბები სწორედ აქ, ამ ქვეყანაში წყდება, რომელიც ისეთი ახლობელი და მშობლიურია, დედამიწის ცენტრია შენთვის, და თან ისე გალიზიანებს და გამწარებს, რომ სულ დედას იგინები! თუნდაც ის რად ღირს, რომ მთელი ცხოვრება დამარცხებულს, შეშინებულს და გამოქცეულს უყურებ, შენც მასთან ერთად დამარცხებული, შეშინებული, და გამოქცეული. ქვეყანა, რომელიც ყველაფერს ეგუება, ეჩვევა, ითმენს და ერთი ვერ აჯანყებულა, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვერ ასჯანყე-

ბია, საკუთარ თავს ვერ აჯანყებებვართ, ვერ დაგვიქცევია ყველაფერი, მაგრამ თუ ამის ნიშანი მაინც გამოჩნდა, თუ მსგავსი რამ მაინც მოხდა, თუ დავინახეთ, რომ ამ ქვეყანამაც ამოიღო ხმა და გააფთრებული სახით შემოუბრუნდა სამყაროს, როგორ გვიხარია, როგორ ვამაყობთ და როგორ ვართ მზად ყველაფერი, ყველა ცოდვა და ლაჩრობა მივუტევით ერთმანეთს და საკუთარ თავსაც.

მხოლოდ ამ დროს შეიძლება, ნაძალადევი და ცალკბალიმილით კი არა, ნაღდად და ალაღად გაგვეღიძოს. სიხარულით, ოღონდ არა ბედნიერად. ბედნიერება წასულია. ძალიან შორს. მიუსაგლეეთი. 1943 წელს, როდესაც შარლ დე გოლი თავის მაკიზარებთან ერთად, ახლად გათავისუფლებული და მოზიემე პარიზში შედიოდა, ვილაცამ უთხრა თავის გარემოცვიდან: – „თქვენ ახლა ალბათ ძალიან ბედნიერი ხართ?“ დე გოლი აღშფოთდა: – „თქვენ ხომ არ გაგიჟდით, რა სისულელეებს რომავთ? ბედნიერება არ არსებობს!“

და მერე? მერე რა! თუ წასულია და არ არსებობს? ჩვენ მისი ლოდინი ხელს არ მოგვცემს. არარსებულის ლოდინს ვისთვის დაუყრია ხეირი?

და შენ კიდევ მეუბნები, რომ ძალიან დაიღალე და ეს ბოლო ორი კვირა განსაკუთრებით ველარ ქაჩავ. ველარ უძლებ. მესმის და ეგ უარესი, რომ მესმის. იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, საშველი არ არსებობს! ჯერ კიდევ 10 წლის წინ ვწერდი ჩემს მოთხრობაში, „ცარიელ საფერფლეში“, რომ ამ წყეულ ქვეყანაში დაღლა და გაგიჟება არ შეიძლება.

ამ 10 წელიწადში არაფერი შეცვლილა და არ შეიცვლება კიდევ ათასი წელი. ერთადერთი გამოსავალია: – უნდა ადგე! ადგე და იარო!

ვიდრე არ წაიქცევი!





[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**ახალი დინამიკა**

[www.tv9.ge](http://www.tv9.ge)